# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 12 მაისი 1998 №70 (605) | ფასი 50 თეთრი


## გუცაევში სიტყვის კაცია

### ჯანაშიასაც უხმო და ფოცხვერიასაც

ვლადიმერ გუცაევმა სიტყვა შეასრულა. ბოლო ხანს გამართულ პრესკონფერენციებს მუდმივად ახლდა კითხვები: ბატონო ვოვა, ჯანაშიას რატომ არ იწვევთ? ფოცხვერიას ამბავი როგორ იქნება? მწვრთნელი თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა, რუსებთან მატჩისთვის ორივეს დავუძახებო. და აჰა, ამათი ქომაგებიც დამშვიდნენ — გუშინ გუცაევმა ის 20 კაცი ჩამოგვითვალა, რომლებსაც კიდევ ორს დაამატებს და 26 მაისიდან კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციაში დააბინავებს ჩრდილოელ მეზობლებთან გასაჯიბრებლად. სიის წაკითხვისას ერთი, გამორჩეული გვარი მოგვხვდებათ თვალში, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ, კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ მწვრთნელმა მისი გამოძახებაც გადაწყვიტა — მიხეილ ქობულაძე, ფოთის „კოლხეთის" მცველი, ოზურგეთელი ბიჭი, 1974 წელს დაბადებული. ბოლო სამსეზონნახევარი „კოლხეთში" გაატარა, ამ ხნის მანძილზე ჩემპიონატში ოთხი გოლი შეაგდო, თასზე კი ახლახან თსუ-სთან წყვილადაც გაიტანა. სოსო ფილია მას მუდამ ენდობა, როგორც დაუზარელ და თავდადებულ ფეხბურთელს.

**მეკარეები:** დავით გვარამაძე, ნიკა ტოგონიძე

**მცველები:** ნუგზარ ლობჟანიძე, გელა შეყილაძე, გივი დიდავა, ლევან სილაგაძე, კახა ცხადაძე, მიხეილ ქობულაძე, ლევან ცქიტიშვილი

**ნახევარმცველები:** გოგა გახოკიძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი

**თავდამსხმელები:** შოთა არველაძე, არჩილ არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი, თემურ ქეცბაია, მიხეილ ფოცხვერია, ზაზა ჯანაშია

პრინციპული ამხანაგური მატჩისთვის გუცაევი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ოპტიმალურ შემადგენლობას იწვევს.

ბოლო ორ ფეხბურთელს, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ფოცხვერია კარგა ხანია გუცაევს აღარ უხილავს. აი, ბოლო დროს მოსკოვის „ლოკომოტივის" ევროპულ მატჩებში თავვგამოჩენილი ჯანაშიასთვის კი კარგ თამაშთან ერთად სხვა რამეც იქნება მნიშვნელოვანი. ამაში რასაც ვგულისხმობთ, თავად მიხვდებით. შანსი მისცეს, გააჩნია, როგორ გამოიყენებს.

**კობა ინასარიძე**

## რუსები გორში, ჩვენები იტალიაში

ეროვნული ნაკრების მსგავსად 30 მაისს რუსეთის ნაკრებს ოღონდ ახალგაზრდულს ქართველი თანატოლებიც გაეჯიბრებიან. ნუ შეშინდებით, ვაითუ ეროვნული გუნდის თამაშის ხილვის დრო აღარ დაგვრჩესო. ახალგაზრდები გორში, ცენტრალურ სტადიონზე კი იბურთავებენ, მაგრამ მატჩი 2 საათზე დაიწყება. ოთხზე მორჩება, მსურველთ კი ორი საათი ეყოფათ თბილისში ჩამოსაღწევად და ექვს საათზე პაიჭაძის სახელობის სტადიონის ტრიბუნაზე მოსაკალათებლად.

ახალგაზრდული გუნდის თავკაცი გიგლა იმნაძე სამატჩო შემადგენლობას 20 მაისისთვის დაასახელებს. 22-დან 24-მდე კი მწვრთნელი თავის რჩეულთა ორ შემადგენლობას ერთმანეთთან შეაჯიბრებს და საბოლოო სიტყვასაც მხლოდ ამის შემდეგ იტყვის.

მოკლედ, 30 მაისს, გორში, 2 საათზე საქართველო — რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩია. სამომავლოდ კი ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა შემოთვალა, 11 ივნისს რიგაში, ხოლო 14-ში ვენტსპილსში ერთმანეთს ვეთამაშოთო. ლატვიაში სტუმრობის ხარჯებს თურმე მასპინძლები კისრულობენ, ჩვენებურებს მხოლოდ მგზავრობის ფული ექნებათ გადასახდელი. ძოძუაშვილის წინადადება ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია, ისევე როგორც ჩვენი ახალგაზრდების იტალიაში წასვლის საკითხი. 10 ივლისიდან „ბოლონია", „რეჯენა" და უმცროსი „სკუადრა ატურა" ქართველ თანატოლებს ელის. ისე, ყველაზე სავარაუდო იტალიაში წასვლაა. სამი ამხანაგური მატჩიც მეტად სასარგებლო იქნება.




## ქინქლაძე თერთმეტია

*კვირას შინ „უტრეხტთან" წაგებული მატჩის მერე აიაქსელებს გუნება მეორე ქართველის მათ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებულმა პრესკონფერენციამ გამოუკეთა — თითქმის ორი საათის განმავლობაში კითხვებს ბოლო არ უჩანდა. ყველაფერზე მკითხეს, მერე ტელევიზიის ხალხი მოვიდა, კამერები ჩემსკენ მომართეს, მე და მორტენ ოლსენი გვალაპარაკეს. ცოტა კი დავიღალე, მაგრამ რა გაეწყობოდათ.*

**— რომელი ნომერი გარგუნეს?**

— 11. „უტრეხტთან" მატჩის მერე მიქაელ ლაუდრუპი საზეიმოდ გააცილეს „აიაქსიდან", მან კი თავის მაისური მე დამითმო.

**— ათის შანსი არ იყო? ლიტმანენიც წასვლას აპირებსო?**

— არა, არ მიდის. თუ წავიდა, არა მგონია, პრობლემა შემექმნას, 10 ნომერს, ალბათ, ხელში ჩავიგდებ. ისე, ათიანი კი მინდოდა.

**— ოლსენმა რაო?**

— ბევრი არაფერი. ზოგადად ისაუბრა. სასიხარულოა მისი „აიაქსში" გადმოსვლა, დიდი შანსი აქვს, ჩვენთან ვარსკვლავი გახდესო. მეც ვეცდები, რაღა დამრჩენია. ფეხბურთელებს ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ ეტყობათ, კარგი ბიჭები არიან.

*მიხვდებოდით, კითხვებზე პასუხი „აიაქსის" ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი ქინქლაძემ გაგვცა, რომელიც უკვე ინგლისშია და პირად საქმეებს აგვარებს.*

**კობა ინასარიძე**



დებიუტანტი მიხეილ ქობულაძე (მარცხნივ) გორელ რევაზიშვილთან ბრძოლისას

## ჩივაძე VS დათუნაშვილი

გუშინ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი გაცხადდა. 24 ივლისს დანიშნულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე, საპრეზიდენტო არჩევნებში, ჯერჯერობით ორი კაცი აპირებს მონაწილეობას. საამპოსტოდ თავიანთი კანდიდატურები უკვე ოფიციალურად, განცხადების საფუძველზე დაასახელეს — ალექსანდრე ჩივაძემ და ილია დათუნაშვილმა.

ორი ყოფილი ფეხბურთელი, ორი ბრწყინვალე დინამოელი. ერთი, 1964 წლის ოქროს მატჩის გმირი და სხვა, არაერთ მატჩში თავგამოჩენილი. მეორე, 1981 წლის 13 მაისის მატჩის გმირი, „დინამოსა" და „დერჟავის" ნაკრების კაპიტანი. ორი დიდი ქართველი ფეხბურთელი.

ჯერ ესენი არიან. განცხადება პრეზიდენტობის სურვილით ორივემ დაწერა. ვნახოთ. ამათ, ალბათ, სხვებიც მიემატებიან.

## ქალებმა იყოჩაღეს

როგორც იქნა, ქართველმა ჩოგბურთელებმაც გამოიჩინეს თავი. ფედერაციის თასის ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის საკვალიფიკაციო ტურნირზე საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა ნინო ლუარსაბიშვილის, მაკა ჩახნაშვილის, ირინა კაკულიას შემადგენლობითთ და დალი ზერეკიძის კაპიტნობით დარჩენილ ორ შეხვედრაში ირლანდიისა და ესტონეთის გუნდებსაც მოუგო და თავისი ჯგუფის გამარჯვებული გახდა. ეს წარმატება ჩვენებს საგაისოდ ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ასპარეზობის შესაძლებლობას აძლევს.


**ხუთშაბათიდან!!!**

სარბიელი FRANCE98

წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola Gillette JVC McDonald's OPEL PHILIPS


## გიორგი ასანიძე გერმანიაშიც დალოცეს

ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ ჩაიტანა საჩხერეში პირველად შტანგა და ვის მოუვიდა აზრად ზემოიმერეთის კოხტა კუთხეში სპორტის ამ გულიან-ღონიანთა სახეობის დანერგვა, ვერც იმას მოგახსენებთ, იცოდა თუ არა დალოცვილმა, ქართველ ხალხს ძალ-ღონის გამოსაცდელად ოდითგანვე საჯილდაო ქვის ტრადიცია რომ გვქონდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ დღიდან ძალოსნობა საჩხერეში ძალიან პოპულარული გამხდარა და იქაური ბავშვებიც დიდი მონდომებით ეჯიბრებოდნენ ერთურთს სიმძიმეთა აწევაში. არც გიორგი ასანიძე ყოფილა ჯაბანი და 10 წლის ასაკში პირველად დასჭიდებია რკინის ძელს, დასჭიდებია და... მას შემდეგ თავი აღარ დაუზოგავს, ბლომად ოფლი უღვრია და რწმენასაც არ მიუტოვებია, რწმენას საკუთარი ძალისას. და აი შედეგიც: გერმანია, ქალაქი რიესა, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, 77 კგ წონითი კატეგორია. გიორგი ასანიძე — ვერცხლის პრიზიორი.


იხილეთ მეშვიდე გვერდი





**გიორგი ასანიძე**

დაიბადა საჩხერეში 1975 წლის 30 აგვისტოს.

ვარჯიში დაიწყო 1985 წელს. მწვრთნელი გოგი თოდაძე.

1991 წელს ჩაირიცხა ფიზკულტურის ინსტიტუტში და ცნობილი სპეციალისტის ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით განაგრძო ვარჯიში.

ჰყავს მეუღლე თეა და პატარა მარიამი.



ვაჟა ფიცხელაურის ფოტო

# ნოდარ ანდრიაძე:

## ვისაც პრეზიდენტობა სურს, ყრილობაზე მობრძანდეს!

ნელ-ნელა ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ახლოვდება. დღე, როცა ყველა სიკეთესთან ერთად ქართული ფეხბურთის წინამძღოლის ვინაობა უნდა გაირკვეს. 24 ივლისს ყველაფერს ნათელი მოეფინება. ყველაფერში ბოლოდროინდელ მოვლენებს ვგულისხმობთ, რამდენიმე თვის წინ კულმინაციას რომ მიაღწია. თითქმის დალუპვის პირას მისული ქართული ფეხბურთი სულ გვიკვდებოდა, ბედად, საქართველოს პრეზიდენტმა სათანადო ბრძანებულება გამოსცა და მოქიშპენიც დაწყნარდნენ. ყველაფერს ცხონებული ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებაც დაემთხვა. დროებით ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე გაპრეზიდენტდა. ვნებებიც დაცხრა. დაპირისპირებულმა მხარეებმა თავიანთ საქმეს მიხედეს. ეგ კი არა, ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტმა ერთობლივად ფეხბურთის განვითარების პროგრამის შემუშავებაც დაასრულეს.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძესაც ამად მივაკითხეთ. მომავალ ყრილობასთან დაკავშირებულმა ამბებმა დაგვაინტერესა. ინტერესი ერთი-ორად მას შემდეგ გაგვეზარდა, რაც ფედერაციის ბოლო აღმასკომის სხდომაზე ყრილობაზე არჩევნებში სამონაწილეო მანდატები დარიგდა. თუ როგორ განაწილდა ხმის უფლება, ამასწინანდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. ახლა კი რა, რატომ და როგორ მოხდა, ამაზე ნოდარ ანდრიაძე იტყვის.

**— წინა ყრილობაზე მანდატები, ბევრის და არცთუ უსაფუძვლო აზრით, არაობიექტურად განაწილდა, ხმის უფლება ფედერაციის ლამის ყველა მოსამსახურეს ჰქონდაო. წლეულს სხვა ვითარება შეიქმნა. ფედერაციამ სულ ორადორი მანდატი დაიტოვა. კითხვაც ეს გვაქვს: ადრე თუ ისე იყო, ახლა რა მოხდა?**

— იმ ყრილობას მეც ვესწრებოდი, როგორც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. სიმართლესაც გეტყვით. იყო, რა თქმა უნდა, პატარ-პატარა დარღვევები, მაგრამ ახლა ყველაფრის გაუმჯობესებისკენ მივისწრაფვით. დიდი როლი ითამაშა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებამ, სადაც ჩამოყალიბებული გახლდათ ის მიმართულებები, რომელთა გამოყენებითაც მომავალი ყრილობა მაქსიმალურად დემოკრატიული პრინციპებით ჩატარდება. მერე მე, ალექსანდრე ჩივაძემ და დავით კვინიკაძემაც ვისაუბრეთ. ყველა ნიუანსები გავითვალისწინეთ. რის საფუძველზეც მოახლოებული ყრილობა სრული ობიექტურობით გაიმართება. პირველი ნაბიჯიც გადავდგით, მანდატების განაწილებას ვგულისხმობ. ხმის უფლება სამივე ლიგის კლუბებს ექნებათ, სპორტსკოლებს, ქალაქების ფეხბურთის ფედერაციებს, ინვალიდთა ფეხბურთის ახალჩამოყალიბებულ ასოციაციას, იუსტიციის, განათლების სამინისტროებს, სპორტის დეპარტამენტს. მოკლედ, ეჭვი არავის შეეპაროს — ყრილობა ყველა კანონის დაცვით, დემოკრატიულად ჩატარდება. საამისოდ, ალბათ, უეჭველად ესწრებიან, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი კი ხმის მიცემასთან ერთად, ფაქტობრივად, დამკვირვებელიც იქნება.

**— გვპირდებით?**

— ასე იქნება. ყრილობას „ბალაგნად“ არ ვაქცევთ. ყველამ კეთილი ინებოს და ამბიციები დაიოკოს. ამის დრო წავიდა. პირად ინტერესებზე ფიქრს სჯობს, ქართული ფეხბურთის აღმავლობაზე ვიზრუნოთ.

**— პრეზიდენტობის კანდიდატებზე რომ არაფერი ისმის? თუ, შესაძლოა, ოთხი წლის წინანდელი განმეორდეს და პრეზიდენტობის მსურველმა ყრილობის მიმდინარეობისას წამოაყენოს თავისი კანდიდატურა?**

— ვინ როდის ისურვებს პრეზიდენტობას, ეს უკვე მისი პირადი საქმეა. ჩვენს წესდებაში კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული. დიახ, შეიძლება ვინმე ადგეს და დარბაზშივე თქვას, მე პრეზიდენტობა მინდაო. პრეზიდენტის არჩევნებიც აბსოლუტურად დემოკრატიული იქნება. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თვლის, რომ პრეზიდენტობის შესაბამისი კონცეფცია გააჩნია, სრული უფლება აქვს, კანდიდატურა წამოაყენოს. ვინც ამისთვის მზადაა, ჩვენ არანაირად არ შევუშლით ხელს.

**— კი, მაგრამ, კონცეფციაო, ბრძანეთ. ამასთან, ისიც თქვით, ყრილობის დარბაზშიც კი შეიძლება, კაცმა პრეზიდენტობა ისურვოსო. ნუთუ უკეთესი არ იქნება, ფედერაციამ კანდიდატურის წამოყენების ვადა დათქვას? ხმის მიმცემების გარდა ხომ ხალხსაც აინტერესებს, ვის რა ჩანაფიქრი აქვს.**

— ასეა. ყველამ უნდა იცოდეს, კანდიდატი რას აპირებს. ვინც კანდიდატობას მოინდომებს, იმ ხალხის სიას მივცემთ, რომელთაც ხმის უფლება აქვთ. დაბეჭდოს საკუთარი პროგრამა და თითოეულს დაურიგოს.

**— ყრილობა ისევ ერთ დღეს გასტანს?**

— მეტი არცაა საჭირო. განსახილველ-დასამტკიცებელი საკითხები დამსწრეთ წინასწარვე დაურიგდებათ. ვინც ეთანხმება, ხმას მისცემს, ვინც არა, ბუნებრივია, წინააღმდეგ ასწევს ხელს. ალბათ, მხოლოდ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი საშა ჩივაძე გააკეთებს დაახლოებით ნახევარსაათიან მოხსენებას. წინასწარ ჩაეწერებიან მომხსენებლებიც. ჩვენი ყრილობა ფიფასა და უეფას რეგლამენტის შესაბამისად ჩატარდება.

**— ფეხბურთის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამაც ყრილობაზე დამტკიცდება?**

— დიახ. პროგრამის კიდევ ერთხელ რედაქტირების შემდეგ მას საბოლოო სახეს მივცემთ და რესპუბლიკის პრეზიდენტს წარვუდგენთ. პროგრამაში ჯერ კიდევ ბევრი იქნება ჩასასწორებელ-დასამატებელი. ოპონენტთა აზრს გავითვალისწინებთ და მაქსიმალურად დავხვეწთ. ისე, სიტყვამ მოიტანა — რომ გვიკიჟინებენ, საქართველოში ფეხბურთი კვდებაო, ძალიან მაინტერესებს ჩვენს ქვეყანაში რომელი დარგია დალხინებული. სოფლიოს მეურნეობა აიღეთ, მრეწველობა, მშენებლობა, ყველაფერი დალუპულია. მთავარი და უპირველესი ფინანსებია, დაფინანსება. უამისოდ არაფერი გვეშველება. თუ დაფინანსება იქნება, გარწმუნებთ, ქართულ ფეხბურთს სამ-ოთხ წელიწადში ველარავინ იცნობს. ნახავთ, დონე როგორ ამაღლდება.

**— ისევ პირველ კითხვას დავუბრუნდეთ. ყრილობის ობიექტურად ჩატარებისთვის მაინცდამაინც პრეზიდენტის ბრძანებულება იყო საჭირო?**

— ეს ერთი ფაქტორი გახლდათ, რომელსაც ადამიანთა ურთიერთობაც დაემატა. საშა ჩივაძის ავტორიტეტს ვგულისხმობ. არ უყვარს კონფრონტაცია.

**— უხერხული შეკითხვაა, მაგრამ ნოდარ ახალკაცი?**

— ნოდარ ახალკაცი უზარმაზარი პიროვნება იყო. ყველა გენიოსი რთული ხასიათით გამოირჩევა. ყოველივე, ალბათ, ამანაც განაპირობა. ეს ფაქტორი იყო თუნდაც იმავე სპორტის დეპარტამენტთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბების წინაპირობა.

**— თქვენ თუ აპირებთ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე?**

— არა, მსგავსი რამ არასდროს მიფიქრია. მე ალექსანდრე ჩივაძეს ამოვუდგები მხარში და ძველებურად უანგაროდ დავეხმარები.

*საუბარი ნოდარ ახალკაცის ყოფილ კაბინეტში შედგა. ჩვენ ქვემდგომთა მაგიდასთან ვისხედით. პრეზიდენტის სავარძელი კი ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ არავის დაუკავებია. კითხვაც საუბარმა მოიტანა.*

**— ეს სკამი როდემდე იქნება თავისუფალი?**

— მანამ, სანამ ყრილობაზე პრეზიდენტს არ აირჩევენ. იურიდიული პრეზიდენტი დაიკავებს ცხონებული ნოდარ ახალკაცის ადგილს. მანამდე აქ არავინ დაჯდება. ეს სკამიც, კაბინეტიც, მართვის სადავეებიც მისი იქნება.

**— მოდიც, ცოტაც რუსებზე ვისაუბროთ. 30 მაისს მათთან თამაშია დაგეგმილი. ხალხმრავლობაა მოსალოდნელი. სტადიონის პრობლემა გვაქვს.**

— მატჩი ამხანაგური კია, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მხოლოდ ამხანაგობა არ იქნება. ამ თამაშს პოლიტიკური, ფინანსური, სხვაგვარი დატვირთვაც ექნება. ვამბობთ, ამხანაგურიო, თუმცა ყველამ იცის რუსებთან თამაშის მნიშვნელობა. „სარბიელს“ ვთხოვ, იქნებ ხალხს მოუწოდოთ, თავი შეიკავონ, უბილეთოდ სტადიონზე შეღწევას ნუ ეცდებიან, ემოციებს ძალიან ნუ აჰყვებიან. იმ ბილეთში გადახდილი ფული, ყველამ იცოდეს, მხოლოდ ეროვნულ გუნდს წაადგება. ჩვენთვის ხალხის დახმარებაცაა საჭირო. ამ მატჩის და ახალგაზრდულების ბურთაობის ორგანიზაცია დაახლოებით 60 ათასი ლარი ჯდება. ჩვენს მხრებზე გადაივლის სტუმართა მიღება, დაბინავება, კვება, ტრანსპორტირება. რუსები მხოლოდ მგზავრობის ფულს იხდიან. დანარჩენს ჩვენ ვკისრულობთ. ყოველივეს გათვალისწინებით სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ნიკო ლეკიშვილს წერილი მივწერეთ, მისმა პასუხმაც არ დააყოვნა და საგანგებოდ ამ თამაშისთვის ქალაქის მერიასთან საორგანიზაციო შტაბი შეიქმნა. სწორედ ეს შტაბი გააკონტროლებს ყველაფერს. ხალხის მართვა თუ შეუძლებელი გახდა, მაშინ ტრაგედიაც არ არის გამორიცხული. ეჭვი გეპარებათ, რომ ეროვნული სტადიონი გაივსება? ამიტომ იგი მატჩზე დასწრების ზედმეტ მსურველთაგან დაცული იქნება, ბევრი კორდონი დახვდებათ სტადიონზე შემსვლელთ. ბილეთების გაყიდვას 20-დან დავიწყებთ. ბავშვებისთვის იგი 1 ლარი ეღირება, მოზრდილთათვის — 5. იცოდეთ, სტადიონზე უბილეთოდ ჩიტიც ვერ შეფრინდება. მატჩი 18 საათზე დაიწყება. მას რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვიც დაესწრება. იგი და ალექსანდრე ჩივაძე კიშინიოვში დაგეგმილი აღმოსავლეთ ევროპის ფედერაციათა ხელმძღვანელების შეხვედრიდან თამაშის დღეს ჩამოფრინდებიან. რუსების დელეგაციაში 35 კაცი იქნება, ახალგაზრდულისაში კი 25.

მოკლედ, დიდი სანახაობა გველის. ახლა ყველაფერი ჩვენს ქართველობაზეა დამოკიდებული. ტუნისში უკლებლივ ყველა ლეგიონერს შევხვდი და, იცით, რა მითხრეს? დღეებს ვითვლით 30 მაისამდეო. კბილებს ილესავენ, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. ჰოდა, ჩვენ ვიცით. ადრე რუსებთან ყოველი შეხვედრა ზეიმი იყო. ალბათ, ახლაც ასე იქნება.

**კობა ინასარიძე**

---

19 ტური

# ტორპედო ისევ ჩივის

**მარგვეთი გავარდა** | **მოვლენა**

„მარგვეთს“ მრავალი დროება გადაუტანია. ჩემპიონატის ვერცხლის მედლებიც ჩაუჯიბავს და უეფას თასზეც თავი მოუჭრია ქართული ფეხბურთისთვის. ჰქონიათ ცრემლი და დიდი სიხარულიც, მაგრამ მსგავსი სირცხვილი, ამჟამად რომ განიცადეს, არ ყოფილა. „მარგვეთი“ პირველ ჯგუფს დაემშვიდობა. გუნდი ზესტაფონელთა თვალწინ იშლებოდა და მისი გადარჩენა არავის მოუწადინებია. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, ზესტაფონელმა საქმოსნებმა „მარგვეთი“ ერთმანეთის ჯიბეზე გაწირეს. სინამდვილეში რა და როგორ იყო, ღმერთმა უწყის, მაგრამ უძლიერესთა შორის ჯერაც ადგილდაუკარგავი „მარგვეთის“ მეორე ჯგუფში გადაბარგება მოვლენად მოგვაჩნია.

**მოულოდნელობა** | **ლოკომოტივი 0:0 დინამო**

თემურ მახარაძის „ლოკომოტივი“ „დინამოსთან“ საშინაო თამაშში ბევრს განწირული ეგონა, მაგრამ ჩემპიონმა ვაკიდან ქულის მეტი ვერაფერი წაიღო. დინამოელთა თავკაცმა ყველაფერი უვარგის მინდორს დააბრალა, რომელიც მართლაც გაუმარგლავ ყანას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე მრგვალი ბურთის საგორაო ალაგს, მაგრამ აქ მასპინძელთა გუნდის თავკაცის ფაქტორი ყველას ავიწყდება. თუ განვლილ ჩემპიონატს გავიხსენებთ, მაშინ თემურ მახარაძის მიერ ქულაართმეული ყიფიანისეული „დინამოც“ მოგვაგონდება. „მერანმა“ „სინათლეზე“ მომავალი ჩემპიონები ნულოვან ფრეს დააჯერა. ასე რომ, ვაკეში შემდგარი მოულოდნელობა მთლად ულოგიკო არ იყო.

**კოლხეთი 2:2 ტორპედო** | **სკანდალი**

„კოლხეთი“ — „ტორპედოს“ ორთაბრძოლას რა ორომტრიალიც უძღოდა წინ, „სარბიელის“ მკითხველებმა კარგად უწყიან. ერთი ხანობა ფოთელები ქუთაისური კლუბის თავკაცს სასამართლოში ჩავილსაც უპირებდნენ. შეგახსენებთ, რომ მაშინ ჯიქიამ მეტად თამამი განცხადება გააკეთა, როცა მალაღურაძეს „კოლხეთის“ მსაჯი ყოფილხარო შეჰკადრა. ფოთელებმა იმიტომ არ იჩივლეს, რომ ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს ბესიკ ჯიქიას ნაუბარში.

ფოთში „კოლხეთი“ და „ტორპედო“ დაზავდნენ. იყო შეხლა-შემოხლა, ბევრი გინება, მსაჯზე გაწევაც, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ბესიკ ჯიქიამ კვლავაც ვერ მოისვენა. მატჩის შემდეგ ფედერაციაში პროტესტი შეიტანია — ამჯარად „ტორპედოს“ პრეზიდენტს თამაზ ლაცაბიძის ნამსაჯი არ მოსვლია თვალში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მრავალი ვერსიის მოსმენა შეიძლება, მაგრამ ერთიც უნდა ითქვას — „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ მთავარ არბიტრად თავიდან ფედერაციას ბოლო დროს მოღონიერებული ალქსანდრე შილაკაძე ჰყავდა დანიშნული, მაგრამ ბესიკ ჯიქიამ შეთავაზებული მსაჯის კანდიდატურას აცილება მისცა და არბიტრად თამაზ ლაცაბიძე ისურვა. ამიტომ ჯიქიას მიერ ფედერაციაში შეტანილი პროტესტი უცნაურიც კია. მატჩის ჩანაწერის გარჩევისა და სპეციალისტთა თათბირის შემდეგ საქმე სადისციპლინო კომიტეტს გადაეცა, რომელიც ხვალვე უნდა შეიკრიბოს.

**გმირი** | **მიხეილ ქობულაძე**

ამ ტურის გმირად ფოთელთა ტანმაღალი მცველი მიხეილ ქობულაძე გვიცვნია. მას მარცხნივაც უთამაშია, ცენტრშიც და მარჯვნივაც მოუსინჯავს ძალა. არცთუ იშვიათად ფილიას საყრდენადაც გაუმწესებია. ქობულაძე არამარტო დაცვაშია საიმედო, არამედ შეტევაშიც თამამად მიდის და გოლებიც გააქვს. სწორედ მიშას ზუსტმა დარტყმამ იხსნა „კოლხეთი“ ქუთაისელებთან საშინაო თამაშში. ქობულაძე საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და ფეხი არ აჰკანკალებია. ბუნებრივიცაა, როცა სპეციალისტები მის პროგრესს აღნიშნავენ და ფოთელის წინსვლა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებსაც არ რჩებათ თვალთახედვის მიღმა. ქობულაძე იმ 22 კაცშია შეყვანილი, გუცაევი რუსებთან მატჩისთვის რომ გამოიძახებს.

**თამაზ ლაცაბიძე** | **ანტიგმირი**

თამაზ ლაცაბიძე მსაჯობაში ჭიპმოჭრილი კი გახლავთ, მაგრამ როცა შეიტყო, „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ განსჯა მიწევსო, შეიცხადა. არ სურდა ლაცაბიძეს რიონისპირელთა ომში წასვლა, მაგრამ მის სურვილზე ბევრიც რომ არ ჰკიდია, ცხადად გამოჩნდა.

არადა, ლაცაბიძემ ტაიმნახევარი ისე გალია, არავისთვის წუწუნის საბაბი არ მიუცია. მერე კი აირია მონასტერი. მსაჯმა გვასალიას გოლი არ ჩათვალა, ელდარმა თავს ხელი მიაშველაო. მერე სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა. ამბობენ, მსაჯს ფოთელებმა ერთი ორჯერ წაუთაქესო, მაგრამ სტადიონზე ამის დამნახავი არავინ აღმოჩნდა, ხოლო ლაცაბიძე ფიზიკურ ხელყოფას უარობს. ვნახოთ, რა ვერდიქტს გამოუტანენ ლაცაბიძეს. ამის პასუხს სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა მოგვცემს.

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 19 |
| დავით მუჯირი | დინამო | 15 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 14 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 13 |
| გია მეგრელაძე | ტორპედო | 13 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 12 |
| მამუკა რუსია | თსუ | 10 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 9 |
| გრიგოლ გვაზავა | თსუ | 8 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 8 |
| დავით გოდერძიშვილი | ლოკომოტივი | 8 |
| შალვა ისიანი | ოდიში | 8 |
| მალხაზ თევდორაძე | სამგურალი | 8 |
| ჰამლეტ წივწივაძე | კოლხეთი | 8 |
| გიორგი ტყავაძე | სიონი | 7 |
| ლევან ქებაძე | ტორპედო | 7 |
| ზაველ ლაღანიძე | კოლხეთი | 7 |
| დავით ჯანაშია | ტორპედო | 7 |

| მერანი | 1991 | დაარსდა | 1936 | სიონი |
|---|---|---|---|---|
| | 2 500 — სინათლე | სტადიონი | თამაზ სტეფანია — 3 000 | |
| | — | ჩემპიონი | — | |
| | — | თასის მფლობელი | — | |
| | 57 29 13 15 87:60 | A ჯგუფში | 87 30 12 45 111:139 | |

1 ნაჭყებია
3 ე. ალადაშვილი
2 ივანიშვილი 5 გუხრიკიძე
4 გოგიტაძე
6 გეწაძე
8 ინიაშვილი 10 აბაზაძე 7 კაპანაძე
9 ა. ხორხელი
11 მესხი

9 ტყავაძე 10 ჯაგიდისი
8 ჯაფარიძე 7 გოგოლაძე 11 ლ. გაგუა
6 ტარტარაშვილი
3 შაქიაშვილი
5 კ. წიკლაური 2 დ. ბერიძე
4 ძიფშიძე
1 დალაქიშვილი

# ტრადიცია უნდა დაირღვეს

## „კოლხეთთან“ შეხვედრისას აურზაურისთვის სარბიელდისკვალიფიცირებული „მერანი“ დღეს „სიონს“ ავლაბარში „ისნის“, იგივე ასკ-ს სტადიონზე უმასპინძლებს

### არჩევანი

დღეს „ოდიში“ — „კოლხეთია“ — პირველი წრის შედეგითვე დაინტრიგებული მატჩი. ზუგდიდელებმა ფოთში ზვიად ენდელაძის გოლით მოულოდნელად მოიგეს და კოლხებს ამ სეზონში მესამე და ჯერჯერობით ბოლო საშინაო მარცხი აგემეს.

ამ ჩემპიონატამდე ფოთელებს სამი საშინაო წაგება ერთად ძლივს უგროვდებოდათ და წლევანდელი შედეგი შემაშფოთებელი იყო. თუმცა, „კოლხეთი“ რის „კოლხეთია“, პირველობა სამეულს მიღმა დაამთავროს და ტრადიციას, ალბათ, არც წლეულს უღალატებს.

თუ ასეა, დღევანდელი ტურის მატჩად ზუგდიდური შეხვედრა რად არ მონათლეთო, ალბათ, გაგიკვირდებათ. გარკვეულწილად მართალიც იქნებით, მაგრამ თავდაპირველ განზრახვაზე ოდიშართა ბოლოდროინდელმა სუსტმა თამაშმა, მწვრთნელის შეცვლამ და პრეზიდენტის მიკროინფარქტმა აგვაღებინა ხელი.

თანაც, როცა ტურში ისეთი საინტერესო წყვილი თამაშობს, როგორიც „მერანი“ — „სიონია“, რა გასაკვირია, საყოველთაო ყურადღება სწორედ მან რომ მიიპყროს.

### შვიდიდან შვიდი მშვიდობით

„სიონს“ და „მერანს“ ეროვნულ ჩემპიონატში შვიდი შეხვედრა ჩაუტარებიათ. გაგონილა? შეიძლება, ერთმა მეორეს შვიდიდან შვიდი მოუგოს, ისიც შეიძლება, ყველა ერთნაირი ანგარიშით, მაგრამ შვიდიდან შვიდივე ფრედ დასრულდეს, წარმოუდგენელია. თუმცა, ესეც შესაძლებელი ყოფილა.

ეს გუნდები ერთმანეთს პირველად მეორე ჯგუფში შეხვდნენ. ეს 1993 წლის შემოდგომაზე იყო და ამის ჩათვლით ზედიზედ ორ წელიწადს ოთხჯერ დაზავდნენ. შარშანწინ „სიონი“ მარტოკა აღზევდა პირველ ჯგუფში და ამ წყვილსაც წელი გაუცდა. შარშანდლიდან მოყოლებული კი კიდევ სამჯერ შეთანხმდნენ ყაიმზე. შეთანხმდნენო, ხატოვნად ითქმის, თორემ ამათი ორთაბრძოლები ყოველთვის უშაღავათოა. მერე რა, რომ განგების ძალით ეს ბრძოლები შვიდიდან შვიდჯერვე მშვიდობიანად დასრულდა — წერდა „სარბიელი“ ამ შემოდგომაზე. თუ ამას ორ სათასო ეტაპზე ორ-ორჯერ ნათამაშევ ფრესაც დავუმატებთ, მივხვდებით ამ საქმეში ზემოური ხელი რომ ურევია.

### ერთ ბედქვეშ

ამჯერად „მერანისა“ და „სიონის“ მატჩს პრინციპულობას სატურნირო ინტრიგაც მატებს. მათგან, ვინც ახალი (თუმცა რაღა ახალი) დებულების სიმკაცრე საკუთარ ტყავზე გამოსცადა, ორი — „კახეთი“ და „სამტრედია“, გავარდნილია. ასე რომ, ერთმანეთისა კარგად რომ ესმით, ასეთები დღევანდელი ტურის მატჩის მონაწილენი არიან. ავჭალელებს და ბოლნისელებს ერთიც აერთიანებთ. ჩვენს ჩემპიონატს ორსასჯელმოხდილი სწორედ ეს გუნდები შერჩენია.

ოღონდ, თუ „სიონს“ მოგებულ მატჩში წაგება შარშან ჩაეთვალა და გავარდნასაც გადარჩა, „მერანს“ ჯერ ხუთი და მერე ორი ქულა წლეულს ჩამოერთვა. „მერანს“ ჯგუფიდან ულაპარაკოდ გავარდნა მცხეთაში მოგების შემდეგ აღარ ემუქრება, მაგრამ გადათამაშების კანდიდატებიდან ჯერ ვერ გამოვრიცხავთ. ჯერაც არსებობს იმის თეორიული შანსი, რომ თბილისელებს დაკლებას გადარჩენილი 33 ქულა არ ეყოთ. დღეს რომ „მერანმა“ ვერ იმარჯვოს, რისი შესაძლებლობაც დიდია (ტრადიცია მისდა სასიკეთოდ თუ არ დაირღვა), თავი ქუდში ვერაფრით ექნება. მომდევნო ტურში ხავსმოჭიდებულ, თუმცა თამაშნაკლულ „მაღაროელს“ სტუმრობს, ბოლოს კი თემურ მახარაძის გამოისობით მადაზე მოსულ და ლამის მოსისხლედ მოკიდებულ „ლოკომოტივს“ მასპინძლობს.

„სიონისაც“ ვთქვათ. ხუთქულანაკლული წლეულს შარშანდელი გმირობის გამეორებას, ჯგუფში დარჩენას ეცდება. ბოლნისელები, „მერანს“ ხუთი ქულით რომ ჩამორჩებიან, უარეს დღეში არიან. ბოლო ტურებში საევროპოდ მებრძოლ „ტორპედოს“ უნდა დაუხვდნენ და „ოდიშს“ ეწვიონ. ეს გარემოება „სიონს“ სადღეისოდ უეჭველად მოსაგებად განაწყობს, რაც ტრადიციის დასარღვევად მოუწოდებს.

### მწვრთნელები

ჯონი ჯანელიძე და ანზორ გძელიძე ჩვენს ფეხბურთში მრავლისმნახველ მწვრთნელებად მიაჩნიათ. თითოს ამ რვა წლის მანძილზე სულ ცოტა ხუთი გუნდი მოუვლია და მათი მოგზაურობის გეოგრაფია იმდენად ფართო გახლდათ, გასაკვირიც არაა, ქართულ ფეხბურთს ბევრზე უკეთ რომ იცნობდნენ.

მთავარი კი აი, რაა. ორივე მწვრთნელს გუნდის ჩამოყალიბების იშვიათი ნიჭი გააჩნია. ვის არ ეხსომება ჯანელიძის „კოლხეთი“ თუ „მარგვეთი“, გძელიძის გალის „მზიური“. ორივე გუნდის თავკაცი შემტევი, კომბინაციური ფეხბურთის მიმდევარია, ისეთი თამაშის, ძლიერი დაცვით რომაა ზურგგამაგრებული. დასავიწყარი არც ისაა, რომ ერთ, მოკლე მონაკვეთში გძელიძე მეორეჯგუფელ „მერანს“ წვრთნიდა. ვნახოთ, იქნებ მაშინდელი გამოცდილება დღეს მაინც გამოადგეს.

**ვახტანგ გზირაძე**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი „ისანი“ 12 მაისი | | |
| **მერანი ?:? სიონი** | | |
| მსაჯები: | ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ვ. ჩოჩიშვილი, ლ. ფანიაშვილი, ა. ქარქაშაძე (სამივე თბილისი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | | |
| დავითნიძე | | |

### სტატისტიკა

**მერანი — სიონი**

7 0 7 0 9:9

| | |
|---|---|
| 93-94 | სიონი 1:1 მერანი |
| | მერანი 2:2 სიონი |
| 94-95 | სიონი 1:1 მერანი |
| | მერანი 2:2 სიონი |
| 96-97 | მერანი 0:0 სიონი |
| | სიონი 1:1 მერანი |
| | ყაველაშვილი; დანელია |
| 97-98 | სიონი 2:2 მერანი |
| | ტრაპაიძე, ისიანი; |
| | გოდერძიშვილი, დანელია |

**ჯანელიძე — სიონი**

2 2 0 0 1:4

| | |
|---|---|
| 95-96 | შევარდენი 2:1 სიონი |
| 96-97 | კახეთი 2:0 სიონი |

**მერანი — გძელიძე**

3 0 3 0 3:3

| | |
|---|---|
| 96-97 | მერანი 0:0 სიონი |
| | სიონი 1:1 მერანი |
| 97-98 | სიონი 2:2 მერანი |

**ჯანელიძე — გძელიძე**

3 2 1 0 8:2

| | |
|---|---|
| 1990 | კოლხეთი 4:0 მზიური |
| 96-97 | კახეთი 2:0 სიონი |
| 97-98 | სიონი 2:2 მერანი |



მერანი — სიონი 0:0. ლევან ხორხელი ყაველაშვილს და შაქიაშვილს (№8) ვერ გასცდა

## 28 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 21 | 3 | 2 | 71:12 | 61 |
| ბათუმი | 26 | 16 | 6 | 4 | 54:17 | 54 |
| კოლხეთი | 27 | 16 | 6 | 5 | 52:22 | 54 |
| ტორპედო | 26 | 13 | 9 | 4 | 42:22 | 48 |
| ოდიში | 26 | 13 | 4 | 9 | 35:40 | 43 |
| თსუ | 27 | 11 | 6 | 10 | 32:25 | 39 |
| ლოკომოტივი | 27 | 10 | 8 | 9 | 30:34 | 38 |
| დილა | 27 | 10 | 4 | 13 | 24:30 | 34 |
| მერანი | 27 | 11 | 7 | 9 | 34:32 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 7 | 9 | 10 | 23:30 | 30 |
| სიონი | 27 | 9 | 6 | 12 | 43:36 | 28 |
| რუსთავი | 26 | 8 | 3 | 15 | 25:38 | 27 |
| სამგურალი | 27 | 7 | 6 | 14 | 25:48 | 27 |
| გურია | 26 | 5 | 8 | 13 | 26:48 | 23 |
| მაღაროელი | 26 | 5 | 5 | 16 | 21:53 | 20 |
| მარგვეთი | 27 | 2 | 6 | 19 | 19:69 | 12 |

„დინამოს“, და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა „მერანს“ — 7

| | |
|---|---|
| ქუთაისი „გივი კილაძე“ 12 მაისი | |
| **ტორპედო ?:? თსუ** | |
| მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ჩიგოგიძე (ლანჩხუთი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| შეყრილაძე | |

| | |
|---|---|
| წყალტუბო „26 მაისი“ 12 მაისი | |
| **სამგურალი ?:? ვიტ ჯორჯია** | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე; დ. თოდუა (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| | გოჩაშვილი |

| | |
|---|---|
| რუსთავი „ფოლადი“ 12 მაისი | |
| **რუსთავი ?:? ბათუმი** | |
| მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. სამხარაძე (სოხუმი), ბ. ცირდავა (გულრიფში) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| კ. ალადაშვილი | |

| | |
|---|---|
| ზუგდიდი ცენტრალური 12 მაისი | |
| **ოდიში ?:? კოლხეთი** | |
| მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), თ. ჩაგელიშვილი (ქარელი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| გელა ქორიძე, ტყემალაძე | |

| | |
|---|---|
| ზესტაფონი ცენტრალური 12 მაისი | |
| **მარგვეთი ?:? მაღაროელი** | |
| მსაჯები: გ. ასკაროვლი (ქარელი); ლ. რაზმაძე (გორი), ა. მეშკოვი (თბილისი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| | მწყერაშვილი |

| | |
|---|---|
| გორი ცენტრალური 12 მაისი | |
| **დილა ?:? ლოკომოტივი** | |
| მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. დიაკონიძე (სამივე ქუთაისი) | |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| შატაკიშვილი | ამბიძე |

| | |
|---|---|
| თბილისი ეროვნული 12 მაისი | |
| **დინამო ?:? გურია** | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, გ. კოკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი) | |

მეორე ჯგუფი

# ახალბედა და გამოცდილი

ბევრი რამ გაირკვა. მართალია, საბოლოოდ ყველაფერი 2 ივნისის საღამოს გადაწყდება, მაგრამ არმიელებს და სამტრედიელებს რომ პირველი ჯგუფის საგზურს ვერავინ შეეცილება, ნაღდია. დიდებული დებიუტანტი გამოდგა ოთარ კორღალიძე. მწვრთნელობის პირველსავე წელს მეორეჯგუფელი ასკ უძლიერესთა შორის ალაზეაა. კორღალიძეს უმნიშვნელოვანესი გამოცდა წლეულსვე ელის. ვნახოთ, როგორ ათამაშდება პირველ ჯგუფში ძირითადად ვეტერანებისგან შეკოწიწებული გუნდი. ეს ახლო მომავლის საფიქრალია, მანამდე კი კორღალიძე და ასკ დამსახურებულ შვებულებაში წავლენ.

რაც შეეხება ნიკა ამირეჯიბს, გამოცდილი და მრავლისმნახველი სპეციალისტი სიტყვის კაცი გამოდგა. „სამტრედიას გუნდი პირველ ჯგუფში უნდა ჰყავდეს და მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს“ — ეს ამირეჯიბმა მეორე წრის დაწყებამდე თქვა, მაშინ, როცა მთავარ მწვრთნელად ორიოდ დღის დამტკიცებული გახლდათ. მწვრთნელის ძალისხმევით შეკრებილმა ახალგაზრდულმა გუნდმა მეტად უცნაურ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. „იბერია“ თითქმის არ უშვებს გოლს, იშვიათად სჯერდება ფრეს და თუ მოიგებს, აუცილებლად 3:0-ით. დიდი პროგრესის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ სამტრედიელებს ორიოდ გამოცდილი ფეხბურთელის შემატება არ აწყენდათ, რათა პირველ ჯგუფში თავი არ შეირცხვინონ.

ალბათ, ახლა ბევრს ნანობენ ხაშურელები. „ივერიას“ სამტრედილთათვის შინიდან სამი ქულა რომ არ გაეტანებინა, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ახლა სასწაულიც რომ მოხდეს, „ივერიამ“ დარჩენილ ორ მატჩში იმარჯვოს, ხოლო „იბერიამ“ ორივე წააგოს, დებულების თანახმად უპირატესობა მაინც სამტრედილებს მიენიჭებათ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით. ახლა ქართლელებს ხობელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. ამათ დავაში გამარჯვებულს კი პირველჯგუფელი მაჩანჩალა დაელოდება.

აუტსაიდერებიდან თერჯოლელთა საქმეს მოეფინა ნათელი. ამათ მესამე ჯგუფში ჩაქვეითება არ აცდებათ. ამას ვინ ჩივის, ერთ დროს უძლიერესთა შორის მოთამაშე „საპოვნელას“ უსახსრობის გამო სულაც დაშლა ემუქრება. მეორე ჯგუფის დატოვება ხონის „იმერეთს“ და ქარელის „იბერიასაც“ მოუწევთ. ამათ მაშინ მოინდომეს, როცა დანარჩენებს გაზარმაცება დაეტყოთ, მაგრამ დაკარგული დრო და ქულები ვერასგზით დაიბრუნეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

### XXVIII ტური

სამეგრელო — სქური 3:0
ასკ — აკადემია 1:0
მერცხალი — კოლხეთი 2:0
ცხინვალი — საპოვნელა 5:0
მეშახტე — თორი 3:1
ივერია — ფაზისი 3:0
იბერია (ს) — იბერია (ქ) 3:0
კოდაკო — იმერეთი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 28 | 25 | 3 | 0 | 94:13 | 78 |
| იბერია (ს) | 28 | 21 | 4 | 3 | 69:17 | 67 |
| ივერია | 28 | 19 | 4 | 5 | 67:25 | 61 |
| კოლხეთი | 28 | 18 | 3 | 7 | 65:44 | 57 |
| აკადემია | 28 | 16 | 4 | 8 | 71:32 | 47 |
| ცხინვალი | 28 | 14 | 3 | 11 | 61:35 | 45 |
| სქური | 28 | 11 | 2 | 15 | 37:61 | 35 |
| მეშახტე | 28 | 11 | 2 | 15 | 47:55 | 35 |
| ფაზისი | 28 | 10 | 5 | 13 | 52:53 | 35 |
| მერცხალი | 28 | 11 | 1 | 16 | 39:56 | 34 |
| თორი | 28 | 9 | 5 | 14 | 46:63 | 32 |
| სამეგრელო | 28 | 9 | 5 | 14 | 41:60 | 32 |
| კოდაკო | 28 | 8 | 3 | 17 | 35:55 | 27 |
| იბერია (ქ) | 28 | 8 | 3 | 17 | 40:63 | 22 |
| იმერეთი | 28 | 6 | 1 | 21 | 35:104 | 19 |
| საპოვნელა | 28 | 3 | 2 | 23 | 26:89 | 11 |

თასების თასი. ფინალი

# ცრუ დაპირებას არავინ იძლევა

ხვალ, თბილისის დროით დაახლოებით ღამის 12 საათზე თასების თასის მორიგი გათამაშების გამარჯვებულის ვინაობას შევიტყობთ. სტოკჰოლმის „რასუნდას" 37-ათასიან სტადიონზე ინგლისური „ჩელსი" და გერმანული „შტუტგარტი" წარდგებიან ერთმანეთის წინაშე და ყველა ღონეს იხმარენ, რომ თასი თავიანთ ქვეყანაში ჩაიტანონ.

ბევრი თქმულა და, ალბათ სამართლიანადაც, რომ თასების თასის გათამაშება თანდათან ხიბლს კარგავს. ჩემპიონთა ლიგას რომ თავი დავანებოთ, ამ ჯილდოს მოგება გაცილებით ადვილია, ვიდრე უეფას თასის დასაკუთრება. მაგალითად წლევანდელი გათამაშებაც იკმარებს, როცა საკმაოდ საშუალო დონის „ლოკომოტივი" პირველ ოთხ გუნდს შორის მოხვდა და ფინალში გასასვლელად სულ ცოტა დააკლდა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად თასების თასი ევროპის სამ უპირველეს საკლუბო ტურნირს შორის მნიშვნელობით კვლავაც მეორეა და მისი მოპოვება უდიდეს წარმატებად ითვლება.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ხვალინდელ ფინალში გამარჯვებულის წინასწარ დასახელება თითქმის შეუძლებელია. კი, ვიალის „ჩელსის" საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდა ინგლისის პრემიერ დივიზიონში და ლიგის თასის ალებაც მოახერხა, მაგრამ გერმანულ გუნდთან ნებისმიერი ასპარეზობის ფინალის პროგნოზი აბსოლუტურად შეუძლებელია და იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რომ „შტუტგარტს" ძველი დიადი გუნდის სახელიღა თუ შერჩა, დიდი ვერაფერი ნუგეშია ლონდონური კლუბის გულშემატკივართათვის. თუმცა „ჩელსის" ერთგულ ქომაგებს არაფრის გაგონება არ სურთ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ვიალი მათთვის საგანგებოდ მოწყობილ შეხვედრაზე თასის უსიკვდილოდ ლონდონში ჩატანას დაპირდა.

„ჩელსის" ფანებს კი მართლაც მრავლად ელიან „რასუნდაზე". მთელი შვედეთის პოლიცია მობილიზებულია, რათა თავიდან აიცილონ ყოველგვარი გაუგებრობა, რაც ხულიგნობით სახელგანთქმული ინგლისელების გამოხდომებს შეიძლება მიჰყვეს. 1000 პოლიციელი უზრუნველყოფს სიმშვიდეს სტოკჰოლმის აეროპორტიდან სტადიონამდე, ხოლო განსაკუთრებით საშიში გულშემატკივრების ამოცნობაში მათ ამ მატჩისთვის სპეციალურად გამოყოფილი ათი ბრიტანელი და ხუთი გერმანელი პოლიციის ოფიცერი დაეხმარებათ.

— თუკი ქვეყანაში ისეთი ადამიანი დააპირებს შემოსვლას, რომელზეც ეჭვი გვაქვს, რომ თამაშის მსვლელობისას არეულობის გამოწვევას შეეცდება, შვედეთის კანონების თანახმად ჩვენ მას აეროპორტიდანვე უყოყმანოდ უკან გავაბრუნებთ — განაცხადა შვედეთის დედაქალაქის პოლიციელთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა კლას კაელმა.

აღსანიშნავია, რომ ფინალზე „შტუტგარტის" გულშემატკივრების მიზღვავება ნაკლებადაა მოსალოდნელი. გერმანელებმა მათთვის გამოყოფილი 12 ათასი ბილეთიდან 11 ათასი უკან მიაბრუნეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხვალ 13 ათასამდე ერთგული მხარდამჭერის შემახილებით გამხნევებული „ჩელსის" ფეხბურთელები თავს ისე იგრძნობენ, როგორც საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზე".

**ირაკლი ხმელიძე**



ჯან ლუკა ვიალი: უთასობა არ იქნება!

## ინგლისი

### ბოლო ტური

**ბლექბერნი 1:0 ნიუკასლი**

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, ჰენდრი, რიპლი (კროფტი 4, დალინი 73), უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკინლი, ეჩოისი, დაფი, გალაჰერი, სატონი**
**ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ალბერი, პისტონე, უოტსონი, დაბიზასი, ბეტი, ბარნსი (ანდერსონი 54), სპიდი, ქეცბაია (ჰამილტონი 67), შირერი**
**1:0 სატონი (88)**

როგორც იქნა დასრულდა ამაზრზენი ჩემპიონატი ნიუკასლელთათვის — გუნდი, რომელიც აქამდე ზედიზედ ორჯერ გახდა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი, ამჯერად ათეულის მიღმა, სამარცხვინო მე-13 ადგილზე აღმოჩნდა. ახლა უკვე გვიანია იმაზე საუბარი, თუ რამ გამოიწვია სეზონის დასაწყისში ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე გუნდის აგრერიგად დაჩაჩანაკება. მით უმეტეს, ნიუკასლელთა დასნეულების მიზეზებზე, ავად თუ კარგად, საკმაოდ ითქვა.

მიუხედავად იმისა, რომ თემურ ქეცბაიას გუნდი პრემიერლიგის ფსკერისკენ დაიძრა, გუნდმა სამომავლოდ ევროპაში ასპარეზობა მაინც დაიბევა — მათდა ბედად, ლონდონის „არსენალმა" ინგლისის ჩემპიონის ტიტული 11-ედ მოიპოვა და ახლა, რა ანგარიშითაც უნდა დასრულდეს 16 მაისს ასოციაციის თასის ფინალი, „ნიუკასლი" თასების მფლობელთა თასზე ითამაშებს. ცხადია, ათმაგად გასახარი იქნება, თუ კენი დალგლიშს გუნდის ევროსარბიელის საგზურს თასის მფლობელის სტატუსით მოიპოვებს.

სტუმრებს კი ჰქონდათ განაღდებული ევროტურნირებზე თამაში, მაგრამ „ბლექბერნისთვის" ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაჭრელი რჩებოდა — დამარცხების შემთხვევაში როი ჰოჯსონის კლუბი მომავლ სეზონში მხოლოდ შინაურ ასპარეზობებში მონაწილეობის ამედად რჩებოდა. ბლექბერნელთა გასახარად, კლუბის და ამასთანავე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა (ლივერპულელ ოუენთან და ქოვენტრელ დაბლინთან ერთად) კრის სატონმა შეხვედრის დასრულამდე სამი წუთით ადრე, მეტოქის კარისკენ დანიშნული ჯარიმა გოლად აქცია და კლუბიც ევროშეჯიბრების მონაწილე გახადა — შემოდგომიდან ინგლისის 1995 წლის ჩემპიონი „ბლექბერნ როვერსი" უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმება.

— მეტად რთული ჩემპიონატი გამოდგა. სამწუხაროა, რომ იგი ისევე ვერ დავასრულეთ, როგორც დავიწყეთ. არადა, უაზროდ რომ არ დაგვეკარგა ქულები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახალ სულ მცირე, ჩემპიონთა ლიგის საგზური დაბევებული გვექნებოდა. თუმცა რაც მოხდა, მოხდა. როგორც ჩანს, გუნდი წელს ამაზე მაღალ მიზნებისთვის საბრძოლველად მზად არ აღმოჩნდა — გამარჯვებული და უეფას თასის საგზურის მომპოვებელი კლუბის მწვრთნელი როი ჰოჯსონი მთლიანობაში ამ სეზონით უკმაყოფილო გახლდათ. ეს გასაგებიცაა — გუნდი, რომელიც დიდხანს ლიდერთა სამეულში ტრიალებდა, საბოლოოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

# მშვიდობით, აგვისტომდე!

„ბლექბერნმა", რომელიც ერთი პერიოდი კიდეც ლიდერობდა, ჩემპიონატის ბოლო ორი თვე ძალიან სუსტად ჩაატარა — თორმეტიდან ათი შეხვედრა წააგო.

ზემოთ სულ ბლექბერნელებზე ვისაუბრეთ. ბოლოს კი ერთი-ორი სიტყვით ნიუკასლელებიც მოვიხსენიოთ. ჩრდილოინგლისელებმა, როგორც სჩვევიათ, უსახურად ითამაშეს — მათი ფეხბურთი ძალიან პიმიტიული გახლდათ: გარემარბები ფლანგებზე გასვლებს საჯარისოში ჩაწოდებას აყოლებდნენ, იქ კი მთელი „ნიუკასლი" შირერის იმედად იყო. ამბობენ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ეს ძველქართული ანდაზა შირერზეა ზედგამოჭრილი.

**ევერტონი 1:1 ქოვენთრი**

**ევერტონი: მერი, ოკინი, უოტსონი, შორტი, ტილერი, ბოლი, ატკინსონი, ფარელი (მაკენი 90), ბარმბი, მადარი (კადამარტერი 49), ფერგიუსონი**
**ქოვენთრი: ჰედმანი, შოუ, ბაროუსი, ბრინი (უილიამსი 51), ველანი, ჰაკერბი (ჰავორსი 69), სოლტვედტი, ბოატენგი, ნილსონი, ტელფერი (შოლი 89), დაბლინი**
**1:0 ფარელი (7), 1:1 დაბლინი (89)**

საფინალო სასტვენამდე წამებილაა დარჩენილი. „ჰადსონ პარკზე" თავმოყრილი „ევერტონის" ფანები სულმოუთქმელად ელიან შეხვედრის დასასრულს, თითქოს მათი საყვარელი გუნდის გამარჯვების წინ აღარაფერი უდგდას, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, სტუმართა უპირველესი თავდამსხმელი დიონ დაბლინი საჯარიმოსკენ მფრინავ ბურთს თავს მძლავრად უხვედრებს და მასპინძელთა კარს დალაშქრავს. ქომაგთა მდგომარეობას ადვილად წარმოიდგენთ — კლუბს პრემიერლიგიდან დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ!

ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე", „ჩელსიმ" 2:0 დაამარცხა „ბოლტონი" — ამ ამბის გაცხადებას ლამის „ჰადსონ პარკის" დანგრევა მოჰყვა — ევერტონელთა უმთავრესი კონკურენტი „ბოლტონი" დამარცხდა! „ევერტონი" გაისადაც პრემიერლიგაში იქნება!

ფანები მინდორზე გადარბიან, ფეხბურთელებს ეხუტებიან, რამდენიმე „საზრიანი" კი შანსს ხელიდან არ უშვებს და მინდვრის ნაჭრები შინ მიაქვთ სამახსოვროდ. ხარობს ლივერპულის ის ნახევარი, რომელიც „ევერტონს" ქომაგობს.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია ლიგაში რომ დავრჩით! ეს მეორედ დაბადების ტოლფასია. მომავალ ჩემპიონატამდე ადრე კია, მაგრამ დამერწმუნეთ, აწი გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, ვიდრე ეს პრემიერლიგაში დარჩენაა — ევერტონელთა ლიდერი შოტლანდიელ დანკან ფერგიუსონს სიხარულისგან ცრემლი მორეოდა.

და მაშინ, როცა ემოციები ცოტა მიწყნარდა, ლივერპულში ჯანლუკა ვიალის კაცურ კაცობაზეც თქვეს. რატომ? ბოლო ტურამდე „ევერტონის" ფანები ფიქრობდნენ, რომ ვინაიდან „ჩელსის" რამდენიმე დღეში თასების თასის ფინალი ელოდება „შტუტგარტთან", მწვრთნელი „ბოლტონის" წინააღმდეგ შესუსტებულ შემადგენლობას გამოიყვანდა, რაც „ბოლტონს" წარმატების შანსებს გაუზრდიდა, მაგრამ, ევერტონელთა გულისნადები არ გამართლდა — ვიალიმ ჭეშმარიტ სპორტულ პრინციპებს არ უღალატა.

**ჩელსი 2:0 ბოლტონი**

**ჩელსი: დე გოი, პეტრესკუ (პოიეტი 46), ლებეფი, კლარკი, ჰიუზი, უაიზი (დი მატეო 46), გრენვილი, შარპ, მორისი, ნიუტონი, ფლო (ვიალი 46)**
**ბოლტონი: ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ფილიპსი, ბერგსონი (იოჰანსენი 70), შერიდანი (სალაკო 73), ტაგარტი, ფრანდსენი, ბლეიკი, ტეილორი (ჯიალანცა 65)**
**1:0 ვიალი (73), 2:0 მორისი (90)**

პირველი ტაიმი სტუმართათვის სასურველად წარიმართა, მაგრამ მერე შეგირდებზე გამწყრალი მოთამაშე-მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი გამოჩნდა და „ბოლტონსაც" უკან, პირველ დივიზიონში დაბრუნება მოუწია.

**ბარნსლი 0:2 მანჩესტერი**

**ბარნსლი: უოტსონი, ეპლიბი (იდენი 46), შერიდანი, მოუზისი, ბალოკი, ჯონსი, ხრისტოვი (ფიორტოფტი 62), ბერნარდი, ურდი, მორგანი, რედფერნი**
**მანჩესტერი: ვან დერ გოუ, მეი, ბათი, ბრაუნი, პლეგი (მიგინბოტომი 60), კერტისი, მელრინი, ბერგი, გიგზი, კოული, შერინგემი**
**0:1 კოული (5), 2:0 შერინგემი (67)**

ანგარიშის გამხსნელმა ენდი კოულმა ბარნსლელებს პირველ წრეში სამი გოლი გაუტანა, ის მატჩი კი „მანჩესტერმა" 7:0 მოიგო.

**დერბი 1:0 ლივერპული**

**დერბი: პოომი, როუეტი, კ. პაუელი, სტარიჯი, დელაპა, ბოჰინენი (დ. პაუელი 84), ლაურსენი, კარსლი, დეილი, ბაიანო, ვენჩოპი (ბარტონი 77)**
**ლივერპული: ფრიდელი, კვარმე, ბები, პარნესი, ტომასი, კარაგერი, მერფი, ბიორნებიე, რიდლე, ბერგერი, ოუენი**
**1:0 ვენჩოპი (63)**

დერბელმა როი დელაპამ პრემიერლიგაში მესამედ ითამაშა.

**ასტონ ვილა 1:0 არსენალი**

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, იოაკიმი (კოლიმორი 73), საუთგეიტი, ეჰიოგუ, დრაპერი, იორკი, რაიტი, ნელსონი, გრეისონი, ჰენდრი, ბერი**
**არსენალი: სიმენი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, რაიტი (ვრე 66), ანელკა, პარლოუ (პლატი 66), პეტი, კეონი, გრიმანდი, ოვერმარსი**
**1:0 იორკი (37)**

რაც ჯონ გრეგორი ბირმინგემელთა მწვრთნელი გახდა, კლუბმა 12 შეხვედრიდან 10 მოიგო.

**ტოტენჰემი 1:1 საუთჰემპტონი**

**ტოტენჰემი: უოკერი, კალდერვუდი (მებუთი 81), ფოქსი, ნილსენი, კარი, კემპბელი, ბერტი (საინი 57), კლინსმანი, ფერდინანდი, ანდერტონი, ჯინოლა**
**საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი (ვორნერი 39), პალმერი, ლუნდეკვამი, ლე ტისიე, ოუკლი, ოსტენსტადი, დრაიდენი, ბერესფორდი (რიჩარდსონი 79), ბენალი, ჰერსტი (ბიშემი 82)**
**0:1 ლე ტისიე (21), 1:1 კლინსმანი (27)**

„უაით ჰარტ ლეინზე" გამოთხოვების დღე იდგა — კლინსმანმა კლუბიდან წასვლა გოლით აღნიშნა, გარი მებუთმა კი „ტოტენჰემის" შემადგენლობაში უკანასკნელად, 617-ედ ითამაშა.

**ლიდსი 1:1 უიმბლდონი**

**ლიდსი: მარტინი, კელი, უეზეროლი, რადებე (ჯეკსონი 82), ჰარტე, კიუელი (ჰოფკინი 73), ჰაალანდი, ბოუერი, ჰალე, უოლესი (ლილი 73), ჯიმი**
**უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი, პერი, მაკალისტერი, ტეტჩერი, ერლი, რობერტსი, ფეარი, კენედი, იუელი (ეკოკუ 73), ლებერნი**
**1:0 ჰაალანდი (81), 1:1 ეკოკუ (88)**

მასპინძლებმა გიჟმაჟი ლონდონელები ვერ დააოკეს.

**კრ. პალასი 1:0 შეფილდი**

**კრ. პალასი: მილერი, ედვორსი, გორდონი, ჩურჩიჩი (კოლენი 75), ლინიგენი, ლომბარდო, უორჰერსტი, შიპერლი (მორისონი 82), როჯერი, ბენტი, პრიდარსონი**
**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, უოკერი, კარბონე (რუდი 73), ჰაიდი, სტეფანოვიჩი, პინჩკლიფი, ტომი, ბარეტი, სანეტი, დი კანიო**
**1:0 მორისონი (90)**

ყმაწვილკაცმა დებიუტანტმა კლინტონ მორისონმა „კრისტალ პალასს" შინ ამ სეზონში მხოლოდ მეორედ მოაგებინა...

**ვესტ ჰემი 4:3 ლესტერი**

**ვესტ ჰემი: ლამა, ანსუორსი, პირსი, ფერდინანდი, ბერკოვიჩი (მინი 25), ლომასი, ლემპარდი, სინკლერი, აბუ, ლაზარიდისი, ომოიმნი**
**ლესტერი: კელერი, სევიჯი, ჯაპი, კამარკი, ელიოტი, უოლში (კოტი 55), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (პარკერი 46), მარშალი (უილსონი 76), ჰესკი**
**1:0 ლემპარდი (15), 2:0 აბუ (31), 2:1 კოტი (59), 3:1 სინკლერი (65), 3:2 ჰესკი (66), 4:2 აბუ (74), 4:3 კოტი (83)**

ვესტჰემელთა მეკარე ბერნარ ლამამ ბოლო ოთხ მატჩში 15 გოლი გაუშვა.

**ლაშა გოდუაძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაიკლ ოუენი (ლივერპული) | 18 |
| დიონ დაბლინი (ქოვენთრი) | 18 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 18 |
| დენის ბერხკამპი (არსენალი) | 16 |
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 16 |
| ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი) | 16 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 38 | 23 | 9 | 6 | 68:33 | 78 |
| მანჩესტერი | 38 | 23 | 8 | 7 | 73:26 | 77 |
| ლივერპული | 38 | 18 | 11 | 9 | 68:42 | 65 |
| ჩელსი | 38 | 20 | 3 | 15 | 71:43 | 63 |
| ლიდსი | 38 | 17 | 8 | 13 | 57:46 | 59 |
| ბლექბერნი | 38 | 16 | 10 | 12 | 57:52 | 58 |
| ასტონ ვილა | 38 | 17 | 6 | 15 | 49:48 | 57 |
| ვესტ ჰემი | 38 | 16 | 8 | 14 | 56:57 | 56 |
| დერბი | 38 | 16 | 7 | 15 | 52:49 | 55 |
| ლესტერი | 38 | 13 | 14 | 11 | 51:41 | 53 |
| ქოვენთრი | 38 | 12 | 16 | 10 | 46:44 | 52 |
| საუთჰემპტონი | 38 | 14 | 6 | 18 | 50:55 | 48 |
| ნიუკასლი | 38 | 11 | 11 | 16 | 35:44 | 44 |
| ტოტენჰემი | 38 | 11 | 11 | 16 | 44:56 | 44 |
| უიმბლდონი | 38 | 10 | 14 | 14 | 34:46 | 44 |
| შეფილდი | 38 | 12 | 8 | 18 | 52:67 | 44 |
| ევერტონი | 38 | 9 | 13 | 16 | 41:56 | 40 |
| ბოლტონი | 38 | 9 | 13 | 16 | 41:61 | 40 |
| ბარნსლი | 38 | 10 | 5 | 23 | 37:82 | 35 |
| კრ. პალასი | 38 | 8 | 9 | 21 | 37:71 | 33 |

## თურქეთი

34-ე ტური. ანკარაგიუჯიუ — ალთაი 2:3; ქოჯაელი — სამსუნი 0:4; ქარაბუქი — გალათასარაი 2:3; დარდანელი — ბეშიქთაში 0:0; ანთალია — შექერსფორი 3:3; ვანსფორი — გაზიანთეფი 0:0; გენჩლერბირლიგი — ფენერბაჰჩე 1:2; ისთანბული — ქაისერი 1:3; ბურსა — ტრაბზონი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 34 | 23 | 6 | 5 | 86:43 | 75 |
| ფენერბაჰჩე | 34 | 21 | 8 | 5 | 59:25 | 71 |
| ტრაბზონი | 34 | 19 | 9 | 6 | 68:42 | 66 |
| ისთანბული | 34 | 14 | 12 | 8 | 60:42 | 54 |
| სამსუნი | 34 | 15 | 7 | 12 | 46:38 | 52 |
| ბეშიქთაში | 34 | 13 | 9 | 12 | 56:41 | 48 |
| ბურსა | 34 | 13 | 9 | 12 | 52:44 | 48 |
| ალთაი | 34 | 12 | 11 | 11 | 45:51 | 47 |
| ქარაბუქი | 34 | 13 | 5 | 16 | 34:50 | 44 |
| დარდანელი | 34 | 10 | 12 | 12 | 40:40 | 42 |
| ანთალია | 34 | 10 | 11 | 13 | 51:55 | 41 |
| ანკარაგიუჯიუ | 34 | 11 | 8 | 15 | 40:47 | 41 |
| ქოჯაელი | 34 | 11 | 7 | 16 | 42:50 | 40 |
| გაზიანთეფი | 34 | 9 | 11 | 14 | 39:42 | 38 |
| გენჩლერბირ. | 34 | 9 | 11 | 14 | 42:46 | 38 |
| ქაისერი | 34 | 10 | 6 | 18 | 42:63 | 36 |
| შექერსფორი | 34 | 8 | 9 | 17 | 35:73 | 33 |
| ვანსფორი | 34 | 5 | 9 | 20 | 26:71 | 24 |

## საბერძნეთი

32-ე ტური. ოლიმპიაკოსი — აპოლონი 5:3; აეკი — კალამატა 4:2; იონიკოსი — პანათინაიკოსი 0:1; ათინაიკოსი — ოფი 0:2; ირაკლისი — პანილიაკოსი 0:0; კავალა — პანიონისი 1:0; ეთნიკოსი — ქსანტი 1:0; პანახაიკი — პრუდეფტიკი 1:1; ვერია — პაოკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 32 | 28 | 1 | 3 | 85:24 | 85 |
| პანათინაიკოსი | 32 | 25 | 2 | 5 | 79:24 | 77 |
| აეკი | 32 | 21 | 7 | 4 | 58:29 | 70 |
| პაოკი | 32 | 20 | 7 | 5 | 69:40 | 67 |
| იონიკოსი | 32 | 17 | 7 | 8 | 43:29 | 58 |
| ირაკლისი | 32 | 13 | 10 | 9 | 44:39 | 49 |
| ოფი | 32 | 14 | 3 | 15 | 43:52 | 45 |
| ქსანტი | 32 | 12 | 6 | 14 | 49:50 | 42 |
| ვერია | 32 | 11 | 6 | 15 | 36:45 | 39 |
| პანილიაკოსი | 32 | 9 | 9 | 14 | 41:46 | 36 |
| აპოლონი | 32 | 10 | 6 | 16 | 34:45 | 36 |
| პანიონისი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:51 | 32 |
| პანახაიკი | 32 | 9 | 5 | 18 | 28:55 | 32 |
| პრუდეფტიკი | 32 | 8 | 7 | 17 | 32:56 | 31 |
| კალამატა | 32 | 7 | 8 | 17 | 27:47 | 29 |
| კავალა | 32 | 8 | 5 | 19 | 34:57 | 29 |
| ათინაიკოსი | 32 | 6 | 9 | 17 | 23:47 | 27 |
| ეთნიკოსი | 32 | 8 | 3 | 21 | 25:51 | 27 |

## ალბანეთი

31-ე ტური. ფლამურტარი — შკიპონია 2:0; ტომორი — ტეუტა 2:0; დინამო — ლუშნია 3:1; აპოლონია — ბესა 1:0; სკენდერბუ — სოპოტი 3:0; შკუმბინი — ვლაზნია 1:0; ალბპეტროლი — პარტიზანი 2:5; ელბასანი — ლაჩი 5:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაზნია | 31 | 21 | 5 | 5 | 38:20 | 68 |
| პარტიზანი | 31 | 19 | 4 | 8 | 56:21 | 61 |
| ტირანა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:18 | 56 |
| ტეუტა | 31 | 16 | 2 | 13 | 36:34 | 50 |
| აპოლონია | 31 | 14 | 7 | 10 | 37:27 | 49 |
| შკუმბინი | 31 | 15 | 3 | 13 | 47:39 | 48 |
| ლაჩი | 31 | 14 | 3 | 14 | 42:38 | 45 |
| ტომორი | 31 | 14 | 2 | 15 | 34:42 | 44 |
| ელბასანი | 31 | 13 | 4 | 14 | 41:29 | 43 |
| ბილიში | 30 | 12 | 6 | 12 | 38:30 | 42 |
| სკენდერბუ | 31 | 12 | 6 | 13 | 35:43 | 42 |
| ნუშნია | 31 | 12 | 5 | 14 | 49:37 | 41 |
| ფლამურტარი | 31 | 11 | 7 | 13 | 35:38 | 40 |
| დინამო | 31 | 10 | 8 | 13 | 31:32 | 38 |
| ბესა | 31 | 11 | 5 | 15 | 38:44 | 38 |
| შკიპონია | 31 | 10 | 4 | 17 | 29:53 | 34 |
| სოპოტი | 31 | 9 | 5 | 17 | 31:57 | 32 |
| ალბპეტროლი | 31 | 5 | 4 | 22 | 22:85 | 19 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 41 | 23 | 10 | 8 | 51:25 | 79 |
| ესტრემადურა | 41 | 23 | 9 | 9 | 58:36 | 78 |
| ლას პალმასი | 41 | 19 | 15 | 7 | 70:46 | 72 |
| ვილიარეალი | 41 | 18 | 16 | 7 | 49:37 | 70 |
| ბადახოსი | 41 | 15 | 15 | 11 | 46:37 | 60 |
| ლეიდა | 41 | 17 | 9 | 15 | 48:46 | 60 |
| სევილია | 40 | 16 | 10 | 14 | 44:43 | 58 |
| ატლეტიკო | 41 | 15 | 12 | 14 | 62:49 | 57 |
| ეიბარი | 41 | 14 | 15 | 12 | 37:30 | 57 |
| რაიო | 41 | 16 | 9 | 16 | 48:47 | 57 |
| ტოლედო | 41 | 14 | 14 | 13 | 43:45 | 56 |
| ერკულესი | 41 | 14 | 13 | 14 | 46:43 | 55 |
| ლეგანესი | 41 | 13 | 14 | 14 | 45:52 | 53 |
| ოსასუნა | 41 | 13 | 11 | 17 | 35:39 | 50 |
| ორენსე | 41 | 12 | 13 | 16 | 37:44 | 49 |
| ალბასეტე | 40 | 12 | 11 | 17 | 39:51 | 47 |
| ლოგრონიესი | 41 | 10 | 16 | 15 | 38:42 | 46 |
| ნუმანსია | 41 | 10 | 15 | 16 | 32:50 | 45 |
| ხაენი | 41 | 9 | 17 | 15 | 37:50 | 44 |
| ელჩე | 41 | 10 | 12 | 19 | 44:55 | 42 |
| სერესი | 41 | 9 | 13 | 19 | 24:46 | 40 |
| ლევანტე | 41 | 8 | 11 | 22 | 36:56 | 35 |

# იტალია

# იუვენტუსი ჩემპიონია

XXXIII ტური

## პიაჩენცა 3:3 რომა

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მაცოლა, ტრამეცანი, ბონდინი (მურჯიტა 56), ვალოტი, სტროპა, შიენძა, რასტელი (ვალტოლინა 74), პიოვანი (პიოვანელი 68)
რომა: შიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომასი, დი ბიაჯო (პელგუერა 87), დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო, დელ ვეკიო, ტოტი (გაუტიერი 71)
1:0 პიოვანი (45პ), 1:1 დი ფრანჩესკო (45), 1:2 ტოტი (52პ), 2:2 მურჯიტა (57), 2:3 პაულუ სერჟიო (86), 3:3 ვალტოლინა (90)
პიოვანიმ ვერ გაიტანა პენალტი (47)
გაფრთხილება: ტრამეცანი, ვალტოლინა, ძაგო

## მილანი 1:1 პარმა

მილანი: ს. როსი, დაინო, კოსტაკურტა, კრუზი, კარდონე, ციგე, ალბერტინი (ლეონარდო 66), დესაი, ბობანი (დონადონი 40), ვეა, განცი (მანიერო 80)
პარმა: გუარდალბენი, მუსი (ბლომკვისტი 62), ტურამი, კანავარო, აპოლონი, სტანიჩი, დ. ბაჯო, კრიპა, ჯუნტი (ფიორე 74), კიეზა, ასპრილია (ადაილტონი 62)
0:1 კრუზი (16ს.კ.), 1:1 ვეა (55)
გაფრთხილება: კრიპა, ასპრილია

## ემპოლი 3:2 ვიჩენცა

ემპოლი: როკატი, პუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ამეტრანო (ფლორიანჩიჩი 72), პანე (ბიზოლი 90), ფიკინი, ტონეტო, ესპოზიტო, კაპენონი (ლუჩენტი 82), ბონოვი
ვიჩენცა: ბროვიო, კონტე, ვივიანი, დიჩარა (ბელოტი 14), სტოვინი, მენდესი (სკენარდი 79), დი კარლო, ამბროზინი, ძაული, დი ნაპოლი (კოკო 69), ამბროზეტი
0:1 ამბროზეტი (32), 1:1 ესპოზიტო (59პ), 2:1 ბონომი (75), 2:2 სკენარდი (87პ), 3:2 ბალდინი (90)
გაფრთხილება: ამეტრანო, დი კარლე, ამბროზინი, ამბროზეტი
გაძევება: ძაული (30)

## ბარი 2:1 ინტერი

ბარი: მანჩინი, გარსია, ნექროუზი, დე როსა (ჯორჯეტი 66), სალა, დე ასკენტისი (ალბაკი 27, ვენტოლა 66), ვოლპი, ინგესონი, მანიგეტი, მასინგა, ძამბროტა
ინტერი: პალიუკა, სარტორი (ვესტი 77), გალანტე, ფრეზი, ძანეტი, მორიერო (კოლონეზე 69), ვინტერი, პაულუ სოუზა, სიმეონე, ჯორკაეფი (რეკობა 83), რონალდო
0:1 რონალდო (33), 1:1 ვენტოლა (86), 2:1 მასინგა (89)
გაფრთხილება: გარსია, ნექროუზი, ინგესონი, მანიგეტი, მორიერო

## იუვენტუსი 3:2 ბოლონია

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, იულიანო, მონტერო, ტაკინარდი, დეშამპი (ფონსეკა 65), დავიდსი (პეკია 75), პესოტო, ზიდანი, ინძაგი (დი ლივიო 83), დელ პიერო
ბოლონია: სტერკელე, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ნერვო, მაგონი, მაროკი (შალიმოვი 83), ტარანტინო, რ. ბაჯო (კრისტალინი 77), ანდერსონი, კოლივანოვი (ფონტოლანი 57)
0:1 კოლივანოვი (11), 1:1 ინძაგი (34), 2:1 ინძაგი (50), 2:2 ბაჯო (56), 3:2 ინძაგი (81)
გაფრთხილება: ტაკინარდი, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, პარმატი

## სამპდორია 1:1 ლეჩე

სამპდორია: ფერონი, ვერგასოლა, მანინი, მიხაილოვიჩი, კასტელინი, პეზარეზი (სკარკილი 23), ვერონი (ბიიკი 85), ბოლოსიანი, ლაილე, მონტელა, პ. სუარესი (სალსანო 69)
ლეჩე: ლორიევი (აიარდი 5), საკიჩი, ბარონკელი, ბელუჩი, ვიალი (მანკუსო 15, კონტიკიო 33), კოცა, ჯანინი, პიანჯერელი, კასალე, პალმიერი, დე ფრანჩესკო
1:0 სკარკილი (62), 1:1 კოცა (73)
გაფრთხილება: კოცა, კონტიჩიო
გაძევება: სკარკილი (62), კასალე (76)

## ბრეშა 2:1 ნაპოლი

ბრეშა: პავარინი, ა. ფილიპინი, ადანი, დე პაოლა, სავინო (დონი 72), კოზმინსკი, ე. ფილიპინი, საბეუ (პირლო 77), ბანინი, ნერი, უბნერი (ვიცარი 70)
ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, კრასონი, ფაჩი, როსიტო, გორეტი, ლონგო, პანარელი, ტურინი (ალტომარე 64), ბელუჩი, სკარლატო (ასანოვიჩი 46)
0:1 ბელუჩი (55), 1:1 ადანი (60), 2:1 ნერი (81)
უბნერმა ვერ გაიტანა პენალტი (25)
გაფრთხილება: ა. ფილიპინი, უბნერი, როსიტო, გორეტი, ასანოვიჩი
გაძევება: პანარელი (74)

## ლაციო 1:4 ფიორენტინა

ლაციო: მარკეჯანი, გრანდონი, ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი (გოტარდი 51), იუგოვიჩი (ალმეიდა 48), ნედვედი (მარკოლინი 81), კაზირაგი, მანჩინი
ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ფირიკანო, პადალინო, კ. ამორუზო, კოისი, რუი კოშტა (კარტა 86), სერენა, ედმუნდო (მორფეო 83), ბატისტუტა, ოლივეირა (რობიატი 83)
0:1 ოლივეირა (13), 0:2 ედმუნდო (24), 0:3 ბატისტუტა (40), 1:3 სერენა (42ს.კ.), 1:4 რუი კოშტა (84)
გაფრთხილება: ფავალი, კოისი, ედმუნდო
გაძევება: კაზირაგი (68)

## უდინეზე 1:0 ატალანტა

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, პელეგი (ბაკინი 74), ჯანიკეტა, აპია, პინედა, პოჯი (ნავასი 82), იორგენსენი (ემამი 75), ამორუზო
ატალანტა: ფონტანა, ბონაჩინა, კარერა, ბოსელი (დუნდიერსკი 46), სოტილი, მირკოვიჩი, სგრო, გალო (ენგლარო 71), პიაჩენტინი, კაპიოლი, ლუკარელი
1:0 კალორი (90)
გაფრთხილება: პელეგი, ბოსელი, სოტილი, ლუკარელი
გაძევება: ბონაჩინა (31), მირკოვიჩი (71)

სეზონის წინ „იუვენტუსი“ საუცხოო ფორმაში იყო. მან თავისი ასწლოვანი იუბილეს აღსანიშნავი მატჩის პირველ ტაიმში 3:0 მოუგო „ნიუკასლ იუნაიტედს“. სამიდან ორი ახალშეძენილმა ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. მეორე ნახევარში ფაუსტინო ასპრილიას ორმა გოლმა ინგლისელთათვის ანგარიში უფრო საპატიო გახადა. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მთელი იტალიისთვის ნათელი გახდა რა და როგორ განვითარდებოდა მომავალში.

შემდეგ მარჩელო ლიპის გუნდმა მიუნხენის „ბაიერნს“ მოუგო 1:0. ისევ ინძაგიმ გამოიჩინა თავი. ცოტა ხანში კი იტალიის საუკეთესო ბომბარდირმა, რომელმაც ამ ტიტულს წინა სეზონში, ბერგამოს „ატალანტაში“ თამაშის დროს მიაღწია, ქვეყნის სუპერთასზე „ვიჩენცას“ ორი გოლიც შეუგდო (თამაში 3:0 დასრულდა).

„ვიჩენცასთან“ მიღწეული გამარჯვება სეზონის წინ მნიშვნელოვანი გახლდათ და არა იმიტომ, რომ „იუვენტუსმა“ ერთი ჯილდოც მიამატა თავის მდიდარ კოლექციას, არამედ იმიტომ, რომ ეს შეხვედრა გაიმართა ორიოდ დღეში მას მერე, რაც „ბერლუსკონის პრიზზე“ „მილანმა“ „სან სიროზე“ 3:1 მოუგო. „ვიჩენცას“ ძლევა იმას ნიშნავდა, რომ „იუვენტუსს“ დამარცხების შემდეგ ძალთა მოკრების და მოგების უნარი შესწევდა. სეზონის პირველი თვეები „იუვემ“ რონალდოთი გაღონიერებული „ინტერის“ დევნაში გაატარა. იმავდროულად იგი ევროპის ჩემპიონთა ლიგის საშინელ დოლშიც მონაწილეობდა.

„ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2:3 დამარცხების შემდეგ ტურინელებმა ნოემბრის ბოლოს „ფეიენოორდთანაც“ წააგეს. მოულოდნელად ევროპული ფეხბურთი მოლიპულ გზად იქცა, სადაც კედელთან მიყენებული „იუვენტუსის“ ერთადერთი ხსნა შინ „იუნაიტედის“ დამარცხება გახლდათ. და ყველაფერი ეს ზედიზედ ორ ფინალში მონაწილეობის შემდეგ ხდებოდა.

იმ, გადამწყვეტ შეხვედრაში ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა თითქმის მთელ დროს გაუძლეს, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე „სუპერ პიპო“ ინძაგიმ ახლო მანძილიდან თავური გაიტანა და გუნდს მეოთხედფინალში დაუბევა ადგილი.

— მინდა ჩემს ფეხბურთელებს საჯაროდ გადავუხადო მადლობა. რადგან ისინი ვაჟკაცები, უდიდესი თვისებებით შემკული სპორტსმენები არიან. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით. რომც არ გავსულიყავით, მაინც ვიტყოდი — თქვა მაშინ ამაყად ლიპიმ.

როდესაც სეზონზე ჰკითხეს, მან წინასწარმეტყველურად უპასუხა: — ეს უეჭველად შემობრუნების წერტილი იყო.

მომდევნო თვეებმა დაამტკიცეს, რომ ლიპი მართალი იყო. „იუვენტუსმა“ სერია A-ს ცხრილის სათავეში „ინტერი“ შეცვალა და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდა, სადაც მადრიდის „რეალს“ უნდა შეხვდეს.

და მაინც, ტურინში კიევის „დინამოსთან“ ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ საბოლოო გამარჯვებას „იუვენტუსის“ სულის დიდი გამომჟღავნება დასჭირდა. კიევში, საპასუხო მატჩზე ჩასვლამდე „იუვემ“ ოთხი ფრე ითამაშა, რომელთა შორის გახლდათ 2:2 საბრალო „ნაპოლისთან“, რომელიც, თან, იმ მატჩში, მოედანზე 10 ფეხბურთელით დატოვა მსაჯმა.



REUTERS ტურინიდან

ტურინელთა გარჯა დაფასდა — ჩემპიონობა მათია

მიუხედავად ამისა „სუპერ პიპომ“ კიევში ჰეთ-თრიკი შეასრულა და „დინამო“ 4:1 დაენარცხა, შემდეგ ეტაპზე კი სეზონში 30-ზე მეტი გოლის ავტორმა ალესანდრო დელ პიერომ „მონაკოსთან“ გაიმეორა იგივე.

მართალია ევროპულ ასპარეზზე საქმე კარგად აეწყო, მაგრამ იტალიის ჩემპიონატში დაიძაბა მდგომარეობა. იგი ორი კვირის წინ განიმუხტა, მაგრამ ისე, რომ მთელი მსოფლიო და იტალიის პარლამენტიც კი აალაპარაკა.

პრობლემამ თავი პირველად ნოემბერში იჩინა, როდესაც „უდინეზეს“ გერმანელმა ტუზმა ოლივერ ბირჰოფმა ბურთი „იუვეს“ გოლკიპერის ანჯელო პერუცისა და კარის ხაზს მიღმა შეაგდო, მაგრამ ტურინელთა მცველმა ჩირო ფერარამ იგი გასრიალებით დაუბრუნა მოედანს. მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, „იუვენტუსმა“ 4:1 მოიგო.

ეს ინციდენტი, უთუოდ მივიწყებას მიეცემოდა, რომ არა სამი უეჭველი პენალტი, რომელიც ჩემპიონატის განმავლობაში „იუვეს“ კარში არ დანიშნეს და ერთი პენალტი — საჩუქარი, რომელიც მის სასარგებლოდ დაინიშნა.

მეტოქეებმა სკანდალი ატეხეს, გაიძახოდნენ „იუვენტუსს“ მსაჯები მფარველობენ, ისინი მისი გავლენის ქვეშ არიანო. თუმცა ვერც მის დიდ ძალას უარყოფდნენ:

აპრილში დატრიალებული ამბები უფრო მწვავე გამოდგა ვიდრე ის, რამაც თებერვალში „რომას“ მწვრთნელს ათქმევინა: „ჩემპიონი „იუვენტუსი“ გახდება, რადგან ის უძლიერესი გუნდია და რადგან მას მსაჯები ეხმარებიან.“

ტრევორ ჰაგინსი, ფრანს პრესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 33 | 21 | 10 | 2 | 66:27 | 73 |
| ინტერი | 33 | 20 | 6 | 7 | 58:26 | 66 |
| უდინეზე | 33 | 18 | 7 | 8 | 59:39 | 61 |
| პარმა | 33 | 15 | 12 | 6 | 54:36 | 57 |
| ლაციო | 33 | 16 | 8 | 9 | 52:28 | 56 |
| რომა | 33 | 15 | 11 | 7 | 65:42 | 56 |
| ფიორენტინა | 33 | 14 | 12 | 7 | 63:36 | 54 |
| სამპდორია | 33 | 13 | 9 | 11 | 52:53 | 48 |
| ბოლონია | 33 | 11 | 12 | 10 | 53:45 | 45 |
| მილანი | 33 | 11 | 11 | 11 | 37:41 | 44 |
| ემპოლი | 33 | 10 | 7 | 16 | 49:54 | 37 |
| ბარი | 33 | 10 | 7 | 16 | 28:43 | 37 |
| ვიჩენცა | 33 | 9 | 9 | 15 | 35:58 | 36 |
| პიაჩენცა | 33 | 6 | 16 | 11 | 26:37 | 34 |
| ბრეშა | 33 | 8 | 8 | 17 | 42:62 | 32 |
| ატალანტა | 33 | 7 | 10 | 16 | 24:47 | 31 |
| ლეჩე | 33 | 6 | 8 | 19 | 31:69 | 26 |
| ნაპოლი | 33 | 2 | 7 | 24 | 23:74 | 13 |

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 33 | 17 | 14 | 2 | 56:25 | 65 |
| ვენეცია | 33 | 16 | 10 | 7 | 45:26 | 58 |
| კალიარი | 33 | 13 | 16 | 4 | 44:27 | 55 |
| ტორინო | 33 | 14 | 10 | 9 | 44:37 | 52 |
| პერუჯა | 33 | 12 | 13 | 8 | 38:34 | 49 |
| რეჯინა | 33 | 12 | 12 | 9 | 33:33 | 48 |
| რეჯანა | 33 | 12 | 10 | 11 | 34:29 | 46 |
| ჯენოა | 33 | 12 | 9 | 12 | 47:47 | 45 |
| კიევო | 33 | 11 | 11 | 11 | 35:38 | 44 |
| ტრევიზო | 33 | 9 | 15 | 9 | 36:37 | 42 |
| ვერონა | 33 | 11 | 8 | 14 | 40:35 | 41 |
| პესკარა | 33 | 11 | 8 | 14 | 35:43 | 41 |
| მონცა | 33 | 8 | 16 | 9 | 41:45 | 40 |
| ლუკეზე | 33 | 10 | 10 | 13 | 32:41 | 40 |
| ფ.ანრია | 33 | 9 | 12 | 12 | 35:39 | 39 |
| რავენა | 33 | 9 | 11 | 13 | 32:35 | 38 |
| ფოჯა | 33 | 8 | 11 | 14 | 40:47 | 35 |
| პადოვა | 33 | 7 | 12 | 14 | 24:40 | 33 |
| ანკონა | 33 | 6 | 13 | 14 | 37:53 | 31 |
| დი სანგრო | 33 | 5 | 15 | 13 | 35:52 | 30 |

## ფეხბურთის რუკასთან



**აფრიკაში** კონფედერაციის თასის გათამაშების მეორე წრის განმეორებითი შეხვედრები გაიმართა. ანტანანარივოში მადაგასკარის „დომინანიმ“ უგანდის „უმემეს“ სძლია 1:0 და ვინაიდან წინა თამაში 2:3 ჰქონდა წაგებული, შემდეგ ეტაპზე გავიდა. დაკარში კი მეტად საინტერესო სახელის მქონე სენეგალურმა „ჟანა დარკმა“, ისევე როგორც წინა მატჩში, გაბონის „პეტროსპორტს“ 2:0 მოუგო. გაიმართა აფრიკის ჩემპიონთა ლიგის ერთი შეხვედრაც — FC 105 (გაბონი) — „აბიჯანი„ (სპილოს ძვლის სანაპიროები) 2:2. საერთო ჯამში 4:2 მოიგო „აბიჯანმა“.

**იტალიის** თასის წლევანდელ მფლობელს, რომის „ლაციოს“ „პარმას“ თავდამსხმელ ენრიკო კიეზას გადაბირება გადაუწყვეტია. 27 წლის ფეხბურთელი, რომელიც „პარმაში“ ორი სეზონის წინ გადავიდა „სამპდორიიდან“, თავისი ამჟამინდელი კლუბის პრეზიდენტმა 18 მილიონ დოლარად შეაფასა. „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის განცხადებით, იგი ძალებს არ დაიშურებს ამ თანხის მოსაპოვებლად და კიეზას აუცილებლად შეიძენს. როგორც ცნობილია, მან უკვე მრავალი მილიონი დოლარი დახარჯა იუგოსლაველი დეიან სტანკოვიჩის და ჩილელი მარსელო სალასის შესასყიდად. კიეზას „ლაციოში“ გადმოსვლის პერსპექტივა დიდად არ უნდა ხიბლავდეთ გუნდის ვეტერან თავდამსხმელ რობერტო მანჩინის და პიერლუიჯი კაზირაგის, რომელსაც მრავალი ინგლისური კლუბი, მათ შორის „ბლექბერნ როვერსიც“ ეპატიჟება.

**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მცველი მარკუს ბაბელი მომავალ სეზონში ალბათ, „ნიუკასლის“ რიგებში იასპარეზებს. 25 წლის ბაბელს შარშანაც სურდა პრემიერლიგაში, კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა, მაგრამ ბოლო მომენტში თავი შეიკავა და ბუნდესლიგაში დარჩა. მას ნაკრების შემადგენლობაში 28-ჯერ უთამაშია და სავარაუდოდ საფრანგეთი 98-შიც მიიღებს მონაწილეობას.

**ლატვიის** თასის ნახევარფინალური მატჩები: ვენტსპილსი — სკონტო 0:1, ლიეპაია მეტალურგსი — ვალმეირა 3:1. ფინალი: ლიეპაია მეტალურგსი — სკონტო 3 ივნისს გაიმართება.

**ფრანგი** ნახევარმცველი სტეფან კარნო „მონაკოდან“ „ოსერში“ გადავიდა. იგი ერთი წლის წინ მოხვდა „მონაკოში“ მას შემდეგ, რაც „გინგამის“ რიგები დატოვა, მაგრამ წლეულს მხოლოდ შვიდჯერ მოუწია სასტარტო შემადგენლობაში თამაში. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან კონტრაქტი 5 წლით გააფორმა, სატრანსფერო თანხა კი 20 მილიონ ფრანკს (3,3 მლნ დოლარი) შეადგენს.

**ჩეხეთის** ნაკრების ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი სავარაუდოდ „ლივერპულს“ დატოვებს. კლუბის მესვეურთა თქმით, გუნდში ბერგერის კარიერა დასრულებულია, ხოლო მთავარმა მწვრთნელმა როი ევანსმა ჯერ კიდევ მარტში განაცხადა, რომ მზად არის, დაუთმოს ჩეხი ყველას, ვინც 4 მილიონ ფუნტს (6,5 მლნ დოლარი) გადაიხდის. 24 წლის ფეხბურთელი, ევრო 96-ზე წარმატებული თამაშის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიიდან“ გადავიდა „ლივერპულში“, ჩაატარა 31 მატჩი და 10 გოლი გაიტანა, მაგრამ 18 თებერვალს, ლიგის თასის ნახევარფინალში „მიდლსბროსთან“ თამაშის დროს მიღებული ტრავმის შემდეგ ძირითადში მოხვედრა ძლიერ გაუჭირდა. გავრცელდა ხმები, რომ ბერგერით „ბენფიკას“ მთავარი მწვრთნელი გრემ სუნესი დაინტერესდა.

**ბრაზილიელმა** ფეხბურთის მეფემ 10 მაისს გამართულ კონკაკაფის 21-ე კონგრესზე მხურვალედ დაუჭირა მხარი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იოჰანსონს, რომელიც ფიფას თავკაცის პოსტს უმიზნებს. პელეს თქმით, შვედის პროგრამა და იდეები სწორედ რომ ზედგამოჭრილია იმისთვის, რომ ფეხბურთი მომავალში კიდევ უფრო პოპულარული გახდეს. კონკაკაფის შეფმა ჩაკ ბლეიზერმა კი განაცხადა, რომ კონფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია, ორი კანდიდატიდან რომელს დაუჭიროს მხარი და ამის შესახებ საბოლოო განცხადებას 6 ივნისს, საფრანგეთში გააკეთებს.

**მიონხენგლადბახის** „ბორუსიას“ კაპიტანი შტეფან ეფენბერგი მომავალ სეზონში მიუნხენის „ბაიერნს“ დაუბრუნდება. „ჩვენ ვისაუბრეთ და შევთანხმდით“ — განაცხადა მიუნხენელთა მენეჯერმა ული ჰიონესმა მას შემდეგ, რაც „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში დორტმუნდის „ბორუსია“ გაანადგურა 4:0. ეფენბერგი 1990-92 წლებშიც თამაშობდა ამ კლუბის შემადგენლობაში. მისი ახალი კონტრაქტი 3-წლიანია და 10 მილიონ მარკად არის შეფასებული. 29 წლის ნახევარმცველს გერმანიის ნაკრებში 33 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩადენილი ულირსი საქციელის შემდეგ მისი სანაკრებო კარიერა დროზე ადრე დასრულდა.

**პოლონეთის** 28-ე ტური: გროცლინი — ზაგლებიე 1:3; ვიძევი — გკს 2:0; ამიცა — ლეგია 0:1; პეტროხემია — ლკს 1:1; სტომილი — ოსტროვიეცი 2:0; პოგონი — ლეხი 0:0; პოლონია — გურნიკი 3:1; რუხი — ვისლა 1:0; რაკოვი — ოდრა 0:2. 55 ქულით ლიდერობს ლკს. მას 4 ქულით ჩამორჩება პოლონია.

**საფრანგეთის** „ტულუზის“ მთავარ მწვრთნელად გაი ლაკომბო დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ნანტის ყოფილი ნახევარმცველი წინა სეზონში კანს წვრთნიდა, მაგრამ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო, კლუბის დატოვება მოუხდა. ახლა კი მან ასევე პირველი ჯგუფის წევრ ტულუზასთან გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. როგორც ცნობილია, ტულუზელთა ყოფილი თავკაცი ალან ჟიოესი მომავალი სეზონიდან პსჟ-ს გაწვრთნის.

**არგენტინის** „რივერ პლეიტმა“ ხუთშაბათს ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეორე წრის საპასუხო მატჩში მექსიკის „ამერიკა“ 1:0 დაამარცხა და ორი შეხვედრის ჯამში შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. გამარჯვების მომტანი გოლი 50-ე წუთზე მასპინძელმა სანტიაგო სოლარიმ შეაგდო. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის მექსიკაში გამართულ პირველ შეხვედრაში ფრე 1:1 დაფიქსირდა.

**დანიის** ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის“ თავდამსხმელმა ბრაიან ლაუდრუპმა კვირას ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მიუხედავად „ჩელსის“ მიერ შემოთავაზებული მეტად მიმზიდველი კონტრაქტისა, უარყოფს ლონდონელთა წინადადებას, თუ ეს უკანასკნელნი დროზე არ გადაჭრიან ფეხბურთელის ტრანსფერის თაობაზე შოტლანდიელებთან წარმოქმნილ უთანხმოებას. დანიელი ვარსკვლავი იმედოვნებდა, რომ როგორც თავისუფალ აგენტს, არავითარი წინააღმდეგობა არ შეექმნებოდა ჯანლუკა ვიალის „ჩელსიში“ გადასვლაში, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, „რეინჯერსი“ ასე ადვილად არ აპირებს ლაუდრუპის დათმობას და მასში 6 მილიონ ფუნტს (9,8 მლნ დოლარი) ითხოვს. ლაუდრუპმა ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთისადმი მიცემულ ინტერვიუში დანანებით აღნიშნა, რომ გაოცებულია რეინჯერსის ხელმძღვანელობის საქციელით. — თუ ისინი დაჟინებით მოითხოვენ თანხას ჩემში, მაშინ ინგლისში გამგზავრებაზე უარის თქმა მომიწევს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ რეინჯერსში დავრჩები. მე ნაწყენი ვარ ჩემდამი მათი დამოკიდებულებით, რადგან კლუბის მესვეურნი სულაც არ მექცევიან ისე, რასაც ოთხი წლის განმავლობაში გუნდის ერთგული ფეხბურთელი იმსახურებს — თქვა გულგატეხილმა დანიელმა. გასულ თებერვალში, როდესაც ლაუდრუპმა ჩელსიში გადასვლის სურვილი გამოთქვა, იგი დარწმუნებული იყო, რომ სატრანსფერო თანხაზე საუბარი საერთოდ არ იქნებოდა, მაგრამ რეინჯერსი ჯიუტად დგას თავისაზე და აცხადებს, ბოსმანისეული წესები ბრიტანეთის საზღვრებში დადებულ კონტრაქტებზე არ ვრცელდებაო.

# საუკეთესო ახალბედები

შარშან შემოდგომაზე ხორვატიის ნაკრებმა საფრანგეთის საგზურისთვის გამართულ ორრაუნდიან გათამაშებაში უკრაინის საკმაოდ ძლიერი გუნდი დაამარცხა და პირველად ქვეყნის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე განლაგებულ ბუმერანგის ფორმის ქვეყანაში საოცრად სპორტული ხალხი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში მოხვედრილი 32 ფინალისტთაგან ზოგიერთი ქვეყანა მარტო ფეხბურთელების რაოდენობით აღემატება ხორვატიის მთელ მოსახლეობას, ექსიუგოსლაველები მაინც წამყვან პოზიციებზე არიან მსოფლიოში, როგორც ფეხბურთში, ასევე სპორტის მრავალ სხვა სახეობებშიც. ახლაც, მოახლოვებულ ჩემპიონატზე, ხორვატიის გუნდს საუკეთესო ახალბედად მიიჩნევენ.

— პირველ რაუნდს თუ გავცდით, გარანტიას გაძლევთ, შემდეგ ნებისმიერის დამარცხებას შევძლებთ — თავისი ნაკრების შესახებ გავრცელებულ აზრს ზვონიმირ ბობანიც ეთანხმება.

ბობანი, დავორ შუკერი და რობერტ პროსინეჩკი იუგოსლავიის 20 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობდნენ და 1987 წელს ჩილეში ამ ასაკის გუნდებს შორის გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. შემდეგ, როდესაც 1991 წელს იუგოსლავია რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაიხლიჩა, სამივემ მშობლიური ქვეყნის ღირსების დაცვა აირჩია და იუგოსლავიის ლურჯი ფორმა ხორვატიის დროშის ფერებში გაწყობილ, ჭადრაკის დაფის მსგავს თეთრ-წითელ მაისურში გაცვალა.

მას შემდეგ ამ ქვეყნის ნაკრებმა 41 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 24-ში იმარჯვა, 10 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 7-ში დამარცხდა. აღსანიშნავია მათი ბრწყინვალე სტილში მოგებული თამაშები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიასთან, ყოფილ ევროპის ჩემპიონ დანიასთან და ესპანეთთან.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ხორვატთათვის მეორე დიდი ტურნირი იქნება. მანამდე კი, 1996 წელს, მათ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა დააჭაშნიკეს. შეგახსენებთ, რომ ინგლისში ექსიუგები მეოთხედფინალამდე მივიდნენ, სადაც მომავალ ჩემპიონებთან — გერმანიასთან წააგეს.

მოახლოვებული ჩემპიონატის წინ ხორვატები უაღრესად იმედიანად არიან განწყობილნი. მათ დიდ ტურნირებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილებაც აქვთ და თვლიან, რომ ჯგუფში, სადაც მეტოქეებად არგენტინა, იამაიკა და იაპონია ეყოლებათ, პირველის თუ არა, მეორე ადგილის დაკავება არ უნდა გაუჭირდეთ.

— სავსე ვარ ენერგიით და არც ოპტიმიზმის ნაკლებობას განვიცდი. ისეთი კლასის გუნდის ყოლით, როგორიც ხორვატიაა, მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა თუ დაიკვეხნის — ეს ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მიროსლავ ბლაჟევიჩის სიტყვებია.

ხორვატი ვარსკვლავები დღეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში არიან გაფანტული. სასტარტო შემადგენლობის მხოლოდ ორი კაცი მეკარე დრაჟენ ლადიჩი და პროსინეჩკი თამაშობენ ადგილობრივ „კროაციაში".

ნახევარდაცვის ცენტრალური ფიგურა ბობანი იტალიის „მილანში" გამოდის, ხოლო თავდასხმის სული და გული ალენ ბოქშიჩი, მას შემდეგ, რაც წინა სეზონში „იუვენტუსს" მორიგი სკუდეტოს მოპოვებაში დაეხმარა, წელს რომის „ლაციოში" აჩვენებს ბრწყინვალე თამაშს.

ხორვატიის ნაკრებს თამაშის ამოუცნობი სტილის გამო ხშირად ევროპელ ბრაზილიელებს უწოდებენ. თუმცა კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ გუნდს დისციპლინა და გამარჯვებისკენ მიზანსწრაფვა აკლია.

# ფუტიქსის დროშით

# გერმანელთა პრობლემები

დარჩა
FRANCE 98
28 დღე

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და მონაწილე გუნდების მთავარ მწვრთნელებს უდიდესი თავსატეხი გაუჩნდათ, თუ რომელ მოთამაშეებს მიაკუთვნონ უპირატესობა. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ამ მხრივ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებების თავკაცები არიან. გერმანელთა მთავარ მწვრთნელს, საბრალო ბერტი ფოგტს ამ ბოლო დროს წამოჭრილი ლიბეროს ყბადაღებული პრობლემა იმდენად სერიოზულ გასაჭირად ექცა, რომ ალბათ ყოველდღე იმის ფიქრშია, ნეტავ ჩემპიონატის დაწყების დღე მალე მოვიდეს და საშველი დამადგესო.

საქმე კი იმაშია, რომ გერმანიის ნაკრების ლიბერო, 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი გასულ ოქტომბერში მარცხენა მუხლზე გადატანილი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ ფორმაში ვერაფრით ჩადგა და რამდენიმე დღის წინ მწვრთნელებს განუცხადა, საფრანგეთში ჩემი იმედი ნუ გექნებათო.



„ბაიერნში" კარგი თამაშით ბებერმა მატეუსმა მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატზე დაიბევა ნაკრებში ადგილი

— როდესაც რაიმე პრობლემა წარმომექმნება, ყოველთვის ვაანალიზებ სიტუაციას და ვცდილობ, გავარკვიო, რისი გაკეთება შემიძლია და რისი არა. უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება სწორედ იმათ შორისაა, რისი განხორციელებაც ამ ეტაპზე არ ძალმიძს. ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ თამაში არ შემიძლია, მაგრამ სანამ ასი პროცენტით მზად არ ვიქნები, მოედანზე არ გავალ. მე ძალიან ბევრი რამ მინახავს ფეხბურთში და ეს გამოცდილება მკარნახობს, რომ ახლა რისკზე წასვლის უფლება არა მაქვს. ყველამ იცის, ყოველთვის უსაზღვროდ მიყვარდა ეს თამაში. მას ცხოვრების უდიდესი ნაწილი მივუძღვენი და არ მსურს, გაუმართლებელი საქციელით ჩემს კარიერას საფრთხე შევუქმნა. განაცხადა ზამერმა „კიკერისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ფოგტსისთვის აშკარა გახდა, რომ სასწრაფოდ ახალი კანდიდატების შერჩევა იყო საჭირო. მწვრთნელს დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია და თითქოს მის მიერ ლიბეროობაზე ზამერის მემკვიდრედ დასახელებული ოლაფ ტონის კანდიდატურაც ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი. სამიოდ კვირის წინ გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „შალკეს" 32 წლის კაპიტანმა კოჭის ტრავმა მიიღო და მისი საფრანგეთში თამაში დიდი კითხვის ქვეშ დადგა. და თუმცა თავად გელზერკირხენელი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ სამსოფლიოსჩემპიონატოდ აუცილებლად მორჩება, კულუარებში ლიბეროს პოზიციაზე კიდევ ერთი, კარგა ხნის მივიწყებული კანდიდატის სახელი წამოტივტივდა — გერმანიის ნაკრების უბერებელი ვარსკვლავი ლოტარ მატეუსი.

— თუ ბერტი დამიძახებს, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები და ნაკრებში ისეთივე მონდომებით ვითამაშებ, როგორც ამას 16 წლის წინ, ჩემი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში ვაკეთებდი — თქვა მიუნხენის „ბაიერნის" 37 წლის ლიბერომ გერმანული სატელევიზიო არხის ZDF-ის სპორტულ მიმომხილველთან საუბრისას.

გერმანიაში დღე-დღეზე ელიან ფოგტსის მიერ 22-კაციანი საბოლოო შემადგენლობის დასახელებას და ვეტერან მატეუსს იმედი აქვს, რომ სხვებთან ერთად საფრანგეთში ისიც გაემგზავრება.

— ჩემთვის მეტად საამაყო იქნება ზედიზედ მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. ამიტომ თვრამეტი წლის ბიჭივით მოუთმენლად ველი ნაკრების ფოგტსისეული ვარიანტის გამოქვეყნებას და ვფიქრობ, რომ ჩემს გვარსაც აღმოვაჩენ ამ სიაში. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მწვრთნელის გადაწყვეტილებას მაინც დიდი პატივისცემით მივიღებ — ფრთხილ ნოტაზე დაასრულა თავისი სატელევიზიო ინტერვიუ ლოტარ მატეუსმა.

გერმანელთა კიდევ ერთი ვარსკვლავი იურგენ კლინსმანი, რომელსაც „ბაიერნში" თამაშისას დიდი უთანხმოება ჰქონდა მატეუსთან, აცხადებს, რომ არავითარი საწინააღმდეგო არ ექნება, თუ ფოგტსი ლოტარის ნაკრებში აყვანას გადაწყვეტს.

— გასულ კვირას ჩვენ ვილაპარაკეთ ამის შესახებ და მე ნათლად განვუმარტე მწვრთნელს ჩემი პოზიცია. ლიბეროს პრობლემა მხოლოდ ფოგტსის გადასაჭრელია და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ნაკრების თითოეული წევრი ანგარიშს გაუწევს — თქვა „ტოტენჰემის" 33 წლის თავდამსხმელმა.

თავად კლინსმანი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში თამაშს თავს ანებებს, საფრანგეთში გუნდის შემადგენლობაში კი იქნება, მაგრამ ძირითადში მისი ადგილი ალბათ ვერ გამოინახება. თავდასხმაში ძირითადში თამაშზე ოლივერ ბირჰოფი, ულფ კირსტენი და ოლაფ მარშალი აცხადებენ პრეტენზიას და აღსანიშნავია, რომ ბოლო სეზონი, კლინსმანისგან განსხვავებით, სამივემ ბრწყინვალედ ჩაატარა.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი ის არის, რომ „ბაიერნის" 29 წლის ნახევარმცველი მარიო ბასლერი შეიძლება საერთოდ საფრანგეთის მიღმა დარჩეს. მას მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთათვის აუცილებელი სამედიცინო შემოწმებაც არ გაუვლია და, რაც ყველაზე საინტერესოა, ფეხბურთელისთვის არც არავის მოუთხოვია ამის გაკეთება.

— ოთხშაბათამდე დავიცდი და თუ არ დამიძახებენ, არდადეგებზე წავალ — თქვა ნაწყენმა ბასლერმა.

სამაგიეროდ გერმანიის ნაკრებში ალბათ აუცილებლად მოხვდებიან გამოცდილი მცველები — იურგენ კოლერი და ტომას ჰელმერი. ასევე ნახევარმცველები — ანრეას მიოლერი და ტომას ჰესლერი.

გუნდში სავარაუდოდ რამდენიმე ახალბედაც იქნება. ესენი „ბაიერნის" ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი და მიუნხენ 1860-ის მცველი იენს იერემიესი არიან.

ერთადერთი პრობლემა, რომელიც ფოგტსმა უკვე გადაჭრა — მეკარეებია. პირველ ნომრად დასახელებულ ანდრეას კეპკეს გაჭირვების შემთხვევაში ოლივერ კანი და იენს ლემანი გაუმაგრებენ ზურგს.

შაბათს ბერტი ფოგტსმა დაასახელა გერმანიის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი), იენს ლემანი (შალკე);

მცველები: მარკუს ბაბელი, ტომას ჰელმერი, ლოტარ მატეუსი (ბაიერნი), იურგენ კოლერი, შტეფან როიტერი (ბორუსია, დორტმუნდი), ოლაფ ტონი (შალკე), კრისტიან ვორნსი (ბაიერნი, ლევერკუზენი);

ნახევარმცველები: შტეფან ფროინდი, იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი (ბორუსია, დორტმუნდი), ტომას ჰესლერი (კარლსრუე), დიტმარ ჰამანი, მიჰაელ ტარნატი (ბაიერნი), იენს იერემიესი (მიუნხენი), კრისტიან ციგე (მილანი);

თავდამსხმელები: ოლივერ ბირ-ჰოფი (უდინეზე), ულფ კირსტენი (ბაიერი, ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (ტოტენჰემი, ჰოტსპური), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი)

## ჰოლანდია

გაირკვა იმ 22 კაცის ვინაობა, რომლებიც საფრანგეთში ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. თუმცა მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა განაცხადა, რომ ეს სია საბოლოო არ არის და ნაკრების ოფიციალური შემადგენლობა მოგვიანებით დასახელდება.

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), რუუდ ჰესპი (ბარსელონა), ედ დე გუი (ჩელსი); მცველები: მიხაელ რაიციგერი, უინსტონ ბოგარდი (ბარსელონა), იაპ სტამი, არტურ ნუმანი (ეინდჰოვენი), ფრენკ დე ბური (აიაქსი), ფერდი ვიერკლო (ტენერიფე); ნახევარმცველები: კლარენს ზეედორფი (რეალი), აარონ ვინტერი (ინტერი), რონალდ დე ბური (აიაქსი), ფილიპ კოკუ, ვიმ იონკი (ეინდჰოვენი), ედგარ დევიდსი (იუვენტუსი), ჯოვანი ვან ბრონკხორსტი (ფეიენოორდი); თავდამსხმელები: პიერ ვან ჰოიდონკი (ნოტინგემ ფორესტი), პატრიკ კლუივერტი (მილანი), მარკ ოვერმარსი, დენის ბერხკამპი (არსენალი), ჯიმი (ლიდსი), ბუდევინ ზენდენი (ეინდჰოვენი)

## პარაგვაი

ნაკრების თავკაცებმა დაასახელეს საფრანგეთში წამსვლელი 22 კაცის ვინაობა:

მეკარეები: ხოსე ლუის შილავერი (ველეჟი, არგენტინა), რუბენ რუის დიასი (მონტერეი, მექსიკა), დენილიო აჩევალი (სანტა ფე, არგენტინა). მცველები: პედრო სარაბია, სელსო აიალა (რივერ პლეიტი, არგენტინა), კატალინო რივაროლა (გრემიო, ბრაზილია), ფრანსისკო არსე (პალმეირასი, ბრაზილია), რიკარდო როხასი (ესტუდიანტესი, არგენტინა), დენის კანისა (ოლიმპია), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია). ნახევარმცველები: ხულიო სეზარ ენკისო (ინტერი, ბრაზილია), რობერტო აკუნია (რეალ სარაგოსა, ესპანეთი), ედგარ აგილერა (კერა კორა), კარლოს მორალესი (ხიმნასია, არგენტინა), კარლოს პარედესი (ოლიმპია). თავდამსხმელები: მიგელ ბენიტესი (ესპანიოლი, ესპანეთი), ხულიოს სეზარ იეგროსი (კრუზ ასული, მექსიკა), ხორხე კამპოსი (ბეინ გუოანი, ჩინეთი), ხოსე კარლოსი (ტოლუკა, მექსიკა), არისტიდეს როხასი (სანტა ფე, არგენტინა), სესარ რამირესი (სპორტინგი, პორტუგალია), ჰუგო ბრისუელა (არგენტინის ხუნიორსი, არგენტინა).

## ჩილე

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ იმ 25 კაცის გვარი დაასახელა, რომელთაგანაც საბოლოოდ 22 საუკეთესოს შეარჩევს. აკოსტას თქმით დადგენილზე სამით მეტი მოთამაშე იმად მიუწვევია ნაკრებში, რომ გუნდის წინასაჩემპიონატო მზადებისას რომელიმე ფეხბურთელის დაშავების შემთხვევაში გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

მაშ ასე, მეკარეები: ნელსონ ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა), მარსელო რამირესი (კოლო კოლო), კარლოს ტეხასი (კოკუიმბო); მცველები: ფრანსისკო როხასი, პედრო რეიესი (კოლო კოლო), რონალდ ფუენტესი, კრისტიან კასტანედა, რიკარდო როხასი, მაურიციო აროსი (უნივერსიდად დე ჩილე), მიგელ რამირესი, ხავიერ მარგასი (უნივერსიდად კათოლიკა), მოისოს ვილაროელი (ვანდერერსი), ხორხე გომესი (კობრელოა); ნახევარმცველები: ლუის მუსრი, კლარენს აკუნა (უნივერსიდად დე ჩილე), ნელსონ პარაგუესი, ფერნანდო კორნეხო (უნივერსიდად კათოლიკა), ხოსე ლუის სიერა (კოლო კოლო), ფაბიან ესტაი (ტოლუკა, მექსიკა), მარსელო ვეგა (მეტროსტარსი); თავდამსხმელები: ივან სამორანო (ინტერი), მარსელო სალასი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხუან კარენო (ხუაჩიპატო), მანუელ ნეირა (კოლო კოლო), როდრიგო ბარერა (უნივერსიდად დე ჩილე).

# ირანს პოლიტიკა არ ადარდებს

მას შემდეგ, რაც ირანისა და აშშ-ს ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ ჯგუფში მოხვდნენ, გამუდმებით გაისმის არაორაზროვანი გაფრთხილებები ამ გუნდებს შორის გასამართი შეხვედრის შესაძლო დაძაბულობაზე. ირანელი ფეხბურთელებიც თურმე მოუთმენლად ელიან ამერიკელებთან დაპირისპირებას. თუმცა თავად მოთამაშეების სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი განზრახვები შორს დგას პოლიტიკისგან.

— ირანს არა აქვს კარგი პოლიტიკური ურთიერთობა ამერიკასთან, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია. ჩვენი ხალხი კი მეტად მგრძნობიარეა ამ თამაშის მიმართ და ფეხბურთელებიც შევეცდებით, მათ იმედები არ გავუცრუოთ. ამერიკელებს ნაღდ ვაჟკაცურ ბრძოლას გავუმართავთ და თუ ალაჰი ინებებს, დავამარცხებთ კიდეც — თქვა ირანელთა ნახევარმცველმა მერდად მინავანდიმ, როცა მას მომავალ მატჩის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს.

აზიელთა მთავარმა მწვრთნელმა ტამისლავ ივიჩმა კი განაცხადა, რომ მისი გუნდი ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად ძალებს იკრებს და იგი ერთობ რთული მეტოქე იქნება, თანაც არა მხოლოდ ამერიკისთვის.

— ბიჭები მთელი დაძაბვით ვარჯიშობენ. მეტად სერიოზულად უდგებიან საქმეს და არც მოტივაცია აკლიათ. მე ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გუნდის თავკაცობა მომიწია — თქვა ხორვატმა მწვრთნელმა.

წინა თვეში თეირანში უფერულად ჩატარებული ტურნირის შემდეგ (ირანის ნაკრებმა 0:2 წააგო ჩემპიონატის მიღმა დარჩენილ უნგრეთთან, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში იამაიკას 1:0 სძლია) გუნდი დედაქალაქიდან 300 კილომეტრით დაშორებულ წყნარ ქალაქში — ბორუჯერდში გაემგზავრა წინასაჩემპიონატო შეკრებაზე და გაორმაგებული ენერგიით განაგრძო მზადება.

გუნდში ყველა მოთამაშე ჯანზეა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. მხოლოდ გერმანულ „არმინიას" თავდამსხმელი ალი დაეია დაშავებული. მას გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩში ყბის ძვალი გაუტეხეს და გასულ შაბათს ოპერაციაც კი დასჭირდა. თუმცა ივიჩი მაინც იმედიანადაა განწყობილი:

— ჩვენ არ ვნერვიულობთ, რადგან ვიცით, რომ ალი ყოველთვის ალია. დარწმუნებული ვარ, დაეი დროზე გამოჯანმრთელდება და დიდ სამსახურს გაგვიწევს საფრანგეთში.

სამშაბათს ირანელთა გუნდი შეკრებიდან კვლავ თეირანში დაბრუნდა. მათი შემდეგი გაჩერებები იტალიასა და ხორვატიაში იქნება, სადაც რამდენიმე საჩვენებელ შეხვედრას გამართავენ.

დაეის გარდა კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი — ხოდადად აზიზი და ქარიმ ბაგერი გუნდს სწორედ იტალიაში შეუერთდება.

აზიის 1997 წლის საუკეთესო მოთამაშე აზიზი გერმანულ „კიოლნის" ღირსებას იცავს, ხოლო დაეის თანაგუნდელი, ბილეფილდელი ბაგერი კი აზიის ზონაში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ბომბარდირი გახდა 17 თამაშში 19 გატანილი გოლით. ამ გოლებიდან შვიდი ბაგერიმ ირანი-მალდივეთის 17:0 დასრულებულ მატჩში შეაგდო.

— დღეისთვის ჩვენს განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელებიდან ყველა ჯანმრთელადაა და თავიანთი შესაძლებლობების 80 პროცენტს ავლენს. საბოლოოდ იდეალურ ფორმას კი ისინი გუნდის რომსა და მილანში ყოფნისას მიაღწევენ. ახლა არანაირი აუცილებლობა არ არის იმისა, რომ მათ მეტი მოვთხოვოთ — განაცხადა გუნდის ექიმმა ჰუსეინ ბარატიმ.

შეგახსენებთ, რომ ირანელთა ჯგუფში ამერიკელების გარდა გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებები იასპარეზებენ.

# ჩემი თილისმა ღვთის რწმენა და სიყვარულია

## კარტოზიას და თედიაშვილის ხელდასხმული ელდარ კურტანიძე მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობას გვპირდება



[illegible] ფოტო

**ელდარ კურტანიძემ დროის ათვლა დაიწყო: მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობამდე დარჩა...**

არაერთი სახეობა მოერგო ქართველის უნარსა და ხასიათს და აკი ბევრი დიდი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ჩვენოდენა სპორტულ მონაგარს, მაგრამ ჭიდაობა ამათშიც გამორჩეულია — ჩვენეულია, მოგვდგამს და მსოფლიო დიდი ფალავნების სამშობლოდაც გვიცნობს. ერთი კია, რაც საქართველო თავის პატრონია, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი არ ღირსებია. მიზეზი რაა, კარგად ვიცით — უკიდურესი შეჭირვება და სილატაკე, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ სადიდფალავნე ნიჭის პატრონნი არ დაგვლევიან და ამიტომაცაა, დღედღეზე რომ ველით ჩვენებურის მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობას. საამისოდ ყველაზე დიდი იმედი სოხუმელი ელდარ კურტანიძისა გვაქვს, ამ დღეებში კიდევ ერთხელ რომ გახდა ევროპის ჩემპიონი. ამ ინტერვიუსთვის ელდარს ზედ ბრატისლავაში გამგზავრების წინ მივაკითხეთ, იმიტომ, რომ გვჯეროდა — იჩემპიონებდა!

**— ელდარ, მოდი, ერთხელაც გაიხსენე, როგორ მოხვედი ჭიდაობაში?**

— ძალა ბავშვობიდან მერჩოდა, ამიტომაც იყო, მეზობლები და ოჯახის ახლობლები მოსვენებას არ აძლევდნენ მამაჩემს, რაღას უცდი, ჭიდაობაზე შეიყვანეო. მამაჩემი თავადაც ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი იყო და როცა 1980 წლის ოლიმპიადაზე ვახტანგ ბლაგიძემ გაიმარჯვა, მაშინ გადაწყდა საბოლოოდ ჩემი მოჭიდავეობა. მეც უკვე იმხელა ვიყავი, რომ რაღაც-რაღაცეები მესმოდა. ერთხელაც ავდექი და ჩემს მეგობარ ზური ქალდანს წავყევი ვარჯიშზე. ჩემი პირველი მწვრთნელი შოთა კიკაბიძე გახლდათ.

**— წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი გამარჯვებით მოილიე, ახლა?**

— წელსვე მინდა ჩემი დიდი ხნის ნატვრა ავისრულო და მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდე. ბოლოს და ბოლოს, უხერხულიცაა, ამდენი წელია, მსოფლიოს ჩემპიონი მოჭიდავე აღარ გვყოლია ქართველებს.

**— ერთი წამით გვერდიდან შეხედე შენს თავს და ასე შეაფასე ელდარ კურტანიძე.**

— მადლობა უნდა გითხრათ ამ შეკითხვისთვის. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ხალხს სპორტსმენის მხოლოდ სპორტული შესაძლებლობანი აინტერესებს, არადა, არსებობს მეორე — ადამიანური მხარეც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე, ვთქვათ, შედეგი. ცოტა ძნელი კია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვეცდები ორიოდე სიტყვის თქმას. ელდარ კურტანიძე დინჯი, წყნარი კაცია. ცდილობს, მაშინაც დაიოკოს ემოციები, როცა გამოსახატია. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, ამ ეტაპზე იგი ჩვენი გუნდის ლიდერად ითვლება და უფლებაც არა აქვს, მაგალითი არ უჩვენოს ახალგაზრდებს — ისინი ხომ არა მარტო მოჭიდავეებად, არამედ ადამიანებადაც უნდა ჩამოყალიბდნენ.

სპორტსმენ ელდარ კურტანიძეს რაც შეეხება, ეს სხვებმა უნდა შეაფასონ. ერთს კი გეტყვით, არსებობენ ადამიანები, რომელთაც უდიდეს პატივს ვცემ, ვაფასებ და მათი ნახვა ბავშვობიდან ოცნებად მქონდა გადაქცეული. ეს ის მოჭიდავეები არიან, ვისი ნიჭი და ოსტატობა მსოფლიომ აღიარა. ღმერთს მადლი, მათი აზრი ჩემზე საკმაოდ მაღალია და ჩემი კარიერის უდიდეს ჯილდოდ სწორედ ეს მიმაჩნია. მახსოვს, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გერმანიიდან ჩამოსულს გივი კარტოზიამ მითხრა, შვილო, მე თუ მოვდივარ, იმიტომ, რომ შენი ჭიდაობის ნახვა მინდაო. ლევან თედიაშვილმაც, რახან შენ არსებობ, ჭიდაობაზე მარხვას თავს ვანებებ და გულს ვიბრუნებო, ამ სიტყვებით გამამხნევა. რამხელა ძალა და სტიმული მომცა ამ ბუმბერაზების სიტყვებმა, ვერც წარმოიდგენთ. დანარჩენი თავად განსაჯეთ.

**— რას ნიშნავს შენთვის ჭიდაობა და რა მოგცა სპორტმა?**

— ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ცალსახაა — სპორტმა მომცა ყველაფერი, რაც გამაჩნია, სპორტმა ელდარ კურტანიძე და მისი ოჯახი გადაარჩინა. სპორტს ჩემთვის არ უღალატნია და არც მე ვუღალატებ. კი, მეც მქონია კრიზისული სიტუაციები — ამ დროს არაფერი გაინტერესებს კაცს, ვერც ვარჯიშს ვუდებდი გულს, მაგრამ არასოდეს მითქვამს, უნდა წავიდე, სპორტმა თავი მომაბეზრაო. ამიტომაც, სანამ ჩავთვლი, რომ ჭიდაობა შემიძლია, ვიჭიდავებ. ეს ხომ ჩემი საქმეა. ჭიდაობა რომ არა, ვის ეცოდინებოდა ელდარ კურტანიძე?

**— ამ პასუხიდან გამომდინარე, პოპულარობას როგორ ეგუები?**

— მომწონს, როცა მცნობენ. ჩვენში ხომ ოდითგანვე სცემდნენ პატივს ჭიდაობასა და მოჭიდავეებს. ის კი არა, ირანში, ერთ-ერთ მაღაზიაში ჩემი სურათი ეკიდათ. იქ ხომ ჭიდაობა ისევე პოპულარულია, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთი ბრაზილიაში. ჰოდა, როცა მიცნეს, კინაღამ გაგიჟდნენ, საბითუმო ფასებში მოგვცეს ყველაფერი.

**— წელან თქვი, სპორტმა მე და ჩემი ოჯახი გადაგვარჩინაო...**

— ჰო, ეს აფხაზეთთან დაკავშირებით ვთქვი. უბრალოდ, ჩემი პოპულარობის წყალობით გაგვიადვილდა ჭუბერის უღელტეხილის გადმოლახვა, თორემ მტრისას, რაც იქ ხდებოდა. ნეტა ეს ყოველივე აფხაზებს ჩაედინათ... ჩემი პროფესია გვაცხოვრებს მეცა და ჩემი ოჯახის წევრებსაც. ღვთის ნებით, არ გვშია და არც გვცივა...

**— თუმცა, ეჭვი არაა, პრობლემებიც საკმაოა...**

— პრობლემა, სხვებივით, მეც მრავალი მაქვს, მაგრამ ვეცდები, ბევრი არ ვიწუწუნო და არც ძალიან კრიტიკული ვიყო. საერთაშორისო კლასის სპორტსმენები საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელნიღა დავრჩით და ისევ ქვეყანასა და ხალხს სჭირდება, ამ ადამიანებს ელემენტარული პირობები რომ ჰქონდეთ. ანაზღაურება, რაც გვეკუთვნის, დროულად უნდა მოგვცენ — ამით ისევ ჩვენი სპორტი და ქვეყანა იხეირებს. პირადად მე რაც შემეხება, მეტად ადვილად მაჯერებენ ხოლმე, ყველაფერი რიგზე იქნებაო. არადა, ცხადლივ ვხედავ, ის ენთუზიაზმი, ატლანტის ოლიმპიადის მერე რომ გაგვაჩნდა, სადღაც გაქრა. თუ ასე გაგრძელდა, სიდნეიში ბევრს ვერაფერს მოვიმკით.

**— კერპი თუ გყავს?**

— ლევან თედიაშვილი. მართლაც საარაკოა ამ უგამორჩეულესი მოჭიდავის მიღწევები. ისიც მინდა ვთქვა, რომ ბატონი ლევანისა და ჩემი ბედისწერა ტრაგიზმითაც მსგავსია. მან აფხაზეთში შვილი დაკარგა, მე კი, ოთხი წელიწადია, მამაჩემის კვალს ვერ მივაგენი. ისიც არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. ასე რომ, ჩვენ არა მარტო ჭიდაობა, ცხოვრების სიმწარეც გვაკავშირებს.

**— ელდარ, შენი დონის სპორტსმენებს მრავლად იწვევენ უცხოეთში...**

— საბოლოოდ გადავწყვიტე უარი ვთქვა საზღვარგარეთ წასვლაზე. საქართველოში მიჯობს. აქაური ერთი ლარი მირჩევნია უცხოურ ათასს. სწორად გამიგეთ, ჩემიანებთან ახლოს მინდა ვიყო! მშობლებიც მოიჩიტნენ უკვე, მეტი ყურადღება და ხელი უნდათ. ქართველებად მსურს გავზარდო. საოცრად მაღიზიანებს და გულს მტკენს, როგორ გვარდება ჩვენი გენი და მომავალი თაობა.

**— თილისმა თუ გაქვს?**

— თილისმა? სადაც დავდივარ — შეკრებებზე თუ შეჯიბრზე, მუდამ თან დამაქვს ლოცვანი და ღვთისმშობლის პატარა ხატი. შეიძლება ითქვას, ჩემი თილისმა ღვთის რწმენა და მისი სიყვარულია.

**— სამომავლოდ რაზე ფიქრობს ელდარ კურტანიძე?**

— მომავალში, გითხარით უკვე, ჩემპიონობას ვაპირებ. მინდა მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადა მოვიგო. თან უნივერსიტეტშიც ვსწავლობ — იურიდიულ ფაკულტეტზე. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, არ ჩამოვრჩე თანაკურსელებს, რათა არავინ იფიქროს, ელდარ კურტანიძე ჭიდაობის ხარჯზე ამთავრებს უნივერსიტეტსო. მინდა, სპეციალისტიც ძლიერი ვიყო. მანამდე კი, თუ ელემენტარული პირობები და ხელშეწყობა მექნა, ყველაფერს გავილებ გამარჯვებებისთვის — ჩემი წვლილიც იყოს ქართველ სპორტსმენთა მონაგარში.

**ხვიჩა სანიკიძე**
**კონსტანტინე ბოგიშვილი**



[illegible] ფოტო

ელდარ კურტანიძე ატლანტის ოლიმპიადაზე



# გიორგი ასანიძე გერმანიაშიც დალოცეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

— საჩხერეში ძალოსანთა დარბაზი ჩემი სახლის სიახლოვესაა. პატარა ბიჭები იქ ხშირად შევიძვრებოდით ხოლმე და ინტერესით შევყურებდით, უფროსი ბიჭები როგორ სწევდნენ წარმოუდგენელ სიმძიმეებს. ძალიან მინდოდა, მათსავით დაკუნთული ვყოფილიყავი. ჩემს უფროს ძმას სურდა, მოკრივე გამოვსულიყავი, კრივის სექციაშიც მიმიყვანა, მაგრამ მე ჩემი გეგმები მქონდა. ხელთათმანები სადღაც მოვისროლე და ძალოსანთა ცნობილ მწვრთნელს, ბატონ გოგი თოდაძეს მივაკითხე. სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი და, ჩემდა საბედნიეროდ, ისეთი დიდი სპეციალისტის ხელმძღვანელობით განვაგრძე დასტატება, როგორიც ვანო გრიქუროვია. ბატონი ვანო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის აღმზრდელია.

**— გიორგი, ხომ გაგიგია, ჭირ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილიო. მოდი, შენთვის არცთუ სასიამოვნოდ მოსაგონარი ამბებიც გავიხსენოთ...**

— დისკვალიფიკაციას გულისხმობთ, არა? კი, ბატონო, მით უმეტეს, ღვთის წყალობით, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. 1995 წლის ივლისში ვარშავაში ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. მე 83 კგ-ში გამოვდიოდი და ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვე — ჩემზე ბედნიერი თუ ვინმე დადიოდა ქვეყნად, არ მეგონა. როგორც წესი, გავიარე დოპინგ-კონტროლი და თბილისში დავბრუნდი. ერთი თვის შემდეგ მოდის შეტყობინება, რომ ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა — ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩამომერთვა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი და სამუდამო დისკვალიფიკაციაც მომცეს. ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ვიქნებოდი — სამუდამო დისკვალიფიკაცია სპორტსმენისთვის დახვრეტის ტოლფასია. ჩემთან ერთად დოპინგ-კონტროლი 24-მა ძალოსანმა გაიარა და 18 აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს.

**— კი მაგრამ, რატომ იღებდი ამ პრეპარატებს, ხომ იცოდი, რომ შეგამოწმებდნენ?**

— გგონია, რაიმე განსაკუთრებული და სასწაულმოქმედი წამალი დავლიე? უბრალო პრეპარატია, რომელსაც ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ ყველა სპორტსმენი სვამს ძალის აღსადგენად. ვარშავის მსოფლიოს ჩემპიონატზე დოპინგის გამოსავლენი ახალი აპარატურა გამოსცადეს, რომელიც, შეჯიბრებამდე ორი კვირით ადრე თუ რამ მიუღია სპორტსმენს, ყველაფერს აფიქსირებს. მერე ეს აპარატურა დაიწუნეს, 1996 წლის ბოლოს კი შემიწყალეს და სამუდამო ორწლიანი დისკვალიფიკაციით შემიცვალეს.

**— მთელი წელიწადნახევარი რას საქმიანობდი?**

— დავოჯახდი, ვვარჯიშობდი კიდეც, არა ისეთი დატვირთვით, როგორც მოქმედ სპორტსმენს შეეფერება, მაგრამ ვცდილობდი, ფორმიდან არ ამოვვარდნილიყავი. რატომღაც მჯეროდა, ფიცარნაგს კვლავ დავუბრუნდებოდი. როდესაც სამუდამო დისკვალიფიკაცია მომიხსნეს, მივხვდი, კარგი შანსი მეძლეოდა, ჩემი სიტყვა მეთქვა ძალოსნობაში და ინტენსიური ვარჯიში დავიწყე. ტურნირებში მონაწილეობის მიღება 1997 წლის 13 ივლისის შემდეგ შემეძლო. მსურდა, ამ დროისთვის საუკეთესო ფორმაში ვყოფილიყავი. თბილისში, მით უმეტეს ზამთარში, ძალიან ძნელია ძალოსანმა ნორმალურად ივარჯიშოს, სწორედ ამ დროს შემეხმიანა პოლონეთიდან ვანო გრიქუროვი და თავისთან მიმიპატიჟა. ბატონი ვანო ატლანტის ოლიმპიადაზე პოლონეთის ნაკრების კონსულტანტი იყო და მისმა ერთმა შეგირდმა ბრინჯაოსაც გამოჰკრა ხელი.

**— პოლონეთში გამგზავრებას და იქ მოსამზადებელი ეტაპის გავლას ბევრი ხარჯი დასჭირდებოდა.**

— მართალია, მაგრამ ძალიან დამეხმარნენ სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი. ვარშავაში ვანო გრიქუროვის მეთვალყურეობით ევროპის ჩემპიონატისთვის ნაყოფიერად მოვემზადე. იქვე გადავწყვიტეთ, ჩემი „მშობლიური" 83 კგ-ის ნაცვლად 77-ში მეცადა ბედი.





გიორგი ასანიძე (სურათზე პირველი) ევროპულ კვარცხლბეკზე

**— რატომ უღალატე შენს წონას?**

— წონითი კატეგორიები შეიცვალა, ახლა 83 კილოგრამის ნაცვლად 85-ია. ძალიან მიჭირს წონის მომატება და მწვრთნელის რჩევით წონის კლება ვამჯობინე.

**— გაგიმართლა კიდეც, რომ არა ის საბედისწერო 500 გრამი, ჩემპიონი გახდებოდი. მოდი, დაწვრილებით მოგვიყევი ყველაფერი.**

— 77 კილოში ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. საკმარისია, დავასახელო მსოფლიოს ჩემპიონი ბულგარელი ვანევი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, უნგრელი ატელაკერი, სომეხი კაპანაკციანი. სწორედ ისინი ითვლებოდნენ ფავორიტებად, ჩემი გამოჩენა მათ კომპანიაში ერთგვარი მოულოდნელობა გახლდათ. ასპარეზობა მშვიდად და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დავიწყე. პირველ ცდაზე ატაცში 160 კგ დავძლიე, მეორე ცდაზე 165 კგ-ის აწევით ევროპის რეკორდი გავიმეორე. მსოფლიო რეკორდის დამხობაც ვცადე და 168 კგ შევუკვეთე. ყველა მოძრაობა წესების სრული დაცვით შევასრულე და წონა დავძლიე. უნგრელმა მსაჯმა, ძალოსანთა ენაზე რომ ვთქვათ, რეკორდი დააფიქსირა, ორმა კი, მათ შორის გერმანელმა ქალბატონმა — არა, და საბოლოოდ ატაცში 165 კგ-ს დავჯერდი.

აკვრაში 195 კგ ავწიე და ორჭიდის ჯამში 360 ქულა მოვაგროვე. შემდეგ ფიცარნაგზე ბულგარელ ვანევს უხმეს. მას 200 კგ უნდა დაეძლია და ჩემსავით 360 კილოს დააგროვებდა. თანაბარი ქულების შემთხვევაში კი ვანევი გახდებოდა ჩემპიონი, რადგან იგი 500 გრამით მსუბუქი იყო. ვანევი დიდი გამოცდილების, მებრძოლი სულის ათლეტია და შეძლო ოქროს მედლის მოპოვება. ამასაც არ დასჯერდა და იერიში მსოფლიო რეკორდზე მიიტანა, მაგრამ აკვრისას მარცხენა ხელის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ამ დროს იქვე ვიმყოფებოდი და მის ტკივილისგან გატანჯულ სახეს რომ შევხედე, ძალიან შემეცოდა, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ოქროს მედალი ამაცალა ცხვირწინ.

**— კახი კახიაშვილის ბრინჯაომ ყველა გაგვაოცა. მისგან ხომ მხოლოდ ოქროს ელიან.**

— კახი არ აპირებდა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას. მას მარჯვენა ფეხის კუნთი ჰქონდა დაჭიმული და თვენახევარი არ უვარჯიშია, მხოლოდ ბერძენთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გამოვიდა ფიცარნაგზე და ასე მოუმზადებელმა ბრინჯაო მოიპოვა. საერთოდ, კახიზე ორიოდ სიტყვა მინდა გითხრათ: იგი უდიდესი სპორტსმენია და ამავე დროს ბრწყინვალე პიროვნებაც. კახის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩემი, როგორც პროფესიონალი ძალოსნის ჩამოყალიბებაში. კახიაშვილი სულით ხორცამდე ქართველია და იგი დღესაც ეხმარება ფინანსურად ჩვენს ათლეტებსა და ძალოსნობის ფედერაციას.

**— შენი ევროპაზე წარმატებული გამოსვლა გულშემატკივართათვის კარგი საჩუქარია, საჩხერელები კი განსაკუთრებით გახარებულნი იქნებიან.**

— არამარტო საჩხერე, ვინც კი მიცნობს საქართველოში, ყველა მილოცავს. განსაკუთრებით ჩემი ოჯახია ბედნიერი. ეგ კი არა, დაჯილდოების შემდეგ სასტუმროში რომ მივბრუნდი, ადმინისტრატორმა მიცნო, თურმე ტელევიზიით უყურებდა ჩემპიონატის მსვლელობას. გაიგიჟა კაცმა თავი, ლუდით უნდა გაგიმასპინძლდეო. ჭიქა ღვინო არ დამილევია არასდროს, მაგრამ უარი ველარ შევკადრე ჭარმაგ გერმანელს.

**— გიორგი, მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს ხომ არ უმიზნებ?**

— მსოფლიოს ჩემპიონატს ნოემბერში ფინეთი უმასპინძლებს. უკვე ვემზადები საფინეთოდ, თუმცა ძველმა ტრავმამ თავი შემახსენა, მაგრამ ამასაც მოვევლება. მანამდე, 20-23 ივნისს, უკრაინაში დიდი ტურნირია, იქაც ვაპირებ მონაწილეობას. შემდეგ კვლავ პოლონეთს გავემგზავრები ვანო გრიქუროვთან, იქ გავაგრძელებ ვარჯიშს. მინდა გითხრათ, რომ არამარტო მსოფლიოს ჩემპიონობაზე, არამედ სიდნეის ოლიმპიადის ოქროზე ვოცნებობ და მჯერა, ამ ოცნებასაც ავისრულებ.

**სოსო ქორთქიშვილი**



ზურაბ ტომარაძე

# ძველი ახალი ჩემპიონი

**თბილისის „ვითა“ მეექვსედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამ მოვლენით გამოწვეული სიხარული ჯერაც არ განელებიათ და დღეს ჩემპიონთა ბანაკში ვართ სტუმრად. ვესაუბრებით გუნდის მთავარ მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს.**

**— ზურაბ, სეზონის დასაწყისში თქვით, რომ გუნდმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა შემადგენლობაში და ამიტომ წლეულს მისთვის გარდამავალი პერიოდია. ჩემპიონობისთვის ბრძოლას არ აპირებდით და მერე მოვიდა ეს შეგრძნება, თუ თავიდანვე აქეთკენ იყო გუნდის მზადება მიმართული?**

— ჩემპიონობას არ ვაპირებთო, არ შეიძლება, ითქვას. უბრალოდ, ჩვენ რეალურად ვაფასებთ სიტუაციას და ვიცოდით, რომ ახალმოსულ მოთამაშეებს, ახალგაზრდებს და გუნდში დარჩენილებს გარკვეული დრო სჭირდებათ შესათამაშებლად. შემდეგ ვარჯიშებმა და თვითონ პირველობაზე ჩატარებულმა მატჩებმა გამოკვეთეს გუნდის სათამაშო კონცეფცია. ვირწმუნეთ ჩვენი ძალების და უკვე ჩემპიონობისთვის დავიწყეთ მიზანმიმართული მუშაობა.

**— უფრო როდის იგრძენით, რომ ეს მიზანი მისაღწევია?**

— ალბათ, პლეი ოფების წინ. მე ვამბობ, რომ სეზონის დასაწყისში ჩემპიონობა არ იყო თვითმიზანი, თორემ კარგი გუნდის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, გვინდოდა. პლეი ოფების წინ კი გუნდში იყო საჭირო მორალური განწყობა ამ მიზნის მისაღწევად. კლუბის პრეზიდენტმაც შეგვიწყო ხელი. პლეი-ოფების პერიოდში სულ ერთად ვიყავით, ერთად ვაანალიზებდით მატჩებს და საბოლოო განწყობაც აქედან მოდიოდა.

**— ჩემპიონატის მანძილზე თვალნათლივ ჩანდა, როგორ უმატებდა „ვითა“ თამაშს, პლეი ოფებისთვის კი უკვე საკმაოდ მოძლიერდა. ეს პიკი იყო დაგეგმილი თავიდანვე, თუ უბრალოდ, კარგად დაემთხვა ფინალებს?**

— რა თქმა უნდა, დაგეგმილი იყო. ჩვენს პირობებში, ცივ დარბაზში ვარჯიშისას შეუძლებელია გუნდი სტაბილურად იყოს ფორმაში. ამის საშუალება მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება და, რასაკვირველია, ჩვენ სწორედ მთავარი თამაშებისთვის დავგეგმეთ გუნდისთვის ფორმაში შესვლა.

**— ფინალურ სერიაზე რას იტყვით?**

— „აზოტი“ კარგი გუნდია და ძალიან კარგი მოთამაშეებიც ჰყავს. მათთან ვაჟკაცური ბრძოლა იყო და მეტოქემაც ღირსეულად ითამაშა. მე სრულიად არ ვამცირებ რუსთაველ მოთამაშეთა ღირსებებს, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ფინალურ სერიაში დიდი როლი შეასრულა ერთმა მსაჯმა, გვარს არ დავასახელებ. თავის გულში ჩაიხედოს, რომელმაც უკიდურესი მიკერძოებით იმსაჯა მატჩები. მისი ამგვარი მსაჯობა რომ არა, ჩვენ გაცილებით ნაკრები პრობლემა გვექნებოდა ფინალურ სერიაში. ამან ცუდად იმოქმედა არა მარტო თამაშის ხარისხზე, არამედ ბიჭების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც და მადლობელი ვარ მათი, რომ შეძლეს, შეეკავებინათ თავი ექსცესებისგან, რაშიც, ალბათ, დაინტერესებული იყო ჩვენთვის არაკეთილმოსურნე მსაჯი. ბიჭებმა მთელი ყურადღება თამაშზე გადაიტანეს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს.

**— რუსთაველთა თამაში დიდადაა დამოკიდებული მათ ტანმაღალ მოთამაშეებზე — ჯაფარიძესა და ბოისაზე. თქვენ კი ფინალურ სერიაში, შეიძლება ითქვას, შეძლით მათი პრობლემის გადაჭრა. დაცვის გეგმა საგანგებოდ შეიმუშავეთ?**

— რა თქმა უნდა, ირაკლი ჯაფარიძის ნეიტრალიზება მარტო ჩვენი ტანმაღალი მოთამაშეების — ორმოცაძის, ჩუბინიძისა და კორძაძის დამსახურება არაა. კარგად ითამაშეს წინახაზელებმა, რომლებმაც რუსთაველ მცველებს ჯაფარიძისთვის პასის გადაცემის გზა ჩაუკეტეს. ისინი ისეთნაირ პოზიციას იჭერდნენ, რომ ჯაფარიძისთვის პასის მიღება გაეძნელებინათ და ეს ამოცანა, ჩემი აზრით, შეასრულეს კიდეც. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გვქონდა გამახვილებული რუსთაველთა გამთამაშებლისა და გოგობერიშვილის შორის კომბინაციური თამაშის ჩაჭრაში. რაც შეეხება ბოისას, მის მიმართ უკვე ინდივიდუალური ნეიტრალიზების ხერხი გამოვიყენეთ.



გამარჯვების სიხარული: მამუკა ტურაშვილი და ალეკო დავითულიანი

**— ბოლო მატჩში ძალიან გაამართლეს ახალგაზრდებმა — გიორგი გაგნიძემ და ლაშა ლოსაბერიძემ. არადა, ვქთვათ, ლაშას მანამდე ისე დიდი ხნით არ აყენებდით მატჩზე!**

— ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ლაშას სიცხეები ჰქონდა, ნაავადმყოფარი იყო და ამიტომ სრულად ვერ ვენდობოდი. ბოლო მატჩში კი ისეთი სწრაფი თამაში წავიდა, სადაც ლაშა ძლიერია და გამიმართლა კიდეც. ამასვე ვიტყვი გაგნიძეზე. მასაც შეუძლია ტემპიან თამაშში თავის გამოჩენა.



მამუკა ტურაშვილი ჩემპიონის პრიზით

**— რუსთაველებს სიმაღლეში გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ. სწრაფი თამაში თქვენ აირჩიეთ?**

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მატჩში შევძელით ჩვენი ტემპი მოგვეხვია მოწინააღმდეგისთვის. უფრო სწრაფად, ჩვენთვის სასურველ რიტმში წაგვეყვანა თამაში.

**— ბევრი თვლის, რომ „აზოტს„ ძალიან აკლდა ზაზა გაბისონია. მისი ყოფნა თამაშს გაგიძნელებდათ?**

— გაძნელებით, რა თქმა უნდა, გაგვიძნელებდა. ზაზა მაღალი დონის მოთამაშეა და სწრაფი თამაში შედარებით გაგვიჭირდებოდა. თუმცა მაშინ, ალბათ, სიტუაციისამებრ ვიმოქმედებდით და კიდევ სხვა გზებს გამოვნახავდით მიზნის მისაღწევად.

**— „აზოტს“ და ყველა სხვა გუნდს გამოკვეთილი ლიდერები ჰყავს, რომელთა ნეიტრალიზაციის შემდეგ გუნდის სათამაშო კონდიციები ეცემა. თქვენთან კი მეტოქემ ზუსტად არ იცის, ვისგან უნდა ელოდეს საშიშროებას. ყველა ვთელს შეუძლია გარკვეულ დროს ლიდერის ფუნქცია იკისროს. ეს საგანგებოდ ჩაიფიქრეთ?**

— შექმნილია გუნდის საერთო ნახაზი. ვინც შეასრულებს ამ სათამაშო სქემის კომპონენტებს, ის იქნება გამორჩეული. ამიტომ ჩვენგან ყველას შეუძლია ლიდერობა იტვირთოს. კალათბურთი მაინც კოლექტიური თამაშია. რა თქმა უნდა, ყველას უნდა საკუთარ გუნდში ჯორდანი ჰყავდეს, მაგრამ რა შესაძლებლობებიცაა, ის უნდა გამოიყენო მაქსიმალურად.

**— ახლა სეზონი უკან დარჩა, რა გეგმები გაქვთ?**

— ახლა, ალბათ, ორი კვირით დავასვენებთ ბიჭებს. შემდეგ კი სერიოზულ მუშაობას შევუდგებით. ჩვენ წელს ევროთასზე ვაპირებთ გასვლას. ამიტომ გუნდის შევსება დაგვჭირდება. გვაქვს 10-11 მოთამაშის სია, რომელთაც„ დაველაპარაკებით და ვინც ჩაჯდება ჩვენი გუნდის კონცეფციაში, ავიყვანთ. ახლავე შემიძლია ვქთვა, რომ ალბათ, ჩვენთან ითამაშებს გულივერ ახალკაცი „მაკაბიდან“.

გასაუმჯობესებელია მოთამაშეების ფიზიკური კონდიციებიც. აბრამიძეს, კოკოლიშვილს, კორძაძეს წელს ბევრი გაუცდათ და ამიტომ სასურველ ფიზიკურ ფორმაში უნდა შევიდნენ. მუდმივად უნდა ვითამაშოთ დაცვის გაუმჯობესებაზე რადგან ვისაც დაცვაში არ შეუძლია, თანამედროვე კალათბურთში წინ ვერ წავა. მოკლედ, სამუშაო ბევრია და ჩვენ გვინდა, შემოდგომას სრულად მომზადებული შევხვდეთ.

**— ნაკრების შეკრებაზე ხომ არაა ვინმე გამოძახებული?**

— მგონი, აბრამიძეზე იყო ლაპარაკი. დანარჩენების არაფერი ვიცი. ისე, თუ გამოიძახებენ ნაკრებში ჩვენგან ვინმეს, მივესალმებით, რადგან საქართველოს ნაკრებში ჩვენი მოთამაშის გამოსვლა ჩვენთვის დიდი პატივია.

ახლა კი წლევანდელ ჩემპიონს წარმოგიდგენთ.

**მამუკა აბრამიძე** — გუნდის მთავარი გამთამაშებელი. უნდა ითქვას, რომ ბევრი კალათბურთის მოყვარული მის სანახავად მოდის მოედანზე, რადგან მამუკას თამაშში ყოველთვის იგრძნობა აზრი. იგი კარგად ხედავს მოედანს და თამაშის ტემპსაც საჭიროებისამებრ ცვლის. წლეულს ტრავმების გამო სასურველ ფიზიკურ ფორმაში ვერ არის. როცა ამას აღიდგენს, ალბათ, მისი თამაში კიდევ უფრო სასიამოვნო საყურებელი გახდება.

**მამუკა ტურაშვილი** — მამუკამ წლევანდელი სეზონი საბერძნეთში დაიწყო. შემდეგ სდასუ-ში აღმოჩნდა, ბოლოს კი მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა და დროულადაც. ტურაშვილს ძნელ მომენტებში შეუძლია მატჩის წარმართვა და მოწინააღმდეგის დაცვის დაშლაც ხელეწიფება შორეული სროლებით. მთელი ფინალური სერია ტრავმირებულმა ჩაატარა, მაგრამ ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით დაჩხვლეტილმა ჩინებულად ითამაშა სერიაში.

**ალეკო დავითულიანი** — ალეკო ამ სეზონში ტრავმებმა გატანჯეს. ერთ ტრავმას მეორე ცვლიდა და სრულ მზადყოფნაში ვერ იყო. არადა, ალეკოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური სტილი აქვს და როცა იგი ფორმაშია, მისი შეჩერება შეუძლებელი ხდება. ფინალური სერიის ბოლო შეხვედრაში ასეც მოხდა.

**ამროსი ორმოცაძე** — ორმოცაძე მებრძოლი მოთამაშეა და ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს ორივე ფარქვეშ, თუმცა კრიტიკულ მომენტში თავის თავზე თამაშის აღებაც შეუძლია. გუნდის გაჩემპიონებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

**გოდერძი კორძაძე** — გოდერძიც ტრავმებმა შეაწუხა. სეზონი არათანაბრად ჩაატარა, მაგრამ ფინალურ სერიის მატჩებში თავის სიტყვა მაინც თქვა. კორძაძეს კიდევ აქვს რეზერვი თამაშის გასაუმჯობესებლად.

**ზურაბ ჩუბინიძე** — ჭკვიანი და საზრიანი მოთამაშეა. თითქოს პირველ პლანზე არ ჩანს, მაგრამ ძალიან სასარგებლოა დაცვაშიც და თავდასხმაშიც.

**ნუგზარ კოკოლიშვილი** — თითქმის მთელი სეზონი გააცდინა და ბოლომდე ვერ აღიდგინა სათამაშო კონდიციები, მაგრამ გუნდს მაინც დაეხმარა.

**ლაშა ლოსაბერიძე** — ნიჭიერი მოთამაშეა, რომელსაც არც საბრძოლო ჟინი აკლია, არც სისწრაფე და არც ზუსტი ტყორცნები. ლაშამაც სერიოზული ტრავმა გადაიტანა სეზონში. გამოცდილებას რომ დაიგროვებს, „ვითას“ მისი სახით ძლიერი მოთამაშე ეყოლება.

**გიორგი გაგნიძე** — სეზონის ბოლოს აშკარად მოუმატა თამაშს და რამდენიმე კარგი მატჩიც ჩაატარა. გიორგი ნელ-ნელა ჯდება გუნდში და უკვე კრიტიკულ სიტუაციაში თავის თავზე თამაშის აღებაც შეუძლია. ჩინებულად ითამაშა ფინალურ სერიაში.

**მიხეილ კობეშავიძე** — გუნდის ყოფილი კაპიტანი. მიშამ შარშანდელი სეზონი სერიოზული ტრავმის გამო გამოტოვა. წლეულს კარგად დაიწყო და როცა გუნდი ფეხს იდგამდა, ლიდერის ფუნქციებსაც ასრულებდა. მაგრამ კიდევ ერთმა ტრავმამ ჩემპიონატის დასრულების შანსი არ მისცა.

**ზვიად მიქაძე** — საკმაო მატჩები ითამაშა და არც თუ ურიგოდ, მაგრამ მისი კარგი თამაშები ჯერ კიდევ წინაა.

ირაკლი ბახტაძე, კოტე ტულუში და ტატო ვაშაკიძე იშვიათად ჩანდნენ მოედანზე და მათგან წარმატებულ თამაშს მომავალში უნდა ველოდეთ. რამდენიმე მატჩი ითამაშა შოთა მაჭარაძემაც.

გუნდის პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა კიდევ ერთხელ შექმნა საჩემპიონო გუნდი, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ და მწვრთნელმა გელა წულაძემ პირველობაში გამარჯვებამდე მიიყვანეს. ამაში თავისი წვლილი გუნდის უფროსს დავით გაგნიძეს და ექიმ ალექსანდრე გალპერინსაც მიუძღვით.

მორიგ წარმატებას გისურვებთ, „ვითა“!

**ილია მხეიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტო**



უტევს ზურაბ ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვითა — აზოტი
## ბოლო მატჩის საუკეთესო მოთამაშე სარბიელის ვერსიით

ალეკო დავითულიანი

ალეკო შარშანდელ სეზონში სდასუ-ს შემადგენლობაში თამაშობდა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატში. წელს კი ტრავმებმა გააწამა და მართალია, „ვითას" სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს, ისე მკვეთრად არ გამოირჩეოდა როგორც შარშან. ეს მატჩი კი შესანიშნავად ითამაშა და ისეთ სიტუაციაში აიღო მატჩი თავის თავზე, როცა ჩემპიონებს ბევრი რამ არ გამოსდიოდათ.



— ერთადერთი, გამარჯვების შეგრძნება მქონდა და სწორედ ამ გრძნობით ვთამაშობდი თავიდან ბოლომდე.

**— ალეკო, თქვენ რამდენიმე საჯარიმო გააფუჭეთ. კრიტიკულ მომენტში კი, როცა დაძაბულობა მაქსიმალური იყო, ორივე ზუსტად გამოიყენეთ. როგორ დაიოკე ნერვები?**

— ჩემს უკან იმდენი ვინმე იყო და იმდენი თვალი შემომყურებდა იმედით, რომ ამეცდინა თავს ვერაფრით ვაპატიებდი.

## უზბეკებმა მიგვიწვიეს

21 მაისს უზბეკეთში ტარდება საქართველოს დღეები, სადაც მასპინძლებმა სამთავრობო დელეგაციებთან ერთად ჩვენი სპორტსმენებიც მოიწვიეს. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებიც, ალბათ, ტაშკენტს ეწვევა. ახლა ნაკრები პლეი ოფთან დაკავშირებით არ იკრიბებოდა. თუ გუნდის ტაშკენტში გამგზავრება გადაწყდა, ნაკრების შემადგენლობაც განისაზღვრება და გუნდიც მზადებას შეუდგება.

# ქართველები ნბა-ში?



ვლადიმერ სტეფანია

ნბა შემდეგი სეზონისთვის მზადებას იწყებს და გუნდები შევსებას მთელ მსოფლიოში ეძებენ. უნდა ითქვას, რომ დრაფტში არნახულად ბევრი არაამერიკელი მოთამაშეა, მათ შორის საქართველოს ისტორიაში პირველად ორი ქართველიც — ვლადიმერ სტეფანია და ვახტანგ ნაცვლიშვილი.



ვახტანგ ნაცვლიშვილი

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### თასების თასი. ფინალი

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩელსი — შტუტგარტი | (1,45-2,1) | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

13 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანდერლენდი — შეფილდ იუნაიტედი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჩარლტონი — იფსვიჩი | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი

13 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი — ცსკა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| დინამო — სპარტაკი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| როტორი — ალანია | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXXV ტური

13 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმირა — აუსტრია | 4,2 | 3,5 | 1,6 |
| გრაცერი — შტურმი | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| ლინცერი — ტიროლი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| რაპიდი — ლუსტენაუ | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| ზალცბურგი — რიდი | 1,5 | 3,8 | 4,7 |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

12 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შვედეთი — შვეიცარია | 1,15 | 5,6 | 6,5 |
| ჩეხეთი — ფინეთი | 1,6 | 5,6 | 2,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მეორე წრე

# ჯორდანისგან საშველი არ არის

## აღმოსავლეთი

### ჩიკაგო 2 შარლოტი 1

8 მაისი

**შარლოტი 89:103 ჩიკაგო**

**შარლოტი:** უესლი (7), ფილზი (9), რაისი (31), მეისონი (16), დივაცი (13); ბექი (5), არმსტრონგი (2), უილიამსი (2), გეიგერი (2), რიდი (2), კარი, როიალი

**ჩიკაგო:** ჰარპერი (8), ჯორდანი (27), პიპენი (18), როდმანი (10), ლონგლი (11); კერი (8), კუკოჩი (6), ბარელი (6), უენინგტონი (4), ბიუჰლერი (3), სიმპკინსი (2), ბრაუნი

სერიის მეორე შეხვედრაში მარცხნაჭამი „ჩიკაგო ბულზი" შარლოტს ბრძოლის ჟინითა და რწმენით აღსავსე ჩავიდა და საკმაოდ იოლი გამარჯვებით სერიაში უკვე მეორედ დაწინაურდა. შარლოტელთაგან კარგად მხოლოდ გლენ რაისმა ითამაშა. წინა მატჩში ჩიკაგოს ძლევის მთავარმა შემოქმედებმა — ბი ჯეი არმსტრონგმა და დელ კარიმ ჯამში მხოლოდ და მხოლოდ ორი ქულა გააკეთეს. განსაკუთრებით არმსტრონგია „აღსანიშნავი". ექსჩიკაგოელმა შვიდი სროლიდან ერთადერთი ჩააგდო და ოციოდე წუთის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა დეივ კოუენსმა აღარც გააკარა მოედანს. შარლოტი ხუთგზის ჩემიონს ტოლ-სწორად მხოლოდ პირველ მეოთხედში ეთამაშა, მერე კი ყურები ჩამოყარა და მათი გმირობის სანახავად მოსულ 23 800 მაყურებელთან შერცხვა.

### ინდიანა 2 ნიუ იორკი 1

9 მაისი

**ნიუ იორკი 83:76 ინდიანა**

**ნიუ იორკი:** უორდი (4), ჰიუსტონი (11), ჯონსონი (10), ოკლი (2), იუინგი (19); სტარქსი (12), მილზი (11), ჩილდსი (10), კამინგსი (4)

**ინდიანა:** ჯექსონი (8), მილერი (23), მულინი (16), დ. დევისი (6), სმიტსი (9); როუზი (7), ა. დევისი (5), ბესტი (2), მაკკიი

ნიუ იორკმა შეძლო სერიაში პირველი თამაშის მოგება, რაც გამოჯანმრთელებული იუინგის მთავარი დამსახურებაა. იუინგმა წლევანდელი პლეი ოფის მეორე მატჩში თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი, თანაც მოედნაზე არც ისე დიდი ხანი ყოფილა. მისი მეთაურობით მასპინძლებმა ინდიანოპოლისელები ფარზე გააცამტვერეს 42:27 და 42-დან 14 მეტოქის ფარზე მოხსნეს. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. გუნდები მორიგეობით გადიოდნენ წინ, მაგრამ ბოლო მეოთხედისთვის ინდიანამ შეძლო და რამდენიმექულიანი უპირატესობა მოიპოვა, თუმც ამაოდ. გადამწყვეტ მეოთხედში მასპინძლებმა მშვენივრად ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

### ინდიანა 3 ნიუ იორკი 1

10 მაისი

**ნიუ იორკი 107:118 ინდიანა**

**ნიუ იორკი:** უორდი (13), ჰიუსტონი (19), ჯონსონი (18), ოკლი (8), იუინგი (18); სტარქსი (19), ჩილდსი (9), მილზი (2), კამინგსი(2), ბოვი

**ინდიანა:** ჯექსონი (16), მილერი (38), მულინი (18), დ. დევისი (5), სმიტსი (23); ა. დევისი (6), როუზი (6), ბესტი (4), ფოფი (2), უესტი

სტუმრად პირველი მარცხის შემდეგ ინდიანა სასოწარკვეთილებას არ მისცემია. მეორე დღეს დიდი ომი გაუმართა მასპინძლებს და კიდევ უფრო მიუახლოვდა კონფერენციის ფინალს. წინა მატჩისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა გარკვეულწილად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა თვალშისაცემი იყო ინდიანელი ოლსტრელების — რეჯი მილერისა და რიკ სმიტსის უპირატესობა თავიანთ მეურვეებზე. ამ უკანასკნელმა აჯობა წინა მატჩში მის დამჩაგვრელ პატრიკ იუინგს, რეჯი მილერმა კი სულ აიკლო ნიუიორკელთა დაცვა და პლეი ოფში მათ წინააღმდეგ მეშვიდედ გაიხერხა 30 ქულაზე მეტი. ამასთან, მისმა სამქულიანმა ინდიანა იხსნა და ნიუ იორკი ოვერტაიმში მარცხისთვის გაწირა.

### ჩიკაგო 3 შარლოტი 1

10 მაისი

**შარლოტი 80:94 ჩიკაგო**

**შარლოტი:** უესლი (4), ფილზი (11), რაისი (13), მეისონი (10), დივაცი (15); არმსტრონგი (14), რიდი (6), კარი (5), უილიამსი (2), გეიგერი, ბექი

**ჩიკაგო:** ჰარპერი (6), ჯორდანი (31), პიპენი (17), როდმანი (8), ლონგლი (10); კუკოჩი (15), კერი (2), სიმპკინსი (2), ბარელი (2), ბიუჰლერი, უენინგტონი

„ჩიკაგო ბულზმა" დაამტკიცა, რომ მისი მარცხი შარლოტთან სერიის მეორე მატჩში შემთხვევითობა იყო და არა კანონზომიერება. „ხარებმა" ჯორდანის მეთაურობით ორი დღის წინანდელივით შავი დღე აყარეს მასპინძლებს. ჯორდანს ამჯერად მასზე გაცილებით მაღალი და კუნთმაგარი ენტონი მეისონი მეურვეობდა, მაგრამ მაიკლთან რომ ვერას გახდა, მის თანაგუნდელ დენის როდმანისკენ გაიწია და ხუმრობით დახრჩობა დაუპირა. გიჟმაჟმა როდმანმა კი მას ხუმრობითვე დაუქნია თითი — ჩემთან ეს არ გაგივა, ასეთები ჩემი მოგონილიაო. ჯორდანი კი ვერაფერმა შეაჩერა. მაიკლმა ამ პლეი ოფის 7 თამაში მეხუთედ გადააბიჯა 30-ქულიან ზღვარს. „იგი დიდი მოთამაშეა, შესანიშნავი მსროლელი. მე აღარავინ მყავს, ვინც მის ნახტომში სროლას რაიმეს მოუხერხებს. გამოსავალი მასზე დაჯარიმებაა, მაგრამ რად გინდა, მაინც ყველას აგდებს" — განაცხადა მატჩის შედეგით გულნატკენმა მასპინძელთა მწვრთნელმა დეივ კოუენსმა.

## დასავლეთი

### ლეიკერსი 3 სიეტლი 1

8 მაისი

**ლეიკერსი 119:103 სიეტლი**

**ლეიკერსი:** ფიშერი (5), ჯონსი (29), ფოქსი (6), ჰორი (19), ონილი (30); ვან ექსელი (22), ბლაუნტი (4), კემპბელი (2), ბენეტი (2), რიექსი, ბერი

**სიეტლი:** პეიტონი (22), ჰოკინსი (5), შრემპფი (26), ბეიკერი (20), მაკლვეინი (1); ელისი (16), ენტონი (5), პერკინსი (4), კერსი (5)

ამ მოგებით ლეიკერსი სერიაში პირველად დაწინაურდა, რაც ძირითადად ონილისა და ჯონსის დამსახურებაა. განსაკუთრებით ჯონსის კარგი თამაშია გამოსარჩევი. თუ ლეიკერსელი წლევანდელი პლეი ოფის პირველ წრეში პორტლენდელი რაიდერის წინააღმდეგ უფხოდ გაისარჯა, მეორე წრეში სიეტლთან თავი გამოიდო და შაკილ ონილთან ერთად დაიბრიყვა სტუმრები. ლეიკერსი თითქმის მთელი მატჩი ლიდერობდა, სიეტლი მას მხოლოდ დროის ამწურვამდე 7 წუთით ადრე წამოეწია და შრემპფის მეცადინეობით 3 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ამაოდ დაშვრა.

### იუტა 2 სან ანტონიო 1

9 მაისი

**სან ანტონიო 86:64 იუტა**

**სან ანტონიო:** ჯონსონი (13), ჯექსონი (14), დანკანი (10), პერდიუ (5), რობინსონი (21); დელ ნეგრო (9), პერსონი (6), როუზი (4), უილიამსი (4), ჰერერა, გირი, ლოჰაუზი

**იუტა:** სტოქტონი (2), ჰორნაჩეკი (3); კიფი (1), მელოუნი (18), ფოსტერი (4); მორისი (9), ეისლი (7), რასელი (6), ანდერსონი (6), ოსტერტაგი (6), კარი (2), ვონი

შინ რის ვაი-ვაგლახით მოგებული ორი შეხვედრის შემდეგ სან ანტონიოს ჩასული იუტა საშვილიშვილოდ შერცხვა. 48 წუთში მოგროვებული 64 ქულით იუტამ პლეი ოფების ანტირეკორდი გაიმეორა — ადრე ამ „მიღწევით" სამი გუნდი თუ „დაიკვეხნიდა". იუტელთაგან მხოლოდ კარლ მელოუნის მონაგარი გახლდათ ორციფრიანი, დანარჩენებს კი მოედანზე აქეთ-იქით სირბილის გარდა არაფერი უკეთებიათ. სან ანტონიომ თავიდანვე დააფრთხო სტუმრები და პირველივე მეოთხედში 11 ქულით დაწინაურდა. იუტას საქებარი გუნდური თამაში ამ შეხვედრაში საერთოდ არ გამოჩნდა. სტუმრებმა თამაშში 77 სროლიდან მხოლოდ 22 ჩააგდეს (29 პროცენტი), მესამე მეოთხედში კი სულ 9 ქულას დასჯერდნენ.

### ლეიკერსი 3 სიეტლი 1

10 მაისი

**ლეიკერსი 112:100 სიეტლი**

**ლეიკერსი:** ფიშერი (7), ჯონსი (32), ფოქსი, ჰორი (13), ონილი (39); ვან ექსელი (13), ბლაუნტი (6), კემპბელი (2), ბერი, ბრაიანტი

**სიეტლი:** პეიტონი (31), ჰოკინსი (15), შრემპფი (25), ბეიკერი (12), მაკლვეინი; პერკინსი (6), ელისი (5), კერსი (3), ენტონი (3)



ლეიკერსი — სიეტლი. ედი ჯონსმა ძალიან იყოჩაღა

სიეტლი ისევ შაკილ ონილმა და ედი ჯონსმა იმსხვერპლეს. ამ ორის ბრწყინვალე თამაში სიეტლისთვის მთელ სერიაში გადაუჭრელ პრობლემად იქცა. შაკილმა თამაშში 20-დან 15 სროლა ჩააგდო და, რაც მიგან ძალიან გასაკვირია, საჯარიმოებიც რიგიანად ისროლა (12-დან 9). ედი ჯონსმა კი ზედიზედ მესამედ გააუმჯობესა თავისი საპლეიოფო რეკორდი და ლეიკერსმაც ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. სტუმრებმა მხოლოდ პირველ ნახევარში იფაფხურეს, მერე კი მასპინძლებს მხოლოდ პეიტონი და შრემპფი თუ უწევდნენ წინააღმდეგობას.

### იუტა 3 სან ანტონიო 1

10 მაისი

**სან ანტონიო 73:82 იუტა**

**სან ანტონიო:** ჯონსონი (13), ჯექსონი (8), დანკანი (22), პერდიუ, რობინსონი (15); დელ ნეგრო (12), პერსონი (3)

**იუტა:** სტოქტონი (7), ჰორნაჩეკი (5), რასელი (12), მელოუნი (34), ფოსტერი (13); კარი (4), ანდერსონი (3), ოსტერტაგი (2), ეისლი (2), მორისი

სამარცხვინო მარცხის შემდეგ იუტა დროზე მოეგო გონს და მეორე დღეს სან ანტონიოს საკადრისი ბრძოლა გაუმართა. შეუდარებელი იყო მელოუნი, რომელმაც 28 სროლიდან 17 ჩააგდო და 34 ქულას 12 მოხსნაც დაამატა. სან ანტონიო კი, ვისაც მელოუნთან ჯაჯგურში მხოლოდ 7 კაცი შემორჩა საღ-სალამათი, მაინც თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ იუტამ მესამე მეოთხედი კარლ მელოუნის ძალისხმევით 21:13 მოიგო და 12 ქულით დაწინაურდა. ამ დეფიციტის დაფარვა კი „დეზებისთვის" შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ სერიაში, ისევე როგორც დანარჩენ სამში, ანგარიშია 3:1.

**ირაკლი ფირაშვილი**

## მუტომბოს სამივ ეცოტაავება

დასახელდა ლიგის საუკეთესო დამცველი. ეს ტიტული უკვე მესამედ დაიმსახურა „ატლანტა ჰოუქსის" 218-სანტიმეტრიანმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ. ეს ზაირელი საუკეთესო დამცველი 1995 და 1997 წლებშიც იყო და ამ წოდების 15-წლიან ისტორიაში პირველია, მესამედ რომ იმარჯვა. მუტომბომ 116-დან 39 ხმა მიიღო და ორით აჯობა 1996 წლის საუკეთესოს გერი პეიტონს. 10 ხმით მესამეა დევიდ რობინსონი, ვისაც ეს წოდება შორეულ 1992 წელს ერგო. მუტომბო ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ფარქვეშ თამაშში, მართალია, დიდი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ წლეულს საშუალოდ მატჩში 3,38 დაფარებით ამ საქმეში მეორე იყო, მოხსნებში (საშუალოდ 11,4) მეოთხე.

მუტომბოს ერთობ გახარებია სხვათაგან გამორჩევა და უთქვამს, სამზე არ გავჩერდებიო. ეს ტიტული ატლანტას მოთამაშეთათვის წლეულს ერთადერთი არ იყო. შეგახსენებთ, რომ გუნდის ბომბარდირი, მუტომბოსავით ოლსტარელი სტივ სმიტი NBA-ში ყველაზე ქველ კაცად იწოდა.

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

**ფორმულა 1**
**V ეტაპი**
**ესპანეთის დიდი პრიზი**

# ესპანეთშიც „მაკლარენის“ დარია

**კვირას ბარსელონაში ფინელმა მიკა ჰაკინენმა გამარჯვებით დაასრულა თავისი 101-ე სტარტი ფორმულა 1-ში და მთავარი პრიზი ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსისგან მიიღო. ეს წარმატება 111-ე გახლდათ „მაკლარენისთვის“ და ამ მაჩვენებლით რონ დენისის გუნდი მხოლოდ სამი მოგებით ჩამორჩება „ფერარის“.**

მაკლარენთა უპირატესობა მთელი უქმეების განმავლობაში აშკარა იყო. ვერც ვარჯიშებზე და ვერც კვალიფიკაციაში ვერავინ შეძლო სერიოზულად შეპაექრებოდა „ვერცხლისფერებს“. კვალიფიკაცია შესანიშნავ ამინდში ჩატარდა. ტრასაზე პირველები მაგნუსენი („სტიუარტი“) და როსეტი („ტირელი“) გამოჩნდნენ, რომელთაც რამდენიმე წუთში ჰაკინენი მიჰყვა. ფინელმა თავის პირველივე სწრაფ წრეზე 4 წამით გააუმჯობესა მაგნუსენის შედეგი. ცოტა ხანში მიკას თანაგუნდელმა კულჰარდმა აუბა მხარი და მეორე დრო აჩვენა. მალე ამ წყვილმა კიდევ უფრო გააუმჯობესა შედეგი: ჰაკინენი 1.20,664, კულჰარდი 1.20,996. მესამე სასტარტო პოზიციისთვის კარგა ხანს „ბენეტონის“ პილოტები იბრძოდნენ, სანამ მიხაელ შუმახერმა წრე 1.21,785-ში არ გაიარა და ეს პოზიცია არ დაისაკუთრა.

მსოფლიოს ჩემპიონი ვილნევი კარგა ხანს ათეულს მიღმა გახლდათ. თუმცა საბოლოოდ მაინც შეძლო მე-10 პოზიციის მოპოვება, შედეგის გაუმჯობესებაც სცადა, მაგრამ ხრეშში ამოყო თავი. „უილიამსის“ მძიმე მდგომარეობა ფრენცენმაც დაადასტურა, რომელმაც მხოლოდ მე-13 დროის ჩვენება მოახერხა. კარგად ჩაატარა კვალიფიკაცია ბარიჩელომ („სტიუარტი“), რომელმაც ათეულში მოიპოვა ადგილი, ხოლო ჰერბერტმა („ზაუბერი“) წლეულს პირველად აჩვენა თანაგუნდელ ალეზიზე უკეთესი საკვალიფიკაციო დრო. საბოლოოდ სტარტზე პირველი ექვსი ადგილი „მაკლარენის“, „ფერარისა“ და „ბენეტონის“ პილოტებს დარჩათ.

„ტირელის“ ბრაზილიელმა რიკარდო როსეტიმ კი ვერ მოახერხა 107%-იანი ზღვარის — 1.25,880 გადალახვა და მაყურებელთა შორის აღმოჩნდა.

კვირას სტარტის წინ გასახურებელ წრეზე დინიცს ძრავი ჩაუქრა და ბრაზილიელს მას შემდეგ მოუხდა ასპარეზობაში ჩაბმა, რაც ყველა მეტოქემ დატოვა სასტარტო სწორი.

სტარტზე ჰაკინენი პირველი დაიძრა და მალე ჩამოიტოვა მეტოქენი. ირვინმა მოახერხა ვურცისა და შუმის გასწრება, ბარიჩელომ და ვილნევმა კი მე-9-მე-10 პოზიციებიდან მე-7-მე-8-ზე გადაინაცვლეს. ალეზიმაც წინ წაიწია რამდენიმე ადგილით, მაგრამ მალე მას ფრენცენი წამოეწია და ორივე მანჩალათა შორის აღმოჩნდა. გერმანელ პილოტს ბოქსებშიც მოუწია შესვლამ დაზიანებული წინა ფრთის შესაცვლელად და მეტოქეებს ერთი წრით ჩამორჩა.

რბოლის ლიდერმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა მეტოქეებს და მალე 5 წამს უგებდა კულჰარდს, ეს კი, თავის მხრივ, 4 წამით სჯობდა ირვინს. მე-6-ზე მყოფი ბარიჩელო 3 წამს უგებდა ვილნევს, რომელსაც ჰერბერტი და ჰილი უტევდნენ. კანადელი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა სხვაობა შეემცირებინა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა „სტიუარტის“ წამოწევას. მოპაექრე წყვილები და სამეულები თითქმის მთელ ტრასაზე იყვნენ გაფანტულნი, მაგრამ არც ერთი პილოტი არ აქტიურობდა. რბოლამ პირველი დანაკლისი 21-ე წრის შემდეგ განიცადა, როდესაც თითქმის ერთდროულად ორი „ეროუსი“ გამოვიდა მწყობრიდან. ამასობაში პირველი პიტ-სტოპების დროც მოვიდა და

ჰაკინენმა 1 წრით თანაგუნდელ კულჰარდს ანდო ლიდერობა, ამ უკანასკნელის ბოქსებში შესვლის შემდეგ კი კვლავ დაიბრუნა პოზიცია.



**ვილნევი ვერც ესპანეთში წამოეწია ლიდერებს**

29-ე წრეზე ფიზიკელამ ირვინს შეუტია. მან მარჯვენა მოსახვევში გარე მხრიდან სცადა გასწრება, მაგრამ ირვინის წინა ბორბალი „ბენეტონის“ უკანა თვალს წამოედო და ორივე ტრასის მიღმა აღმოჩნდა, სადაც გაცხარებით დაიწყეს ინციდენტის მიზეზის გარკვევა.

ამ შემთხვევის შემდეგ ბარიჩელომ და ვილნევმა ჩასათვლელი მე-5-მე-6 პოზიციები დაისაკუთრეს. კანადელმა შეტევის წამოწყებაც სცადა, მაგრამ „უილიამსს“ ჯიუტად არ სურდა ქათქათა „სტიუარტის“ გასწრება. ჩამორჩენილთა შორის მყოფი მეორე უილიამსელი ფრენცენი კი ნელნელა მიიწევდა წინ და მალე ტაკაგის ამოუდგა უკან. იგი კარგა ხანს შეყოვნდა, ორივე კი შუმიმ ჩამოიტოვა ერთი წრით.

რბოლის შუაგულში მსაჯებმა 10-10 წამით დააჯარიმეს ტუერო და შუმი. ტუეროს ამ სასჯელით ბევრი არაფერი დაუკარგავს, გერმანელს კი მესამე ადგილის უბრძოლველად დათმობა მოუხდა.

მეორე პიტ-სტოპების დრომაც მოაწია და 45-ე წრეზე ჰაკინენმა კვლავ 1 წრით „ათხოვა“ პირველი ადგილი კულჰარდს. „ფერარის“ მექანიკოსებმა მოახერხეს შუმის ისე მომსახურება, რომ გერმანელს მესამე ადგილის დაბრუნების საშუალება მისცემოდა, მაგრამ უილიამსელებმა ვერ ივარგეს და ვილნევი ტრასაზე კვლავ ბარიჩელოს უკან დააბრუნეს.

საწვავის შევსების შემდეგ ჰაკინენი 6 წამს უგებდა კულჰარდს, ეს უკანასკნელი კი 39 წამს მ. შუმახერს. ჰაკინენის პოზიციას არავინ ემუქრებოდა და ფინელიც ხანდახან ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა თავს, ბოლიდსაც ზოგავდა.

მე-5-მე-6 პოზიციებისთვის კი ბარიჩელო, ვილნევი და ჰერბერტი აგრძელებდნენ პაექრობას. ბარიჩელომ მოახერხა 3-წამიანი უპირატესობის მოპოვება. ჰერბერტმა ერთხელ კი სცადა კანადელის გასწრება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ამ სამეულმა ასეთივე თანმიმდევრობით დაასრულა ასპარეზობა.

მე-8 პოზიციას კარგა ხანს პანი ინარჩუნებდა, მაგრამ ფინიშამდე ხუთი წრით ადრე ძრავმა უმტყუნა და ეს პოზიცია ფრენცენს გადაულოცა. ამან კი შესანიშნავად ჩაატარა რბოლა და ბოლო ადგილიდან მე-8-ზე გადაინაცვლა, თუმცა კი ლიდერს ორი წრით ჩამორჩა.

„მაკლარენმა“ წლეულს მესამე დუბლი მოიპოვა და კიდევ უფრო დაწინაურდა გუნდურ ჩათვლაში. მიკა ჰაკინენმა კი თავის კარიერაში მე-20 რბოლა დაასრულა პოდიუმზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბარიჩელოს შედეგი, რომელმაც „სტიუარტს“ ამ სეზონში პირველი ქულები მოუტანა. ახალგაზრდა ბრაზილიელმა ჩინებულად წარმართა რბოლა და მსოფლიოს ჩემპიონ ვილნევს ერთხელაც არ მისცა შანსი, ჩამოეტოვებინა იგი. „უილიამსის“ ჩავარდნა კი აშკარა გახლავთ და, როგორც ჩანს, პილოტები თავიანთი უმაღლესი კლასის წყალობითღა ახერხებენ რბოლაში ქულების მოპოვებას.

კვლავ უქულოდ დარჩნენ „პროსტი“ და „ჯორდანი“, გუნდები, რომლებიც სეზონის დასაწყისში რამდენიმე გამარჯვებას და „დიდი ოთხეულის“ („უილიამსი“, „ფერარი“, „მაკლარენი“, „ბენეტონი“) დარბევას გეგმავდნენ.

**ალეკო ჭაბუკიანი**

### რბოლის შედეგები

10 მაისი, „კატალუნია მონტმელო“, ბარსელონა

დისტანცია — 65 წრე — 307.196 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | *ჰაკინენი* | 1:33.37,621 (196,863 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. | *კულჰარდი* | ჩამორჩა 9,439 წამით | 6 |
| 3. | *მ. შუმახერი* | 47,094 წმ | 4 |
| 4. | *ვურცი* | 1.02,538 წთ | 3 |
| 5. | *ბარიჩელო* | 1 წრით | 2 |
| 6. | *ვილნევი* | 1 წრით | 1 |
| 7. | *ჰერბერტი* | 1 წრით | |
| 8. | *ფრენცენი* | 2 წრით | |
| 9. | *ტრული* | 2 წრით | |
| 10. | *ალეზი* | 2 წრით | |
| 11. | *რ. შუმახერი* | 2 წრით | |
| 12. | *მაგნუსენი* | 2 წრით | |
| 13. | *ტაკაგი* | 2 წრით | |
| 14. | *ნაკანო* | 2 წრით | |
| 15. | *ტუერო* | 2 წრით | |
| 16. | *პანი* | 5 წრით | |

**საუკეთესო წრე**

*ჰაკინენი* 1.24,275 (201,967 კმ/სთ) 25-ე წრე

**ლიდერები**

*ჰაკინენი* 1-25; 27-44; 46-65
*კულჰარდი* 26, 45

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| *ჰილი* | 46 წრე (ძრავა) |
| *ფიზიკელა* | 28 წრე (შეჯახება) |
| *ირვინი* | 28 წრე (შეჯახება) |
| *ხალო* | 21 წრე (ძრავა) |
| *დინიცი* | 20 წრე (ძრავა) |

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიკა ჰაკინენი**

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკიში, ცხოვრობს მონაკოში

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი, „ლოტუსი“. 101 რბოლა, 4 გამარჯვება, 4 პოული, 4 საუკეთესო წრე, 154 ქულა.

მიკა ჰაკინენი 6 წლისა გახლდათ, როდესაც პირველად მიუჯდა კარტინგის საჭეს და 1974-86 წლებში 5-ჯერ გახდა ფინეთის ჩემპიონი.

1987-ში ერთი საფეხურით აინაცვლა, ფორმულა ფორდ-1600-ში ასპარეზობდა და ამ წელს ფინეთის, შვედეთისა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო.

1988 წლიდან ბრიტანეთში გადაბარგდა.

1989 წელს მე-7 იყო ბრიტანეთის ფორმულა 3-ში, 1990-ში კი ამ კლასში ჩემპიონობაც მოიპოვა.

1991 წელს „ლოტუსის“ საჭესთან პირველად გამოჩნდა ფორმულა 1-ის ტრასებზე. სეზონი 2 ქულით, მე-15 ადგილზე დაასრულა, მომდევნო წელს კი 11 ქულით მე-8 გახლდათ.

1993-ში „მაკლარენის“ საჭესთან სამ რბოლაში შეცვალა მაიკლ ანდრეტი და პოდიუმსაც გაუსინჯა გემო.

1994 წლიდან „მაკლარენის“ უცვლელი პილოტია. შესანიშნავად წარმართულ რბოლებს ჩავარდნები მოჰყვებოდა, მიკას ძლიერ, მაგრამ არასტაბილურ პილოტად თვლიდნენ.

მძიმე ავარიის შემდეგ, როდესაც ფინელი კარგა ხანს კომაში იმყოფებოდა, არავის ეგონა, რომ იგი კვლავ დაუბრუნდებოდა ტრასებს და უძლიერესთა შორისაც დაიმკვიდრებდა ადგილს. მიკა დაბრუნდა და საუცხოოდაც ასპარეზობდა, შარშანდელ ბოლო ეტაპზე კი პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

წლევანდელ სეზონში ჰაკინენი თავისი სისწრაფითა და „მაკლარენის“ შესანიშნავი ბოლიდის წყალობით ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი გახლავთ.

## განლაგება სტარტზე

| | |
|---|---|
| | 21 ტაკაგი 1.24,722 ტირელი |
| 22 ნაკანო 1.24,538 მინარდი | |
| | 23 ტუერო 1.24,265 მინარდი |
| 19 მაგნუსენი 1.24,112 სტიუარტი | |
| | 17 სალო 1.23,887 ეროუსი |
| 12 ტრული 1.23,784 პროსტი | |
| | 16 დინიცი 1.23,704 ეროუსი |
| 14 ალეზი 1.23,327 ზაუბერი | |
| | 2 ფრენცენი 1.23,197 უილიამსი |
| 11 პანი 1.22,963 პროსტი | |
| | 10 რ. შუმახერი 1.22,927 ჯორდანი |
| 1 ვილნევი 1.22,885 უილიამსი | |
| | 18 ბარიჩელო 1.22,860 სტიუარტი |
| 9 ჰილი 1.22,835 ჯორდანი | |
| | 15 ჰერბერტი 1.22,794 ზაუბერი |
| 4 ირვინი 1.22,350 ფერარი | |
| | 6 ვურცი 1.21,965 ბენეტონი |
| 5 ფიზიკელა 1.21,894 ბენეტონი | |
| | 3 მ. შუმახერი 1.21,785 ფერარი |
| 7 კულჰარდი 1.20,996 მაკლარენი | |
| | 8 ჰაკინენი 1.20,262 მაკლარენი |

**FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP**

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი, 16:30 | კანადა 7 ივნისი, 21:00 | საფრანგეთი 28 ივნისი, 16:00 | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი, 17:00 | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | | | | | | | | | | | | 36 |
| 2 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | 29 |
| 3 | **მ. შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | 24 |
| 4 | **ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | | | | | | | | | | | | 11 |
| 5 | **ვურცი** (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | | | | | | | | | | | | 9 |
| 6 | **ფრენცენი** (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | | | | | | | | | | | | 8 |
| 7 | **ვილნევი** (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | | | | | | | | | | | | 6 |
| 8 | **ალეზი** (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | 1 | – | | | | | | | | | | | | 3 |
| 9 | **ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიუარტ-ფორდი | – | – | – | – | 2 | | | | | | | | | | | | 2 |
| 10 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 | **მაკლარენ-მერსედესი** | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | | | | | | | | | | | | 65 |
| 2 | **ფერარი** | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | | | | | | | | | | | | 35 |
| 3 | **უილიამს-მეკაქრომი** | 6 | 2 | – | 5 | 1 | | | | | | | | | | | | 14 |
| 4 | **ბენეტონ-მეკაქრომი** | – | 4 | 3 | – | 3 | | | | | | | | | | | | 10 |
| 5 | **ზაუბერი** | 1 | – | 2 | – | – | | | | | | | | | | | | 3 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით

## მსოფლიოს ჩემპიონატი

საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო დღეს გაირკვა, რომ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მოევლინება. შარშანდელმა გამარჯვებულებმა — კანადელებმა სამარცხვინოდ, 1:7 წააგეს შვედებთან და ვადამდე დაეთხოვნენ ასპარეზობას. ტურნირის ამ უდიდეს სენსაციას რუსების ციურიხთან ნაადრევად დამშვიდობება მოჰყვა. სამაგიეროდ, ნახევარფინალში მასპინძლები, შვეიცარიელები გავიდნენ.

# მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება

10 მაისი
E ჯგუფი
**შვედეთი — კანადა 7:1**
**2:1, 2:0, 3:0**

**შაიბები: რენბერგი 3 (1:0), რენბერგი 4 (2:0), ჟოვანოვსკი 2 (2:1), ბერგკვისტი 2 (3:1), ჩელბერგი 1 (4:1), ი. იუნსონიმა 2 (5:1), ფორსბერგი 2 (6:1), ფორსბერგი 3 (7:1).**

შარშანდელ ფინალისტთა შეხვედრაში კანადელები მეტად უნდა გარჯილიყვნენ — ნახევარფინალის საგზურის გასანაღდებლად მათ ერთი ქულა მაინც უნდა მოეპოვებინათ. მაგრამ შვედებს შარშანდელი ჯერ არ დავიწყნოდათ, მათ რევანში სწყუროდათ და იყარეს კიდეც მეტოქეზე ჯავრი, თანაც ისე, რომ წინა პირველობაზე მათი გამაწარებელი შინ გისტუმრეს. „ტრე კრუნურის" უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა იყო, ფაქტობრივად, არც კანადელებს ჰქონიათ თამაშში გარდატეხის შეტანის შანსი. მხოლოდ ერთხელ, მეორე პერიოდის შუაგულში დალაშქრეს მათ მეტოქის კარი, მაგრამ 33-ე წუთზე შვედთა ვეტერანის, ბერგკვისტის გოლის შემდეგ „ნეკერჩხლის ფოთლებმა" შეწყვიტეს წინააღმდეგობა და დარჩენილ დროში სკანდინაველებმა აბუჩად აიგდეს ისინი. სირცხვილნაჭამი კანადელები კი ბელარუსების იმედადღა იყვნენ.

**ფინეთი — ბელარუსი 5:2**
**0:0, 4:0, 1:2**

**შაიბები: კიპრუსოვი. 2 (1:0), ალატალო 1 (2:0), კაპანენი 2 (3:0), კაპანენი 3 (4:0), ტერმანენი 2 (5:0), დ. პანკოვი 2 (5:1), დ. პანკოვი 3 (5:2).**

პირველი პერიოდის შემდეგ კანადელებს იმედები საბოლოოდ არ გაცრუებოდათ, მაგრამ მეორე მესამედის პირველივე წუთებზე, როცა კიპრუსოვმა და ალატალომ ბელარუსთა კარი დალაშქრეს, ცხადი გახდა, რომ ოკეანისგაღმელთა საქმეს ალარაფერი ეშველებოდა. ფინელებმა კი შაიბების უკეთესი სხვაობით გაუსწრეს მრისხანე მეტოქეს.

E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 10:2 | 6 |
| ფინეთი | 1 | 1 | 1 | 86 | 3 |
| კანადა | 1 | 1 | 1 | 10:12 | 3 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 3 | 5:13 | 0 |

F ჯგუფი
**ჩეხეთი — რუსეთი 2:2**
**1:0, 1:1, 0:1**

**შაიბები: პატერა 5 (1:0), დოპიტა 2 (2:0), პეტროვი 3 2:1), იუშკევიჩი 2 (2:2).**

რუსებს ნახევარფინალში გასასვლელად არანაკლებ ორშაიბიანი სხვაობით უნდა მოეგოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩეხების კონტრიერიშებისა შეეშინდათ და მეტისმეტი სიფრთხილით გაიფუჭეს საქმე. ჩეხებმა არც პოზიციურ ბრძოლაში დაუდეს ტოლი მეტოქეს და მატჩის პირველივე ნახევარში გაცილებით ხშირად ქმნიდნენ საფრთხეს ყოფილ საბჭოელთა კართან. რუსები დოპიტას მეორე შაიბამდა მოიყვანა გონს: 45-ე წუთზე იუშკევიჩის შორეულ დარტყმას კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა, ერთხელ კი კართან ერთ მეტრში მდგომ მოროზოვს უმტყუნა ბედმა. რუსების მცდელობას შედეგი არ გამოუღია, შვეიცარიელებს კი ბოლო შეხვედრაში ფრეც აძლევდათ ხელს.

**შვეიცარია — სლოვაკეთი 1:1**
**1:1, 0:0, 0:0**

**შაიბები: ანტაშინი 1 (1:0), პარდავი 2 (1:1)**

შვეიცარიაში ზეიმობენ — ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა 1992 წლის შემდეგ პირველად გააღწია ნახევარფინალში, თანაც მრისხანე რუსეთის გუნდი ჩამოიშორა გზიდან. საკვალიფიკაციო რაუნდის ბოლო მატჩში შვეიცარიელებმა იოლად მოიპოვეს სასურველი ფრე და საუკეთესო რვეულში შესვლით პროგრამა-მაქსიმუმიც შეასრულეს. რაც შეეხებათ რუსებს, ისინი მსოფლიოს პირველობაზე ზედიზედ მეხუთედ დარჩნენ უმედლოდ.

F ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 6:3 | 5 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 6:6 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 1 | 10:7 | 3 |
| სლოვაკეთი | 0 | 1 | 2 | 28 | 1 |

მატჩები მე-19-მე-12 ადგილებისთვის

**ლატვია — გერმანია 5:0**

**იტალია — აშშ 4:0**

ნახევარფინალებში, 12 და 14 მაისს, ერთმანეთს შეხვდებიან: *შვედეთი — შვეიცარია, ფინეთი — ჩეხეთი.*

## კონფერენციების ნახევარფინალი

# ეს ბარნაბა რა ყოფილა?!

**დეტროიტი 1 სენტ ლუისი 1**

10 მაისი
**დეტროიტი — სენტ ლუისი 6:1**
**1:1, 3:0, 2:0**

**შაიბები: იეიკი 2 (0:1), ლაპოინტი 2 (1:1), ლიდსტრიომი 3 (2:1), ჰოლმსტრიომი 3 (3:1), აიზერმანი 2 (4:1), მერფი 1 (5:1), მოლტბი 2 (6:1)**

სერიაში პირველმა მარცხმა დეტროიტელებს მეორე მატჩისთვის ძალა მოაკრებინა და „ბლუზმენთა" იღბლიანი წინსვლაც შეწყდა. თუმცა საბოლოო ანგარიში სრულიადაც არ ასახავს ყინულზე დატრიალებულ მოვლენებს, რადგან შეხვედრის შუაგულამდე მეტოქენი ტოლ-სწორად იბრძოდნენ და დეტროიტელებმა მესამე შაიბის შემდეგღა შეიტანეს გარდატეხა თამაშში. აღნიშვნის ღირსი უფრო ისაა, როგორ გაიტანა ეს გოლი ჰოლმსტრიომმა. „წითელფრთიანთა" შემადგენლობაში მხოლოდ ახლახან დამკვიდრებულმა ახალგაზრდა შვედმა საუცხოო სოლო რეიდი განახორციელა, მცველი ტოდ გილი ჩამოიშორა და გამოცდილი გრანტ ფიურიც ორჯერ გააცურა. სკანდინაველი დეტროიტის მწვრთნელმა სკოტ ბოუმენმაც გამოარჩია: „ფიურის შეცდენა ძნელია, უბრალოდ თავად ჰოლმსტრიომმა ითამაშა ჩინებულად".

**ბუფალო 2 მონრეალი 0**

10 მაისი
**ბუფალო — მონრეალი 6:3**
**1:1, 3:2, 2:0**

**შაიბები: ულანოვი 1 (0:1), გროშეკი 5 (1:1), ოდეტი 3 (2:1), მალახოვი 2 (2:2), რექი 4 (2:3), უორდი 3 (3:3), ბარნაბი 2 (4:3), ბარნაბი 3 (5:3), ბარნაბი 4 (6:3)**

მეტიუ ბარნაბი არასდროს ყოფილა კარგი სნაიპერი ან პლეიმეიკერი, მას უფრო „პოლიციელის" ანაც ძალისმიერი ფორვარდის ფუნქცია ეკისრებოდა. თუმცა, თუ მოედანზე დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ, ყინულს მიღმა აქტიურობდა. საკმარისია გავიხსენოთ მისი შარშანდელი უთანხმოება ჰაშეკთან, რომელსაც ბარნაბამ ბუფალოს ძველი თავკაცის, ტედ ნოლანის დათხოვნა დააბრალა. იგი არც მერე კმაყოფილდებოდა თავისი მდგომარეობით და ახალი მწვრთნელის, ლინდი რაფის საქმიანობით, ასე რომ, ყველას ეგონა, რომ „დედლაინზე" ბარნაბს სხვა კლუბში უკრავდნენ თავს. თუმცა ურჩი ჰოკეისტის ყიდვა არავინ ისურვა, ახლა კი „ხმლები", ალბათ, არც ნანობენ, რომ იგი დატოვეს გუნდში. ჯერ კიდევ პირველ რაუნდში ბარნაბმა იოლად გამონახა საერთო ენა მიხალ გროშეკთან, თავი გამოიჩინა, როგორც მეპასემ, ახლა კი ჩეხმა (1+2) ვალი დაუბრუნა. მონრეალთან მეორე მატჩის შუახანს ბარნაბმა ზედიზედ სამი შაიბა გაიტანა და კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა. პირველი გოლი კი, რომელიც გადამწყვეტიც აღმოჩნდა, ფორვარდმა ისე შეაგდო, მისი გამოცდილ ოსტატებსაც კი შეშურდებოდათ — კარს უკან მდგომმა სწრაფი მოძრაობით მონრეალის მეკარე ენდი მუგს განძრევის საშუალებაც არ მისცა. ამას ბარნაბმა ერთი შედეგიანი პასიც დაუმატა, ხოლო მესამე პერიოდში, იღბლიანად რომ დაესრულებინა გარღვევა, პოკერსაც მიითვლიდა. არადა, ბარნაბი ის ჰოკეისტია, რომელმაც ჩემპიონატის 72 მატჩში მხოლოდ ხუთჯერ გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**



# რა ღირს ორმაგი შეცდომა?

რომი. იტალიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 926 250 $

**მეოთხედფინალი: ვინუს უილიამსი (9, აშშ) — სერენა უილიამსი (აშშ) 6:4, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (15, აშშ) 6:7 (6:8), 6:1, 6:2; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარი) — ანა კურნიკოვა (14, რუსეთი) 6:2, 6:4; მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) 7:5, ტრავმა**



მარტინა ჰინგისი

FORO ITALICO-ს მეოთხედფინალში მთელი ყურადღება უილიამთა საოჯახო შუღლისკენ იყო მიმართული. 17 წლის ვინუსი და 16 წლის სერენა, რომლებიც უახლოეს მომავალში მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნობას უმიზნებენ, წლეულს უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს ტურნირის შედარებით ადრეულ ეტაპზე და მიუხედავად იმისა, რომ თვით მათი მამა და აღმზრდელი, შერეკილი რიჩარდ უილიამსი უთეს მომავალს უმცროს ქალიშვილს უწინასწარმეტყველებს, რომელსაც, თავის მხრივ, უფრო დაიკოზე გონიერიც ჰგონია თავი, გამარჯვება ისევ ვინუსს დარჩა.

ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრისა არ იყოს, ჩოგბურთის მაღალი ხარისხის ნაცვლად დების რომაული შეტაკებაც არაჩვეულებრივად ბევრი შეცდომით გამოირჩეოდა. ერთხელ კი, როდესაც ბადესთან გავარდნილმა სერენამ ცარიელ კორტს აცილა ბურთი, ვინუსმა დანანებით გააქნია თავი, როგორ არ გრცხვენიაო: „გავიფიქრე, ეს სერენას არა ჰგავს, მას ასეთი ბურთი არ უნდა გაეფუჭებინა-მეთქი. ორივეს ცუდი დღე გვქონდა, მაგრამ, მე მგონი, მომავალში უკეთესადაც ვითამაშებთ ერთმანეთის წინააღმდეგ. ისე, უმჯობესი იქნება, თუ ეს ფინალებში მოხდება".

ავსტრალიის ღია პირველობისგან განსხვავებით, როდესაც უილიამსებმა კორტი ხელიხელჩაჭიდებულებმა დატოვეს, ამჯერად ერთმანეთისადმი სიყვარულის გამჟღავნებისთვის არც ერთს არ შეუწუხებია თავი — შესამჩნევად გალიზიანებული სერენა ვინუსის გამოწვდილ ხელს ოდნავ შეეხო, ჩოგნები მოკრიფა და მოედნიდან სწრაფად გავარდა: „მელბურნში ჩემს დასთან პაექრობისას განსხვავებული შეგრძნება მქონდა, დღეს კი ისე ვთამაშობდი, როგორც მორიგ მეტოქესთან".

უილიამსების შეხვედრის გარდა თინეიჯერული კიდევ ერთი მეოთხედფინალი იყო, რომელშიც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, 17 წლის მარტინა ჰინგისმა 16 წლის ანა კურნიკოვას 6:2, 6:4 მოუგო. ანგარიში კატასტროფულიც შეიძლებოდა ყოფილიყო — ჰინგისი ორივე სეტში 5:0 იყო წინ, მაგრამ ყურადღების მოდუნება შვეიცარიელს კინაღამ ძვირად დაუჯდა: თუ პირველ სეტში კურნიკოვამ მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოახერხა, მეორეში ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლო და თან ხუთი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა. ამით მან ხმაურიანი იტალიელი გულშემატკივრები კიდევ უფრო აღაფრთოვანა, ჰინგისი კი გვარიანად ანერვიულა: „ბოლო ქულის მითვლას ვერაფრით ვახერხებდი და აღარ ვიცოდი, რა მექნა, მეცინა თუ მეტირა. ისე, ჩოგნის დამტვრევის სურვილი მკლავდა". მატჩი კი მეექვსე მატჩ-პოინტზე რუსის მიერ ბადესთან გაფუჭებული ბურთით დასრულდა.

**ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი — არანჩა სანჩეს-ვიკარიო 6:3, 2:6, 7:5; მარტინა ჰინგისი — მირიანა ლუჩიჩი 6:2, 6:1.**

ვინუს უილიამსისთვის არანჩა სანჩესვიკარიო ერთ-ერთ ყველაზე მოუხერხებელ მეტოქედ ითვლება. ჯერ კიდევ 1994 წელს, 14 წლის „ზანგი საოცრების" მეორე პროფესიონალურ მატჩში ვინუსი ესპანელს 6:2 და 3:1-ს უგებდა, მაგრამ მერე ერთი გეიმიც ველარ მიითვალა და შაბათამდე აწ უკვე 26 წლის ვეტერანთან არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდა ანგარიშზე. როდესაც მეორე სეტის დასაწყისიდან ესპანელმა ზედიზედ შვიდი გეიმი მოიგო, უფროსმა უილიამსმა კი სამედიცინო დახმარებისათვის სამწუთიანი შესვენება ითხოვა და კორტს მუხლშეხვეული დაუბრუნდა, თითქოს ისევ ძველი ისტორია უნდა განმეორებულიყო, მაგრამ ვინუსი ამჯერად არ გატყდა. „მინდოდა, საქმე სწრაფად მომეთავებინა, მაგრამ მას განსაკუთრებული სტილი აქვს, ბევრ აბრაგანს ურტყამს და ქანცის გაცლამდე გარბენინებს" — თქვა ამერიკელმა მატჩის შემდეგ.

მეორე ნახევარფინალში კი მარტინა ჰინგისმა ზედიზედ მეორე 16 წლის მეტოქე, ამჯერად მირიანა ლუჩიჩი დაამარცხა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ხორვატი ჩოგბურთელი ახლო მეგობრები არიან: ლუჩიჩი შარშან მარტინასთან სტუმრობდა და მასთან ერთად ვარჯიშობდა, წლეულს კი სულაც ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო წყვილებში, მაგრამ ამას შვეიცარიელისთვის მის განადგურებაში ხელი სულაც არ შეუშლია: „დღეს არაჩვეულებრივად ვითამაშე, მირიანა კი ძალიან ნერვიულობდა, ეტყობა, ჩემმა სახელმა დააფრთხო" — ახსნა ჰინგისმა.

**ფინალი: ჰინგისი — უილიამსი 6:3, 2:6, 6:3**

მარტინა ჰინგისს ქალთა ჩოგბურთში გამძაფრებული კონკურენცია ჯერჯერობით მაინცდამაინც არ უნდა აწუხებდეს. 17 წლის შვეიცარიელმა რომში ზედიზედ სამი მოცილე დაამარცხა, სეზონის მეოთხე, სულ კი მე-18 ტიტული მიითვალა და თან 150 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა, მაგრამ ფინალის შემდეგ მაინც დაიჩივლა, ასე მგონია, უილიამსს ყველა ტურნირზე ვხვდებიო. ვინუსთან შეხვედრა კი მარტინას მართლაც ცუდად აქვს დაცდილი — წლეულს სამი მარცხიდან ორი სწორედ მასთან განიცადა: „კურნიკოვასთანაც ვითამაშე და ლუჩიჩთანაც, მაგრამ მის წინააღმდეგ თამაში ყველაზე ძნელია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მარტო მკლავებისა და ფეხებისგან შედგება, შემოკლებულს დაურტყამ და ორი ნაბიჯის გადადგმით უკვე ადგილზეა" — განაცხადა ჰინგისმა და დასძინა, ამჟამად ვინუსი მსოფლიოს მეორე ჩოგნად მიმაჩნიაო.

ჰამბურგი. გერმანიის ღია პირველობა (SUPER 9).
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 2,45 მილიონი $

**მეოთხედფინალი: კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 6:3, 6:2; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:4; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) 4:6, 7:6 (10:8), 6:4; ფელიქს მანტია (9, ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (6, ხორვატია) 6:0, 2:0, ტრავმა**



ალექს კორეჩა

რა ღირს ერთი ორმაგი შეცდომა? წესით და რიგით, ბევრი არაფერი, თავს გააქნევ, ბურთს მაღლა ააგდებ და კორტის სხვა კვადრატში მოაწვდი, მაგრამ როლან გაროსის შარშანდელ ჩემპიონ გუსტავო კუერტენს იგი 47 ათას დოლარად დაუჯდა, ანუ იმდენად, რამდენითაც განსხვავდებოდა მეოთხედფინალისტისა და ნახევარფინალისტის კუთვნილი საპრიზოები გერმანიის ღია პირველობაზე.

გუგამ ის ავადსახსენებელი, თანაც შეხვედრის ერთადერთი ორმაგი მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე, მატჩ-პოინტზე დაუშვა, მერე შეცდომა ველარც მოინელა და ნახევარფინალის საგზური მეტოქეს, ალექს კორეჩას გადაულოცა: „მთელი დარჩენილი დრო მარტო იმ აცილებულ მოწოდებაზე ვფიქრობდი, ეს ჩემთვის სეზონის ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ კუერტენმა, რომელმაც პირველ-მეორე ხელში ისეთი ჩოგბურთი უჩვენა, როლან გაროსისთვის წლეულსაც ანგარიშგასაწევ ძალად უნდა ჩაითვალოს.

**ნახევარფინალი: ალბერტ კოსტა — კაროლ კუჩერა 3:0, ტრავმა; ალექს კორეჩა — ფელიქს მანტია 6:2, 2:6, 6:3**

„ღმერთს მადლობა უნდა შევწირო, რადგან წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მოვახერხე მოგება, ასე კორტზე არასოდეს დავღლილვარ" — ეს სიტყვები ესპანელ ალექს კორეჩას ეკუთვნის, რომელმაც ხუთშაბათს ორ სამსეტიან მატჩს გაუძლო, პარასკევსა და შაბათს კორტზე ორ საათზე მეტი დაჰყო და საავადმყოფოს ნაცვლად ერთბაშად ფინალში ამოჰყო თავი. გადაღლილმა კორეჩამ მატჩის მესამე სეტში გათამაშებათა შესამოკლებლად მისთვის მეტად უჩვეულო ტაქტიკას, ბადესთან ხშირ გასვლებს მიმართა და იქ საკმაო ფხიანობაც გამოიჩინა, შეხვედრის ბედი კი, მისდა გასახარად, ისევ მოწინააღმდეგის მიერ მატჩ-პოინტზე დაშვებულმა ორმაგმა შეცდომამ გადაწყვიტა.

**ფინალი: კოსტა — კორეჩა 6:2, 6:0, 1:0**

ბოლოს და ბოლოს, ალექს კორეჩაც უბრალო მოკვდავი აღმოჩნდა — ზედიზედ სამი დღის ტანჯვა-წამების შემდეგ ესპანელს ფინალის ხუთსეტიანი ბრძოლისთვის ძალა საერთოდ აღარ შერჩა: „ასე მეგონა, ვკვდებოდი კორტზე, მე კი სიცოცხლე მირჩევნია" — ასე აუხსნა კორეჩამ თავისი გადაწყვეტილება მატჩის შეწყვეტის თაობაზე ტრიბუნებზე შეკრებილ 10 ათას გერმანელს და მათაც იგი ძველი დამსახურებისთვის სტვენის ნაცვლად ტაშისცემით გააცილეს. ალბერტ კოსტამ კი კარიერაში პირველი სუპერ 9-ის ტიტული და ყველაზე იოლი 361 ათასი დოლარი მიითვალა, თამაშის დამთავრება ხომ ცერა თითზე გაჩენილი წყლულის გამო ვერც მისმა ნახევარფინალის მეტოქემ, კაროლ კუჩერამ შეძლო.

**ავთანდილ სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29